

132-5981



საქართველო საერთაშორისო საპროცესო საკანონმდებლო საქმეები



9

1989

8

პასუხისმგებელი მდივანი
გელა გერქინიშვილი

სარედაქციო კოლეგია:

ლევან ალაქსიძე
ანზო არსენაშვილი
(მეცნიერ-რედაქტორი)
ანზორ გაბიანი
შოთა გორგოძე
აკაკი კარანაძე
დურმიჯან ლორია
პანტაძე რაჭმაძე
გრიგოლ კოინიშვილი
თამაზ შავჭულიძე
ვიქტორ შარაშენიძე
ირაკლი ჩიქოვანი
სერგო ჯორჯიანიძე

Ответственный секретарь
Бердзенишвили Г. Д.

Редакционная коллегия:


Алексидзе Л. А.
Арсенашвили А. Г.
(научный редактор)
Габiani А. А.
Горгодзе Ш. В.
Джорбенадзе С. М.
Каранадзе А. Г.
Лория Д. А.
Размадзе В. А.
Роинишвили Г. В.
Чиковани И. П.
Шавгулидзе Т. Г.
Шарашенидзе В. А.

საქართველო სამართალი

№ 8

ოქტომბერი

1989 წელი



შურნალი გამომდის 1926 წლის 1 მარტიდან

საქართველოს სსრ იურისტთა კავშირის ყოველთვიური
მეცნიერულ-პრაქტიკული შურნალი

შ ი ნ ა ა რ ს ი

განვიხილავთ პროექტებს

ი. ფურკარაძე — პოლიტიკური სისტემის გარდაქმნის მნიშვნელოვანი ეტაპი	3
ვინ — მართლად, ვინ — მრუდე სარკეში... (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ქ. თბილისში 9 აპრილს მომხდარი ტრაგედიის გარემოებათა გამომძიებელი რესპუბლიკური კომისიის ინფორმაციის საკითხთა ქვეკომისიის დასკვნა)	11
ერის სამხჯავროზე... (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ქ. თბილისში 1989 წლის 9 აპრილს მომხდარი ამბების გარემოებათა გამომკვლევითი კომისიის დასკვნა)	23

ჭართული სამართლის ფილოსოფიის ისტორიიდან

ვ. აბაშაძე — იროდიონ სურგულაძე და მისი ნაშრომი „ხელისუფლება და სამართალი“	55
---	----

სამართაშორისო სამართალი

ვ. მთვარელიძე — ნამიბიის პრობლემა და საერთაშორისო სასამართლო	64
--	----

ინტერვიუ

სოციალური უზრუნველყოფა — ყურადღების ცენტრში	70
---	----

ჩვენი პროფესიის ვებჟანაზები

გ. მეფისაშვილი — ცხოვრების დიდ გზაზე	73
ინფორმაცია	75
ნეკროლოგი	79
სხვადასხვა	80

СОДЕРЖАНИЕ



Обсуждаем проекты

В прямом и кривом зеркале...

Я. Путкарадзе — Важный этап перестройки политической системы	3
(Заключение подкомиссии по информации Республиканской комиссии Верховного Совета ГССР по расследованию обстоятельств трагедии, имевших место 9 апреля в г. Тбилиси)	11

На суд наций...

(Заключение комиссии Верховного Совета Грузинской ССР по расследованию обстоятельств, имевших место 9 апреля 1989 года в городе Тбилиси)	23
--	----

Из истории философии грузинского права

В. Абашмадзе — Иродион Сургуладзе и его работа «Власть и право»	55
---	----

Международное право

Г. Мтварелидзе — Проблема Намибии и международный суд	64
---	----

Интервью

Социальное обеспечение — в центре внимания	70
--	----

Ветераны нашей профессии

Г. Мепсашвили — На большой дороге жизни	73
---	----

Информация	75
----------------------	----

Некролог	79
--------------------	----

Разное	80
------------------	----



© „საბჭოთა სამართალი“, 1989 წ.

რედაქციის მისამართი. №80110, თბილისი, ღვთისმშობლის ქ. 103,
ტ. 95-88-19, 95-58-87

გადაეცა წარმოებას 4.10.89 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 9.11.89 წ.
ფორმატი 70×108¹/₁₆, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 5, პირობითი ნაბეჭდი
ფურცელი 7. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 6,5.
შეკვ. № 2194 ტირაჟი 4000 უე 04722

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა.
თბილისი, ლენინის ქ. № 14.



კოლმედიკური სისტემის გარდაქმნის გნიოზნალოვანი უბრაი

იაკობ ფშტაბრაძე,

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის კვლევის ცენტრის სახელმწიფო და საერთაშორისო სამართლის განყოფილების გამგე, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი

მიმდინარე წლის 19-20 სექტემბერს ჩვენს რესპუბლიკაში ფართო განხილვისათვის გამოქვეყნდა სამი მნიშვნელოვანი სამართლებრივი დოკუმენტის პროექტი. საქმე შეეხება რესპუბლიკურ კანონპროექტებს — მოქმედი კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) ცვლილება-დამატებების, საქართველოს სსრ სახალხო დებუტატთა და ადგილობრივი საბჭოების სახალხო დებუტატთა არჩევნების შესახებ.

ეს კონსტიტუციური აქტები მნიშვნელოვანია თავიანთი შინაარსით, იმით, რომ მათზე ბევრადაა დამოკიდებული, თუ როგორი პოლიტიკური მდგომარეობა იქნება რესპუბლიკაში უახლოეს მომავალში, თუ საით და როგორ წარიმართება საქართველოს სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ცხოვრების შემდგომი განვითარება. რესპუბლიკის კონსტიტუციის ცვლილებებისა და დამატებების, საქართველოს სსრ სახალხო დებუტატებისა და ადგილობრივი საბჭოების სახალხო დებუტატების არჩევნების კანონპროექტები მოიცავენ საბჭოთა პოლიტიკური სისტემის რეფორმის პირველ ეტაპს, რომელიც საკავშირო მასშტაბით უკვე განხორციელდა. რეფორმის ამ საფეხურზე გარდაქმნება სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის ცენტრალური ორგანოები და სასამართლოების სისტემა. პოლიტიკური გარდაქმნები რესპუბლიკაში, რაღა თქმა უნდა, სათანადო საკავშირო აქტების საფუძველზე და მათ შესაბამისად წარიმართება.


ყურადღებას იქცევს განსახილველი კანონპროექტების ზოგიერთი თავისებურება, სიახლე შესაბამის საერთო-საკავშირო დებულებებთან მიმართების თვალსაზრისით. ოღონდ, ვიდრე ამ საკითხს შევხებოდეთ, გვინდა ერთ ფრიად სასიამოვნო ფაქტზე შევაჩეროთ მკითხველის ყურადღება.

განხორციელდა ქართველი სამეცნიერო და შემოქმედებითი ინტელიგენციის სურვილი და თავის უფლებებში აღდგა 1938 წელს რეპრესირებული დიდებული ქართული სიტყვა „უზენაესი“. განსახილველ კანონპროექტებში შემოტანილია ტერმინები „უზენაესი საბჭო“ და „უზენაესი სასამართლო“. დღესდღეობით კი „უზენაესს“ ხსენებულ ტერმინებში „უმაღლესი“ ენაცვლება („უმაღლესი საბჭო“, „უმაღლესი სასამართლო“).

საქართველოს სსრ 1937 წლის კონსტიტუცია თავდაპირველი ტექსტის მიხედვით აკანონებდა, რომ „საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანო არის საქართველოს სსრ-ის უზენაესი საბჭო“ (მუხ. 25), „აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიურ საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკებში სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოები არიან ამ რესპუბლიკების უზენაესი საბჭოები“ (მუხ. 59), ხოლო 117-ე მუხლის ძალით „მართლმსაჯულებას საქართველოს საბჭოთა სო-

19103

საქ. სსრ კ. მარქსის



ცილისტურ რესპუბლიკაში ახორციელებენ საქართველოს სსრ-ის უზენაესი სასამართლო, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოები...“ (იხ. საქართველოს სსრ მშრომელთა დებუტატების საბჭოების ყრილობები, თბ., 1980, გვ. 366, 371, 379). ანალოგიურად იყო წარმოდგენილი 1936 წლის საკავშირო კონსტიტუციის ქართული ტექსტის 30, 57, 89 და 102 მუხლები (იხ. საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის კონსტიტუცია, თბ., 1937). მალე, 1938 წლის ივლისში, რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პირველსავე სესიაზე გადაწყდა, რომ „კონსტიტუციის ტექსტში სიტყვა „უზენაესი“ ყველა სათანადო მუხლში ამოიშალოს და მის ნაცვლად დაიწეროს „უმაღლესი“ (იხ. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პირველი სესია, სტენოგრაფიული ანგარიში, 1938, გვ. 39, 55, 120). ამის საბუთად აღნიშნულია ის, რომ „სიტყვა „უზენაესი“ ხალხის თანამედროვე მეტყველებაში მკვდარია და სიტყვის „უმაღლესის“ ცნებას ნათლად ვერ გამოხატავს“. სინამდვილეში კი ვაი-მარქსისტები შეაშინა იმან, რომ „უზენაესი“ ღვთის ეპითეტად იხმარება. ასე ჩაბარდა წარსულს ხსენებული სიტყვა და ქართული ენის განმარტებითმა ლექსიკონმაც დააფიქსირა: უზენაესი საბჭო და უზენაესი სასამართლო უმაღლესი საბჭოსა და უმაღლესი სასამართლოს მნიშვნელობით იხმარებოდაო (ტ. VI, 1960, სვ. 1442). ამის გამო საგრძნობლად გაღარბდა ქართული საკანონმდებლო ენა და შეიქმნა უხერხული ვითარება: ორი რუსული სიტყვა — *верховный*, *высший* ერთი ქართული სიტყვით — „უმაღლესით“ გადმოიცემა (ერთ წინადადებაშიც კი: მაგალითად, რუსულად არის — «*Высшим органом государственной власти... является Верховный Совет...*»; შესაბამისი ქართული ტექსტი ასე გამოიყურება — „...ხელისუფლების უმაღლესი ორგანოა... უმაღლესი საბჭო“).

ბოლოს და ბოლოს მაინც გაიმარჯვა „იურიდიული ტერმინოლოგიის“ რუსულ-ქართული ნაწილის (თბ., 1963) შემდგენელთა და სხვა ავტორთა საღმა აზრმა და საქართველოს სსრ კონსტიტუციის ცვლილება-დამატებათა განსახილველმა კანონპროექტმა პირველმა მიუჩინა შერისხულ „უზენაეს“ თავისი კუთვნილი ადგილი ოფიციალურ ქართულ სიტყვათხმარებაში.

ხაზგასმით უნდა აღვნიშნოთ განსახილველი დოკუმენტებისათვის დამახასიათებელი ერთი არსებითი ნიშან-თვისება: მათში უტყუდებულა ეროვნულ-სახელმწიფოებრივი განვითარების პრობლემებისადმი შაბლონური, დოგმატური მიდგომა. ამ დებულების ნათელსაყოფად, საილუსტრაციოდ მოვიყვანოთ სამი ფაქტი, რომელნიც საქართველოს კანონპროექტებს შესაბამისი საერთო-საკავშირო აქტებისაგან განასხვავებენ.

საკავშირო კონსტიტუციის მე-100 მუხლითა და სსრ კავშირის სახალხო დებუტატთა არჩევნების 1988 წლის 1 დეკემბრის კანონის 38-ე მუხლით გათვალისწინებულია საოლქო წინასაარჩევნო კრებების მოწვევა. საოლქო წინასაარჩევნო კრების დანიშნულებას შეადგენს საარჩევნო ოლქში დასახელებული დებუტატობის კანდიდატთა განხილვა და გადაწყვეტილების მიღება შესაბამის საარჩევნო კომისიაში რეგისტრაციისათვის მათი წარდგენის შესახებ. საქართველოს სსრ კონსტიტუციის ცვლილება-დამატებათა და სახალხო დებუტატთა არჩევნების კანონპროექტებში, ზემოხსენებული საკანონმდებლო აქტებისაგან განსხვავებით, არ არის გათვალისწინებული საოლქო წინასაარჩევნო კრებების მოწვევის შესაძლებლობა. როგორც პრაქტიკამ გვიჩვენა, საოლქო წინასაარჩევნო კრება ქმნიდა იმის რეალურ საშუალებას,

რომ პარტიულ-ადმინისტრაციული აპარატი ჩარეულიყო არჩევნებში, გაეცხრა ილა დეპუტატობის კანდიდატა შემადგენლობა, რეგისტრაციაში არ გაეტარებინა დეპუტატობის არასასურველი კანდიდატი. აღნიშნული კრების გაუთვალისწინებლობა ჩვენი კანონპროექტების უთუო ღირსებად უნდა ჩაითვალოს.

იგივე ითქმის საზოგადოებრივ ორგანიზაციებში არჩეული დეპუტატების შესახებაც. ასეთი წესი, ესე იგი დეპუტატების არჩევა პარტიულ, პროფკავშირულ, კომკავშირულ ორგანიზაციებში, შემოქმედებით კავშირებში მათთვის წინასწარ განსაზღვრული ადგილების მიხედვით არღვევდა მოქალაქეთა თანასწორუფლებიანობის პრინციპს. მიუხედავად ამისა, ასეთი დებულება მაინც დაკანონებულია საკავშირო კონსტიტუციასა და სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა არჩევნების კანონში. საქართველოს კანონპროექტები კი მას არ ითვალისწინებენ და ეს, ჩვენი აზრით, დადებითი მოვლენაა.

სსრ კავშირის კონსტიტუციაში დაკანონებულია, რომ სსრ კავშირის, მოკავშირე რესპუბლიკისა და ავტონომიური რესპუბლიკის სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოებია შესაბამისი სახალხო დეპუტატთა ყრილობები (მუხ. 108, 137 და 143 1988 წლის 1 დეკემბრის კანონის რედაქციით). ჩვენი რესპუბლიკის ძირითადი კანონის ცვლილებებისა და დამატებების პროექტი ასეთი ახალი ორგანოს შექმნას არ ითვალისწინებს არც საკუთრივ საქართველოსთვის და არც მის შემადგენლობაში შემავალი ავტონომიური რესპუბლიკებისათვის. განსახილველი პროექტის მიხედვით, საქართველოსა და მისი ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლეს ორგანოებად მიჩნეულია საქართველოს სსრ, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ უზენაესი საბჭოები. ეს, ვფიქრობთ, გამართლებულია, შეესაბამება ჩვენი რესპუბლიკის პირობებს. ჯერ ისიც საკითხავია, ამართლებს თუ არა თავის დანიშნულებას სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობა. ყოველ შემთხვევაში, ჩვენი პატარა რესპუბლიკისათვის ასეთი დიდი და მოუქნელი, მოუხეშავი ორგანოს არსებობა მიზანშეუწონლად უნდა ჩაითვალოს. ჩვენთვის სავსებით საკმარისი იქნება უზენაესი საბჭო, რომელიც მუდმივმოქმედი პარლამენტის სახით იარსებებს და საგაზაფხულო და საშემოდგომო სესიებზე შეიკრიბება. იგი, თანამოსახელე საკავშირო ორგანოსაგან განსხვავებით, პირდაპირი არჩევნების გზით შეიქმნება.

ეს ყველაფერი კარგია, მაგრამ ახლა ისიც ვიკითხოთ — გვაქვს თუ არა ასეთი მოქმედების უფლება, ესე იგი შეგვიძლია თუ არა გადავუხვიოთ სსრ კავშირის კონსტიტუციას და რესპუბლიკაში დავაკანონოთ საკავშირო კანონისაგან განსხვავებული დებულებები?

ვფიქრობთ, რომ არსებობს ამისი როგორც იურიდიული, ისე პოლიტიკური საფუძველი. მივმართოთ ფაქტებს.

სსრ კავშირის 1936 წლის კონსტიტუცია განსაზღვრავდა, რომ მოკავშირე რესპუბლიკის ძირითადი კანონი მთლიანად უნდა შეესაბამებოდეს საერთო-საკავშირო კონსტიტუციას (მუხ. 16). საბჭოთა კავშირის 1977 წლის ძირითად კანონში კი ზოგადადაა ნათქვამი, რომ მოკავშირე რესპუბლიკის კონსტიტუცია „შეესაბამება სსრ კავშირის კონსტიტუციას“ (მუხ. 76). მაშასადამე, ამჟამად მოქმედი საკავშირო კონსტიტუცია, წინანდელი ძირითადი კანონისაგან განსხვავებით, აღარ მოითხოვს სსრ კავშირის კონსტიტუციასთან მოკავშირე რესპუბლიკის კონსტიტუციის სრულ შესაბამისობას. ესე იგი, დასაშვებია, რომ მოკავშირე რესპუბლიკის კონსტიტუცია შეიცავდეს სსრ კავშირის კონსტი-

ტუციისაგან განსხვავებულ დებულებებსა და ნორმებს. აქ მთავარს ის, რომ განსხვავებული ნორმები და დებულებები არ უნდა ეწინააღმდეგებოდნენ საბჭოთა საზოგადოებრივი და სახელმწიფო წყობილების ძირითად პრინციპებს. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ასეთი (ესე იგი საბჭოთა საზოგადოებრივი და სახელმწიფო წყობილების საწინააღმდეგო) შინაარსის მქონედ არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება მივიჩნიოთ ჩვენი კანონპროექტების არც ერთი ზემოხსენებული დანაწესი. ისინი შეესაბამებიან საქართველოს პირობებს და სსრ კავშირის კონსტიტუციის 76-ე მუხლის იმ დებულებას, რომ მოკავშირე რესპუბლიკის კონსტიტუცია ითვალისწინებს მის (შესაბამისი რესპუბლიკის) თავისებურებებს.

ამასთანავე, აქ აუცილებლად უნდა გავისენოთ ლენინის სადირექტივო ძიმართვა ქართველი კომუნისტებისადმი. აი, რას წერდა იგი 1921 წელს: „საქართველოს როგორც საშინაო, ისე საერთაშორისო პირობები მოითხოვენ ქართველი კომუნისტებისაგან რუსული შაბლონის გამოყენებას კი არა, არამედ... თავისებური ტაქტიკის მოხერხებულად და მოქნილად შემუშავებას“ (თხზ. IV გამოც., ტ. 32, გვ. 190). ლენინის ამ მოსაზრებას, ცხადია, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა 1921 წელს, მაგრამ იგი ჩვენთვის არანაკლებ ფასეულია დღევანდელ პირობებშიც. ასე რომ, უკეთუ ვინმე ჩვენი თავისებური სამართლებრივი ნორმების გამო თითის ქნევას დაგვიწყებს, ანდა მუშტს მოგვიღერებს, მას თამამად შეგვიძლია შევავებოთ ლენინის ესა და კიდევ სხვა მართებული დებულებები.

განსახილველი კანონპროექტებისათვის დამახასიათებელია გაბედულება და შემოქმედებითი ძიება. აშკარად შეიძინევა, რომ საქართველოს კომუნისტური პარტია და რესპუბლიკის უმაღლესი სახელმწიფო ორგანოები თანდათანობით იღებენ ხელს უსიტყვო მორჩილებასა და ბრმა მიმბაძველობაზე, ამკვიდრებენ ეროვნული ინტერესების გამოხატვისა და სამსახურის მართებულ პოზიციას. ჩვენი საზოგადოებრიობის მოვალეობაა ხელი შეუწყოს, დაეხმაროს მათ ამ სასიკეთო ტენდენციის შემდგომ გაღრმავებასა და განვითარებაში.

საქართველოს სსრ კონსტიტუციის ცვლილება-დამატებათა პროექტის მიხედვით, რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს გამგებლობას მიკუთვნებულ საკითხთა წრეში სახელდებით გამოიკვეთა უმნიშვნელოვანესი უფლებამოსილებანი. ისინი, კერძოდ, გათვალისწინებულია 104-ე მუხლის მე-2, მე-4, მე-5, მე-6 და 23-ე პუნქტში. სახელდობრ, მომავალი უზენაესი საბჭო, პროექტით განსაზღვრული ცვლილებებისა და დამატებების თანახმად, განიხილავს საქართველოს სსრ საზღვრებთან, სსრ კავშირის კონსტიტუციის 72-ე მუხლსა და საქართველოს სსრ კონსტიტუციის 69-ე მუხლთან (საბჭოთა კავშირიდან თავისუფალი გასვლის უფლებასთან), საქართველოს სსრ ტერიტორიაზე სსრ კავშირის კანონებისა და ქვეკანონური აქტების მოქმედებასთან დაკავშირებულ საკითხებს, ჩამოაყალიბებს საქართველოს სსრ საშინაო-პოლიტიკური და საგარეო-პოლიტიკური საქმიანობის ძირითად მიმართულებებს, გადაწყვეტს საკითხს საქართველოს სსრ მთავრობისადმი და მთავრობის წევრებისადმი ნდობის შესახებ. 115-ე მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებულია, რომ საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე საქართველოს სსრ უზენაეს საბჭოს წარუდგენს მოხსენებებს რესპუბლიკის მდგომარეობისა და საქართველოს სსრ საშინაო და საგარეო პოლიტიკის საკითხების შესახებ. ასევე განსაუთრებული მნიშვნელობისაა 113-ე მუხლის მე-7 პუნქტით დაწესებული

ახალი უფლებამოსილება — საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმში სსრ კავშირის კონსტიტუციის 119-ე მუხლის მე-14 პუნქტის შესაბამისად წყვეტს საკითხს რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე თუ ცალკეულ ადგილებში სამხედრო ან საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების საჭიროების შესახებ; წყვეტს რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე თუ ცალკეულ ადგილებში მოქალაქეთა ქცევის განსაკუთრებული რეჟიმის შემოღების საკითხებს.

საყურადღებოა საარჩევნო კანონმდებლობის რამდენიმე სიახლე. დღესდღეობით მოქმედი კანონებისაგან განსხვავებით, საქართველოს სსრ სახალხო დემუტატთა არჩევნებისა და რესპუბლიკის სახალხო დემუტატთა ადგილობრივი საბჭოების სახალხო დემუტატთა არჩევნების კანონპროექტებში აღარაა შეტანილი დებულება, რომ „სხვა მოკავშირე რესპუბლიკების მოქალაქენი საქართველოს სსრ ტერიტორიაზე სარგებლობენ საქართველოს სსრ მოქალაქეთა თანასწორი საარჩევნო უფლებებით“. ასეთი სამართლებრივი ნორმა ცალკე მუხლის სახითაა გათვალისწინებული, კერძოდ, უზბეკეთის სსრ კანონპროექტში ამ რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დემუტატთა არჩევნების შესახებ (იხ. გავითი „პრავდა“, 1989 წლის 2 სექტემბერი). ჩვენი რესპუბლიკის კანონპროექტები, სხვა მოკავშირე რესპუბლიკების მოქალაქეთა საარჩევნო უფლების გამორიცხვის გამო, აღარ ითვალისწინებენ საარჩევნო უზენაესი შექმნას სანატორიუმებსა და დასასვენებელ სახლებში, რკინიგზის სადგურებში, აეროპორტებსა და საზღვაო ნავსადგურებში (შეადარე საქართველოს სსრ მოქმედი კანონები რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოსა და ადგილობრივი საბჭოების არჩევნების შესახებ). სამაგიეროდ, საქართველოს სსრ სახალხო დემუტატთა არჩევნების კანონპროექტი ქმნის იმის შესაძლებლობას, რომ საარჩევნო უზენაესი შექმნას რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ არსებულ საქართველოს სსრ დაწესებულებებშიც (მუხ. 17). ეს სიახლე უთუოდ გამართლებული და მისაღებია. რესპუბლიკის სახელმწიფო ენის სტატუსის შესაბამისად, პროექტები მართებულად განსაზღვრავენ, რომ „საარჩევნო ბიულეტენები იბეჭდება ქართულ ენასა და საარჩევნო ოლქის მოსახლეობის ენებზე“ (ამჟამად არსებული წესის მიხედვით კი „საარჩევნო ბიულეტენები იბეჭდება იმ ენებზე, რომლებსაც საარჩევნო ოლქის მოსახლეობა ხმარობს“).

თანამედროვე საზოგადოებრივსა და სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში ახალგაზრდობის როლისა და ადგილის გათვალისწინებით, საქართველოს სსრ კონსტიტუციის ცვლილება-დამატებათა პროექტი სახალხო დემუტატობის კანდიდატების დასახელების უფლებას ანიჭებს საშუალო სპეციალური და უმაღლესი სასწავლებლების მოსწავლეთა და სტუდენტთა კოლექტივებს (მუხ. 96). მათივე წარმომადგენლები მონაწილეობენ საარჩევნო კომისიებში, რომლებიც უზრუნველყოფენ არჩევნების ჩატარებას. მათ გარანტირებული აქვთ სახალხო დემუტატობის კანდიდატთა პოლიტიკური, საქმიანი და პირადი თვისებების თავისუფალი და ყოველმხრივი განხილვის შესაძლებლობა, აგრეთვე კრებებზე, პრესაში, ტელევიზიითა და რადიოთი კანდიდატის სასარგებლოდ ან საწინააღმდეგოდ აგიტაციის უფლება (მუხ. 97). ანალოგიურ უფლებებს საშუალო სპეციალური და უმაღლესი სასწავლებლების მოსწავლეებისა და სტუდენტებისათვის აწევს აგრეთვე კანონპროექტები საქართველოს სსრ სახალხო დემუტატთა არჩევნებისა და ადგილობრივი საბჭოების სახალხო დემუტატთა არჩევნების შესახებ.

დროის სულისკვეთების შესაბამისად, საქართველოს სსრ სახალხო დემუტატობის

პუტატთა არჩევნებისა და რესპუბლიკის ადგილობრივი საბჭოების სახელმწიფო დეპუტატთა არჩევნების კანონპროექტებში განსაზღვრულია საზოგადოებრივ მოძრაობათა საარჩევნო უფლებამოსილებანი. მათი წარმომადგენლები შევლენ საარჩევნო კომისიებში. საზოგადოებრივი მოძრაობანი დაასახელებენ დეპუტატობის კანდიდატებს, მონაწილეობას მიიღებენ არჩევნების მომზადებასა და ჩატარებაში, დაესწრებიან საარჩევნო კომისიების სხდომებზე და ხმის მიცემის შენობებში.

ამასთანავე, უნდა ითქვას, რომ მართებულად ვერ ჩაითვლება ერთ-ერთი განსახილველი კანონპროექტის სახელწოდება — „საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კანონი საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა არჩევნების შესახებ“. აქ შინაარსის გაუთვალისწინებლად, მექანიკურადაა გამოყენებული შესაბამისი საერთო-საკავშირო კანონის სათაური („საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის კანონი სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა არჩევნების შესახებ“). მხედველობიდან არის გაშვებული ის გარემოება, რომ საკავშირო კანონი მოიცავს სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს ორსაფეხურიან სტრუქტურას (საბჭოების ყრილობასა და უმაღლეს საბჭოს). ჩვენი კონსტიტუციის ცვლილება-დამატებათა პროექტით კი, როგორც უკვე აღინიშნა, უარყოფილია საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა ყრილობა და რესპუბლიკის სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს სახით შენარჩუნებულია საქართველოს სსრ უზენაესი საბჭო. აქედან გამომდინარე, ჩვენი კანონის სახელწოდებაში „საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა“ ნაცვლად უნდა იყოს „საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატები“. ამგვარად, მართებული სახელწოდება იქნება „...კანონი საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატთა არჩევნების შესახებ“ (სწორედ ამნაირად უწოდებენ შესაბამის აქტებს სხვა მოკავშირე რესპუბლიკებშიც, მაგალითად, ლიტვასა და უზბეკეთში, რომელთაც უარი თქვენს სახალხო დეპუტატთა ყრილობის მოწვევაზე და დაგეგმეს თავიანთი უმაღლესი საბჭოების დეპუტატთა პირდაპირი არჩევნები). სათაურის ანალოგიურად შეიცვლება აგრეთვე კანონპროექტის მთელი ტექსტის სათანადო ადგილები.

უზუსტობაა დაშვებული საქართველოს სსრ კონსტიტუციის ცვლილებებისა და დამატებების პროექტში რესპუბლიკის კონსტიტუციური ზედამხედველობის კომიტეტის უფლებამოსილების განსაზღვრის დროს.

პროექტის 119-ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, საქართველოს სსრ კონსტიტუციური ზედამხედველობის კომიტეტი „საკუთარი ინიციატივით, საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ უზენაესი საბჭოების წინადადებებით წარუდგენს საქართველოს სსრ უზენაეს საბჭოს დასკვნებს, თუ რამდენად შეესაბამება საქართველოს სსრ კონსტიტუციას საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს აქტები, აგრეთვე ამ აქტების პროექტები“ (კომიტეტის დასკვნა აჩერებს სათანადო აქტის ან მისი ცალკეული დებულებების შესრულებას).

აქაც თავი იჩინა იმის გაუთვალისწინებლობამ, რომ ჩვენთან არ იქნება სახალხო დეპუტატთა ყრილობა და სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლეს ორგანოდ კვლავაც რჩება საქართველოს სსრ უზენაესი საბჭო. საკავშირო კონსტიტუციის ძალით, სსრ კავშირის კონსტიტუციური ზედამხედველობის კომიტეტს მისი შემქმნელი ორგანოს, ესე იგი სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობის მიმართ მხოლოდ ის უფლება აქვს, რომ წარუდგინოს მას

დასკვნა, თუ რამდენად შეესაბამება სსრ კავშირის კონსტიტუციას ყრილობის მიერ განსახილველი საკავშირო კანონების პროექტები. რაც შეეხება თვით კანონებს, რომლებიც ყრილობის მიერ იქნება მიღებული, მათი შემოწმება კონსტიტუციური ზედამხედველობის კომიტეტს არ შეუძლია. მაშ რატომ, რის საფუძველზე უნდა მიუწვდებოდეს ხელი საქართველოს სსრ კონსტიტუციური ზედამხედველობის კომიტეტს იმ აქტებზე, რომლებიც უკვე მიიღო მისმა შემქმნელმა ორგანომ — საქართველოს სსრ უზენაესმა საბჭომ? ცხადია, რომ მისი უფლებამოსილება უზენაესი საბჭოს განსახილველი აქტების მხოლოდ პროექტებზე უნდა ვრცელდებოდეს. მართალია, სსრ კავშირის კონსტიტუციური ზედამხედველობის კომიტეტის იურისდიქცია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოსა და მისი პალატების აქტებზედაც ვრცელდება, მაგრამ კომიტეტს, როგორც უკვე ითქვა, ქმნის არა უმაღლესი საბჭო, არამედ საბჭოების ყრილობა. ამიტომ გაუმართლებელია საკავშირო კონსტიტუციის ამ დებულების მექანიკურად გადმოტანა საქართველოს კონსტიტუციაში.


ამასთან ერთად, სსრ კავშირის კონსტიტუციური ზედამხედველობის კომიტეტი მისი შემქმნელი ორგანოს — სახალხო დეპუტატთა ყრილობის განსახილველი საკავშირო კანონების პროექტებზე დასკვნას წარადგენს არა რომელიმე სხვა ორგანოს, არამედ მარტოდენ თვით ყრილობის დავალებით. ასეთ უფლებამოსილებას საკავშირო კონსტიტუცია მოკავშირე რესპუბლიკების სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების მიმართაც კი არ ითვალისწინებს. აქედან გამომდინარე, უდავოდ გაუმართლებელი იქნება იმის დაკანონება, რომ საქართველოს სსრ კონსტიტუციური ზედამხედველობის კომიტეტმა წარადგინოს დასკვნა მისი შემქმნელი ორგანოს — საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს აქტების თუნდაც პროექტებზე (აღარაფერს ვამბობთ თვით აქტებზე) ავტონომიური რესპუბლიკების სათანადო ორგანოების წინადადებით.

მხედველობაშია მისაღები ისიც, რომ დასკვნის წარდგენას სსრ კავშირის კონსტიტუციური ზედამხედველობის კომიტეტს მისი შემქმნელი ორგანო — სახალხო დეპუტატთა ყრილობა ავალებს, სხვა ორგანოები კი მას წინადადებით მიმართავენ. ასეთი დიფერენცირება უთუოდ მიზანშეწონილია. გაუმართლებელია, რომ იგი უფულებელყოფილია საქართველოს სსრ კონსტიტუციის ცვლილება-დამატებათა პროექტში.

კონსტიტუციის ცვლილებებისა და დამატებების პროექტში არ არის შეტანილი მოქმედი ძირითადი კანონის პირდაპირი მითითება, რომ „საქართველოს სსრ კანონები მიიღება... სახალხო კენჭისყრით (რეფერენდუმით)...“ (104-ე მუხლის IV ნაწილი). ჩვენი აზრით, მიზანშეწონილი იქნება მისი შენარჩუნება.

პროექტით საქართველოს სსრ უზენაესი საბჭო გათვალისწინებულია 350 დეპუტატის შემადგენლობით. ჩვენი რესპუბლიკის სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს მოქნილი მუშაობისა და კვალიფიციურ დეპუტატთა არჩევის უზრუნველყოფის მიზნით, ალბათ, მიზანშეწონილი იქნება, თუ მისი შემადგენლობა 150-დან 200 კაცამდე განისაზღვრება.

იქნებ გამართლებული იყოს საქართველოს სსრ პრეზიდენტის პირდაპირი არჩევნების დაკანონება. იგი კონცენტრირებულად განახორციელებდა სახელმწიფოს მეთაურის ფუნქციებს, უზენაესი საბჭოს მუშაობის წარმართვა კი მთლიანად პრეზიდენტს დაეკისრებოდა.



ჯერ კიდევ 20 წლის წინათ აღვნიშნავდით: „სოციალისტური ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მშენებლობის თანამედროვე ეტაპზე უთუოდ მისაღებია წინადადება, რომ მოკავშირე რესპუბლიკების პროკურორთა დანიშვნა-გაწვევის უფლება მიეკუთვნოს ამ რესპუბლიკების უმაღლეს საბჭოებს“ (ი. ფუტკარაძე, საქართველოს საბჭოთა სახელმწიფოებრიობის განვითარება, თბ., 1969, გვ. 143-144). ამის განხორციელების საჭიროება კიდევ უფრო მეტად იგრძნობა თანამედროვე პირობებში. საწინააღმდეგო არგუმენტად წამოყენებული ცნობილი ლენინისეული წერილი „ორმაგი“ დაქვემდებარებისა და კანონიერების შესახებ გულისხმობს პროკურატურის ორგანოების ცენტრალიზაციას არა სსრ კავშირის, არამედ რუსეთის ფედერაციისა და, მაშასადამე, ცალკეული მოკავშირე რესპუბლიკების მასშტაბით. ზემოთქმულიდან გამომდინარე, მართებული იქნება, რომ საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს ფუნქციებს რესპუბლიკის კონსტიტუციის ცვლილება-დამატებათა პროექტის 104-ე მუხლის მე-19 პუნქტში („ირჩევს საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტსა და საქართველოს სსრ უზენაეს სასამართლოს; ნიშნავს საქართველოს სსრ მთავარ სახელმწიფო არბიტრს“) დამატოს საქართველოს სსრ პროკურორის დანიშვნა და პროკურატურის კოლეგიის დამტკიცება. ამ მოსაზრების გაზიარების შემთხვევაში პროექტის 115-ე მუხლის მე-3 პუნქტს, („საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე... საქართველოს სსრ უზენაეს საბჭოს წარუდგენს კანდიდატურებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის, საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარის, საქართველოს სსრ უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის, საქართველოს სსრ მთავარი სახელმწიფო არბიტრის თანამდებობებზე დასანიშნად თუ ასარჩევად“) ჩაემატება საქართველოს სსრ პროკურორის თანამდებობა, ხოლო 117-ე მუხლის მე-2 ნაწილს („საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის, საქართველოს სსრ უზენაესი სასამართლოს, აგრეთვე საქართველოს სსრ სახელმწიფო არბიტრატის კოლეგიების შემადგენლობაში თანამდებობის პირთა არჩევა და დანიშვნა ხდება, თუ არის საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს შესაბამისი მუდმივი კომისიების დასკვნა“) დამატება საქართველოს სსრ პროკურატურის კოლეგიის შემადგენლობა.

კონსტიტუციის ცვლილებათა და დამატებათა პროექტის 88-ე მუხლიდან მთლიანად ამოსალდება მე-2 ნაწილი — „სახალხო კონტროლის ორგანოები ამოწმებენ კანონმდებლობის მოთხოვნების, სახელმწიფო პროგრამებისა და დავალებების შესრულებას, იბრძვიან სახელმწიფო დისციპლინის დარღვევების, კუთხოურობის, საქმისადმი უწყებრივი მიდგომის გამოვლინებების, უყაიროათობისა და მფლანგველობის, საქმის გაჭიანურებისა და ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ; კოორდინაციას უწევენ სხვა საკონტროლო ორგანოების მუშაობას; ხელს უწყობენ სახელმწიფო აპარატის სტრუქტურასა და მუშაობის სრულყოფას“. სახელმწიფოს ძირითადი კანონისათვის ასეთი დეტალიზაცია სრულიად შეუფერებელი და მიუღებელია.

საკანონმდებლო ტექნიკის თვალსაზრისით და ენობრივადაც დასახვეწია აგრეთვე პროექტის ზოგი სხვა ადგილი.

განსახილველი კანონპროექტები მრავალმხრივაა საინტერესო და საყურადღებო. ჩვენი მოქალაქეობრივი ვალია გულდასმით გავეცნოთ ამ დოკუმენტებს და შევიმუშავოთ მათ მიმართ მტკიცე და პრინციპული პოზიცია.

306-მართლად, 306-მრუდე სარკეში..

საქართველოს სსრ უმაღლესი საჯროს ძალაშ თბილისში 9 აპრილს
მომხდარი ტრაგედიის გარემოებათა გამომჟღავნებელი რესპუბლიკური
კომისიის ინფორმაციის საკითხთა ძველომისიის
დასკვნა


ინფორმაციის ქვეკომისიამ, რომლის შემადგენლობაში იყვნენ ქართული
კულტურის ცნობილი წარმომადგენლები — მეცნიერები, ჟურნალისტები,
მწერლები, შეისწავლა მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა მუშაობა.

კომისიას მიაჩნია, რომ გაზეთების უმრავლესობა პირველ ხანებში, სა-
ქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 14 აპრილის პლენუმამდე
შემოიფარგლა მიტინგების შესახებ ძუნწი ინფორმაციებითა და ფოტოილუს-
ტრაციებით, უარი თქვა ღრმა, ობიექტურ პუბლიკაციებზე, რომელშიც გამოი-
ხატებოდა სხვადასხვა საზოგადოებრივი ჯგუფის, არაფორმალური გაერთიან-
ებების, სტუდენტობის მოთხოვნების არსი. პრესა, სამწუხაროდ, ვერ გახდა
კრიზისის მათწყებელი, ოპერატიული და გულახდილი დისკუსიების ტრიბუნა.
გამოქვეყნებულ მასალებში გამოიხატა რესპუბლიკის ოფიციალური ხელმძღ-
ვანელობის თვალსაზრისი. თავიდან ვერ აიცილა რა „ზემოდან“ ნაკარნახევი
ინფორმაციულობა, პრესამ ვერ გამოიტანა დასკვნები 1988 წლის ნოემბრის
ამბების გამოცდილებიდან, თავი აარიდა იანვრის, თებერვლის, მარტის მიტინ-
გების ანალიზს, ჩამორჩა მოვლენების სწრაფ მიმდინარეობას. და ამგვარად
ვერ დადგა მყარ ეროვნულ პოზიციებზე.

სისხლიანი კვირის დღეს თითქმის მთელი დღე დუმდა საქართველოს ტე-
ლევიზია და რადიო. მთავრობის მიმართვა საქართველოს მშრომელებისადმი
დაიბეჭდა პრესაში მშვიდობიანი მცხოვრებლების, ქალების, არასრულწლოვა-
ნების ანგარიშსწორების შემდეგ. ამ მიმართვას, ისევე როგორც ტელევიზიით
8 აპრილს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ყოფილი პირ-
ველი მდივნის ამხ. ჯ. პატიაშვილის გამოსვლას, ფაქტიურად არ ჰქონია ეფექტი.

კომისიას მიაჩნია, რომ რესპუბლიკის ჟურნალისტები მაშინვე უნდა გა-
მომხატებოდნენ ამ ამბებს, რომლებმაც მთელი რესპუბლიკა ააფორიაქა და
უდიდესი საზოგადოებრივი რეზონანსი გამოიწვია მსოფლიოში. ეს კი, რა
თქმა უნდა არ მომხდარა. აპრილის პირველ დღეებში ცენზურის ზეგავლენით
რედაქციების უმრავლესობამ გამოიჩინა გასაკვირველი პასიურობა, შეეცადა
მიეჩუმათებინა სიმართლე; ამის უფლებას კი, უპირველესად დიდი ილიას
ნაანდერძე-ნაკარნახევი არ გვაძლევდა — „ჩემო კალამო, ჩემო კარგო, რად
გვინდა ტაში? რასაც ვმსახურებთ, მას ერთგულად კვლავ ვემსახურებთ, ჩვენ
წმინდა სიტყვა უშიშარად მოვფინოთ ხალხში...“

გაზეთმა „კომუნისტმა“ პირველი თერთმეტსტრიქონიანი ინფორმაცია
„მიტინგი თბილისში“ დაბეჭდა 6 აპრილის ნომერში მთავრობის სახლთან მო-



ქართული
ლიბრეოთეკა

შემწილეთა შესახებ, მას მოჰყვა მცირე ინფორმაცია ეგრეთ წოდებული „დახაზური“ საკითხის მოხსენიებით. 8 აპრილს გამოქვეყნებულ სტატიამ „მოწოდება კეთილგონიერებისათვის“ ხაზგასმული იყო, რომ უსანქციო მიტინგები ართულდნენ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებას, ტრანსპორტის მუშაობას, არღვევდნენ ქალაქის შრომითს რიტმს; ტრაგედიის შემდეგ 11 აპრილს „კომუნისტმა“ გამოაქვეყნა მწუხარებით აღსავსე გამოხმაურებანი. ემოციური განწყობილებითა და აზრით უნდა გამოიყოს მეცნიერების: ვახუშტი კოტეტიშვილისა და ვალერიან ადვაძის პუბლიკაციები, პირველებმა რომ დაარისხეს გლოვის ზარები და თბილისის ტრაგედიას უწოდეს „გარდაქმნისათვის ზურგში ჩაცემული ლახვარი“. 12 აპრილის ნომერში მკაფიოდ გამოვლინდა სიტუაციის ორპოფობა; გამოჩნდა ყურნალისტთა ობიექტური პოზიცია, მათი მისწრაფება, ემსახურონ ჭეშმარიტებას, სიმართლეს მოვლენათა გაშუქებაში; დაიბეჭდა რეპორტაჟი საავადმყოფოდან, როცა გაზეთმა, პირველმა რესპუბლიკაში, განაცხადა, რომ არიან დაზარალებულნი ქიმიური მოწამვლის შედეგად. გამოქვეყნდა სახელმწიფოსა და სამართლის ცენტრის თანამშრომელთა კოლექტიური წერილი, რომლებიც მოითხოვდნენ შექმნილიყო ტრაგედიის გარემოებათა გამოძიებელი სახელმწიფო კომისია; ერთი სიტყვით, შეფასდა ტრაგედია. ამ დროს თავი იჩინა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ზეგავლენამ, რომელიც მოითხოვდა ოფიციალური საინფორმაციო ბლოკების გამოქვეყნებას, სადაც ბრალს სდებდნენ არაფორმალურ გაერთიანებათა ხელმძღვანელებს, ხაზს უსვამდნენ ლოზუნგებისა და მოთხოვნების ანტისაბჭოთა, ანტირუსულ ხასიათს. როგორც კომისიას აცნობა გაზეთის რედაქტორმა ნ. ჩერქეზიშვილმა, ეს ინფორმაციები, შეფასების კრიტერიუმები, ფორმულირებები, რომელთა სტილისტიკა და განწყობა საოცრად ემთხვეოდა მოსკოვში გაგზავნილი დეპეშების ტექსტს, 14 აპრილს „ზარია ვოსტოკაში“ გამოქვეყნებული სარედაქციო სტატიის მიმართულებას, რედაქტორებს მოსდიოდათ უშუალოდ საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პრესცენტრიდან.

14 აპრილის შემდეგ გაზეთი აქტიურად და ფართოდ აშუქებდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს 9 აპრილს მომხდარი ტრაგედიის გარემოებათა შემსწავლელი რესპუბლიკური კომისიის მუშაობას, ეფექტიანი იყო საქართველოს ყურნალისტთა კავშირის პოზიციაც მოსკოვში პრესკონფერენციის, საქართველოს ყურნალისტთა კავშირში ღია პარტიული კრების ორგანიზაციისა და მოწყობის დროს, რომელზეც რესპუბლიკის ყურნალისტებმა პროტესტი განაცხადეს საკავშირო გამოცემების, პროგრამა „ვრემიას“ წინააღმდეგ, რომლებიც ტენდენციურად და არაობიექტურად აშუქებდნენ აპრილის ამბებს.

გაზეთ „ზარია ვოსტოკას“ რედაქციის მიერ, კომისიისათვის წარმოდგენილ ცნობაში, გაზეთის პუბლიკაციათა ხასიათი 9 აპრილის ამბების შემდეგ პირველ დღეებში მთლიანად ახსნილია კომენდანტის საათისა და გაძლიერებული ცენზურის პირობებით. აღნიშნულია, რომ მხოლოდ კომენდანტის საათის მოხსნის შემდეგ მიიღო რედაქციამ შესაძლებლობა დაებეჭდა ობიექტური ინფორმაცია მომხდარ ამბებზე, საკადრისი პასუხი გაეცა ზოგიერთი გამოცემის არაობიექტური ტენდენციური გამოვლენებისათვის. მართლაც, მთელი რიგ თავის გვიანდელ პუბლიკაციებში გაზეთი უარყოფს იმ ტენდენციურ

ზევრად ყალბ განმარტებას, რომლის პროპაგანდასაც, სამუხსაროდ, თავდადებით ვეწყობდა ხელს პირველ დღეებში.

აქ გამოვლინდა ჩვენი საინფორმაციო პოლიტიკის დამახასიათებელი პარადოქსი: ორიენტირება მიმდინარე მომენტის მორიგ ოფიციალურ მითითებაზე. სწორედ ამის გამო გახდა შესაძლებელი 14 აპრილის სარედაქციო სტატიის დაბეჭდვა, რომელსაც ფართო უარყოფითი საზოგადოებრივი რეზონანსი მოჰყვა.

ეს სტატია რამდენიმე მიზეზის გამო კომისიის განსაკუთრებული ყურადღების საგანი გახდა:


1. იგი ყველაზე თანამიმდევრულად და მკაცრად ავითარებდა მომხდარის პირველი ოფიციალური ვერსიის დებულებებს იმის შესახებ, რომ აპრილის ამბები ავანტიურისტთა და დემაგოგთა ნამოქმედარია, რომ მიტინგების მშვიდობიანი ხასიათი ილუზიაა, რადგან არსებობდა „ძალაუფლების ხელში ჩაგდების რეალური საფრთხე“, რომ გადაწყვეტილება ძალის გამოყენების შესახებ იყო ყოველმხრივ გამართლებული პოლიტიკური გადაწყვეტილება და ა. შ.

2. სტატია გამოქვეყნდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გახსნის დღეს, რომლის დღის წესრიგი იყო „რესპუბლიკაში პოლიტიკური ვითარების შესახებ“; თვითონ ეს ფაქტი მოწმობს გარკვეულ მისწრაფებას, დაასწროს მის დასკვნებს, წარმართოს ისინი გარკვეული კალაპოტით.

3. ამგვარი სტატიის რუსულ გაზეთ „ზარია ვოსტოკაში“ და არა ქართულ „კომუნისტში“ გამოქვეყნების ფაქტი (თუმცა ჩვეულებრივ მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი საკითხების პრინციპულ შეფასებებს მკითხველი თავდაპირველად სწორედ ამ უკანასკნელში პოულობს), გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ ამას გარკვეული შორსმჭვრეტელური მიზეზებიც ჰქონდა. როგორც ცნობილია, სტატია შემდეგში დაწვრილებით მოიყვანა სსრ კავშირის სახალხო დებუტატთა ყრილობაზე გენერალმა ი. როდიონოვმა 9 აპრილს სამხედროთა მოქმედების გასამართლებლად, რაც თავისთავად მოწმობს, რომ ავტორის (ან ავტორების) და სარდლობის პოზიციები ახლოს დგას ერთმანეთთან.

უნდა აღინიშნოს, რომ სტატია, არსებითად დიდად არ განსხვავდებოდა იმ ოფიციალური ცნობების ტონისაგან, რომლებითაც სავსე იყო „ზარია ვოსტოკას“ ფურცლები 9 აპრილის შემდეგ.

უნდა აღვნიშნოთ, რომ გაზეთმა „ზარია ვოსტოკამ“ თავის პუბლიკაციებში 31 მაისს, შემდეგ კი მისმა რედაქტორმა ამხ. ა. იოსელიანმა კომისიის და ქვეკომისიის სხდომებზე, თვითონ იკისრა სარედაქციო სტატიის გამოქვეყნებისათვის პასუხისმგებლობის გარკვეული წილი. მიუხედავად იმისა, რომ რედაქცია წინააღმდეგი იყო ამ მასალის დაბეჭდვისა, ბოლომდე ვერ გაუწია წინააღმდეგობა მაშინდელი ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივნის ბ. ნიკოლსკის დიქტატს. კომისიამ დაადგინა, რომ სტატია მომზადდა ბ. ნიკოლსკის უშუალო მითითებით და მერე გვიან ღამით გადაეგზავნა რედაქციას ცენტრალური კომიტეტის იდეოლოგიური განყოფილების გამგის მოადგილის ამხ. მ. გულიევის ხელით. შემდეგ კი ბ. ნიკოლსკის მოთხოვნით სტატიის დედანი ისევ ცენტრალურ კომიტეტში დაბრუნდა. კომისიის წინაშე ამხ. ა. იოსელიანის მიერ გაკეთებული ინფორმაციიდან გაირკვა, რომ სტატიის პუბლიკაციის თაობაზე ბ. ნიკოლსკის დავალების გადაცემაში თავდაპირველად მონაწილეობდა ნ. ფოფხაძე.



ეს ტენდენციური, ყოფილი პოლიტიკური ხელმძღვანელობისა და სამხედრო სარდლობისათვის საპროგრამო სტატია, რომელიც საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში შეიქმნა, გადაბეჭდა გაზეთმა „ვეჩერნი ტბილისმა“, თუკი ქართულ საქალაქო გაზეთ „თბილისს“ ტრაგედიის შემდეგ პირველ დღეებშივე ეყო ობიექტურობა გამოეთქვა თავისი პოზიცია ჯ. ჩარკვიანის, ნ. მგელაძის, კულტურის მოღვაწეთა პუბლიკაციებით, რომლებშიც დაგმობილია სისასტიკე, ძალადობა, გაანალიზებულია ეროვნული ტრაგედიის მასშტაბი, იგივეს ვერ ვიტყვით გაზეთ „ვეჩერნი ტბილისის“ შესახებ.

მაგალითად, 11 აპრილს გაზეთი იუწყებოდა: „სწორედ ზოგიერთი თვითმარქვია ექსტრემისტი ლიდერისა და ნაციონალისტების სინიდისზეა თბილისში მომხდარი ტრაგიკული ამბები, უწყსრიგობანი, რომლებსაც მსხვერპლი მოყვა. ნაციონალისტურმა გამოვლინებებმა ანტისოციალისტური ელფერი შეიძინა“.

„საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში გამართული ბრიფინგები, სამხედროთა მეტად წინააღმდეგობრივი განცხადებების გამო, იმის ნაცვლად, რომ ინფორმაციები მიეწოდებინათ, ხშირად ყურნალისტთა დეზორიენტაციას იწვევდა, რაც რედაქციამ საჭიროდ ჩათვალა გამოეთქვა მასალაში „გამოვიტანთ თუ არა დასკვნებს?“

ასეთია ის ინფორმაცია, რომლითაც შემოვიდა ქვეკომისიის წინაშე „ვეჩერნი ტბილისის“ რედაქტორი ვ. ანასტასიადი.

ესმოდათ რა თბილისში შექმნილი სიტუაციის მთელი სირთულე, ცენზურის მტკიცე „ლაგამი“, რესპუბლიკის ყურნალისტები ცდილობდნენ ეთქვათ სიმართლე. იჩენდნენ ვაჟკაცობას და პატიოსნებას. ამ თვალსაზრისით კარგი ვაკვეთილი მოგვცეს რესპუბლიკის ახალგაზრდულმა გაზეთებმა.

„მოლოდიოჟ გრუზიის“ 6 და 8 აპრილის ნომერებში დაბეჭდილია მომხდარი ამბების შეფასების შემცველი მასალები. ასეთია, კერძოდ, 6 აპრილს გამოქვეყნებული პუბლიკაცია „კონფრონტაცია თუ დიალოგი?“, რომელიც ეხება საქართველოს საზოგადოებრიობის რეაქციას „აფხაზურ წერილსა“ და სოფელ ლიხნში გამართულ მიტინგზე მიღებულ მიმართვაზე. სტატიაში გატარებულია აზრი, რომ საჭიროა აღიკვეთოს მონაჭორები, არგუმენტირებული, მეცნიერულად დასაბუთებული პასუხი ვასცენ ამ პრეტენზიებს მეცნიერმა ისტორიკოსებმა. 8 აპრილს გაზეთმა დაბეჭდა მერაბ მამარდაშვილის ინტერვიუ „ფილოსოფოსი პოლიტიკაში არ ერევა, მაგრამ მას უნდა მოუსმინონ“, რომელშიც გაანალიზებულია რესპუბლიკაში მომხდარი უმნიშვნელოვანესი ამბები, განხილულია არაფორმალთა პოზიციები.

13 აპრილის ნომერში გაზეთმა გამოაქვეყნა „ლიტერატურნაია გაზეტას“ მიმომხილველის იური როსტის რეპორტაჟი. აღმოჩნდა რა მოვლენების თვითმხილველი, როსტმა, როგორც ჭეშმარიტმა პროფესიონალმა, ყველაფერი იღონა, რათა დოკუმენტურად აღებეჭდა ის, რაც მოედანზე ხდებოდა. ი. როსტმა დაბეჭდა ფოტოსურათები, დაწერა ტექსტი, რომელშიც არავითარ შეფასებას არ იძლეოდა და მოჰყავდა მხოლოდ თვითმხილველის მოწმობანი, გადასცა „ლიტერატურნაია გაზეტას“. რადგან გაზეთმა გარკვეული მიზეზების გამო უარი თქვა გამოქვეყნებინა მასალა, „მოლოდიოჟ გრუზიიმ“ სთხოვა ავტორს მიეცა მისთვის კორექსონდენცია და ფოტოსურათები. დასაბეჭდად რედაქტორისა და მთავლიტის მიერ ხელმოწერილი ნომერი წავიდა საგაზეთო კორპუსში, მაგრამ 13 აპრილს დილის 4 საათზე სტამბას ალყა შემოარტყეს სამხედროებმა, ბრძანება ვასცენ არ დარიგებოდათ „მოლოდიოჟ გრუზიი“ ხელის-

მომწერებს და ჯიხურებს. დააპატიმრეს მთელი ტირაყი. მხოლოდ პოლიტიკურს წევრის ე. შევარდნაძისა და პოლიტიკურს წევრობის კანდიდატის გ. რაჭუმოვსკის ჩარევის შემდეგ, გაზეთი მიიღეს მხოლოდ თბილისელმა ხელისმომწერებმა.

მიღებული გადაწყვეტილებების, არმიისა და სამოქალაქო ხელისუფალთა მოქმედების კანონიერების საკითხს გაზეთი რეგულარულად აშუქებდა.


ნომერი, რომელშიც ე. იაკოვლევის ინტერვიუ (20 აპრილი) გამოქვეყნდა, მთავლიტის ნებადაურთველად გამოვიდა. ეს მჭიდროდ უკავშირდება იმას, რომ ზუსტად წინა დღეს „მოსკოვსკიე ნოვოსტის“ ნომერი, რომელშიც დაბეჭდილი იყო ობიექტური რეპორტაჟი და სსრ კავშირის კინემატოგრაფისტთა კავშირისაგან დეპუტატთა ჯგუფის განცხადება, გამოვიდა ცენზურის ვიზის გარეშე. იმ ანალიზით, რომელსაც იაკოვლევი აკეთებს თბილისის მოვლენების გამო, გასაგები ხდება, რომ ტრაგედიის მიზეზები სცილდება შიდა რესპუბლიკური დონის ფარგლებს, იგი იმ პროცესების შედეგია, რომლებიც აქტიურად ეწინააღმდეგება გარდაქმნას, განსაკუთრებულად პრიმიტიულია ყოველივე ამის ეროვნული გამოვლინებებით შემოფარგვლა.

ტრაგედიის პირველი დღეებიდანვე საკავშირო გაზეთებში ცხადი გახდა, რომ ხდება ანტირუსული განწყობილებების ხელოვნური დაძაბვა. მით უფრო აქტიურად გაისმა 18 აპრილის ნომერში ი. ბოგომოლოვის, კ. გერასიმოვის, ვ. სიომინას, ა. ანპილოვოვის, ვ. სანეევის წერილი „ვის აძლევს ეს ხელს?“, რომელშიც რესპუბლიკის რუსულენოვანი მოსახლეობის პოზიციებიდან ბათილდება მითი, თითქოს საქართველოში ანტირუსული განწყობილებები არსებობდეს, თითქოს ავიწროებდნენ სხვა ეროვნების წარმომადგენლებს.

პირველი ინფორმაციები თბილისისა და რესპუბლიკის სხვა ქალაქებში მიტინგების შესახებ 25 მარტს გაჩნდა „ახალგაზრდა კომუნისტი“. შემდეგ ნომრებში დაიბეჭდა ინფორმაციები „აფხაზური წერილის“ თაობაზე, აფხაზი ინტელიგენციის გარკვეული ნაწილის სეპარატისტული ტენდენციების და ქართველი საზოგადოებრიობის მიერ ამ პროვოკაციული წერილის მკვეთრი და კრტიკული შეფასების შესახებ. 13 აპრილს დილით ახალგაზრდული გაზეთების ორივე რედაქტორი ვ. აბაშიძე და მ. ბალარჯიშვილი გამოიძახეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში. სკკპ ცენტრალური კომიტეტის იდეოლოგიური განყოფილების სექტორის გამგემ ვ. ბაკლანოვმა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის პასუხისმგებელმა მუშაკმა ვ. ბუიანოვმა გულისწყრომით აცნობეს რედაქტორებს, რომ მიზანშეუწონელია მათი ყოფნა პოსტებზე, აღძრეს რედაქტორთა პარტიული პასუხისმგებლობის საკითხი.

მომდევნო ნომრებში „ახალგაზრდა კომუნისტი“ სისტემატურად ბეჭდავდა მეცნიერთა, კულტურის მოღვაწეთა სტატიებს. მოითხოვდა არაფორმალური გაერთიანებების ლიდერთა განთავისუფლებას, საქართველოში უცხოელ მედიკოსთა, საერთაშორისო წითელი ჯვრის სპეციალისტთა გამოძახებას. 15 აპრილს გაზეთი გამოვიდა 9 აპრილს დალუბულთა ხსოვნის მემორიალის შექმნის ინიციატივით.

ძალზე პრინციპული იყო ყურნალ „საქართველოს კომუნისტის“ რედაქციის პოზიცია აპრილის მოვლენათა შეფასებაში. 11 აპრილს ღია პარტიულ კრებაზე რედაქციამ პირველად შეაფასა მოვლენები ზნეობრივი თვალსაზრისით — როგორც ტრაგედია, პოლიტიკური თვალსაზრისით — როგორც კრიზისი, გამოიტანა დასკვნა, რომ საჭიროა საქართველოს კომპარტიის ცენტ-



რალური კომიტეტისა და მთავრობის ხელმძღვანელების გადადგომა. კოლექტივის გადაწყვეტილება ჟურნალის რედაქტორმა ვ. კეშელავამ გადასცა ცენტრალური კომიტეტის მდივანს იდეოლოგიის დარგში ნ. ფოფხაძეს.

აღსანიშნავია კინოსტუდია „ქართული ფილმის“ გაზეთის „ქართული ფილმის“ ზუსტი პოზიცია და მიმართულება. გაზეთმა ჯერ კიდევ აპრილის ამბებამდე დაგმო აფხაზი ინტელიგენციის გარკვეული ნაწილის პროვოკაციული მოთხოვნები. 19 აპრილის ნომერში გამოქვეყნებულია სრული ანგარიში კინოსტუდიაში ე. შევარდნაძესა და გ. რაზუმოვსკისთან შეხვედრის შესახებ, დაბეჭდილია მიმართვა მიხეილ გორბაჩოვისადმი, რომელსაც ხელს აწერენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატები. განსაკუთრებული საზოგადოებრივი რეზონანსი მოიპოვა გაზეთის ინიციატივით გამართულმა შეხვედრამ ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის გაზეთ „ლენინსკოე ზნამიას“ რედაქციასთან. ანგარიში ამ შეხვედრის შესახებ, რომელზეც ამხილეს გაზეთის მთელი რიგი პუბლიკაციების სიყალბე და ტენდენციურობა, გამოქვეყნდა 26 აპრილის ნომერში.


გაზეთი „ქართული ფილმი“ სისტემატურად აქვეყნებდა საპროტესტო წერილებს, მკაცრად აკრიტიკებდა ტენდენციურ გამოსვლებს არმიის დასაცავად, რომლებიც შეურაცხყოფდა ქართველ ერს. დაიბეჭდა რეპორტაჟი სავადმყოფოდან, ინტერვიუ 9 აპრილს დაშავებულებთან, გამომზეურდა უბედურების ტრაგიკული ფურცლები, გამოქვეყნდა აკადემიკოს ა. სახაროვთან პრესკონფერენციის რეპორტაჟი, რომელიც მთავრდებოდა სიტყვებით: „დიანხ, ჩემი აზრით, დამნაშავეა მთავრობა“...

გაზეთმა „ლიტერატურულმა საქართველომ“, რომელიც სამართლიანად პოპულარულია მკითხველთა შორის, აპრილის ნომერებში გამოაქვეყნა მრავალი მნიშვნელოვანი მასალა, გამორჩეული ჟანრების მრავალფეროვნებით, ეროვნული სულისკვეთებით, პუბლიცისტურობით, თუმცა უნდა ითქვას, რომ თბილისის ტრაგედიის შემდეგ გაზეთის პირველი ნომერი შედარებით ფერმკრთალი მოგვეჩვენა. დაახლოებით იგივე შეიძლება ითქვას „სახალხო განათლებაზე“.

9 აპრილის ტრაგედიამდე და შემდეგ საქართველოს ტელევიზიის გადაცემათა ანალიზის დროს ქვეკომისიამ გამოავლინა ტენდენციები, რომლებიც ახასიათებდა აღნიშნულ პერიოდში ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტის მუშაობას. 1. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ძლიერი ზეგავლენა და პრესინგი, რომელიც კონტროლს უწევდა ყველა პროგრამას; 2. სამხედრო სარდლობის ზემოქმედება კოლექტივზე.

ტრაგედიის წინა დღეებში 7 და 8 აპრილს ეთერში ძირითადად გადაიცემოდა მოწოდებანი სიმშვიდისათვის, მიმართვები ხალხისადმი, საზოგადოებრიობის წარმომადგენლებისადმი, გადაიცა ამერიკელი ჟურნალისტების მიერ მომზადებული სიუჟეტი მიტინგების შესახებ, რ. ჩხეიძის პირდაპირი მიმართვა ი. როდიონოვისადმი — არ გაემეორებინა 1956 წლის ტრაგედია და გამოენახათ არაფორმალურ გაერთიანებებთან დიალოგის გამართვის გზები.

ტრაგედიის შემდეგ, 9 აპრილს, ტელევიზია უპირატესად ღუმდა. ეთერში გავიდა მხოლოდ სამი გადაცემა: 16 საათზე — ცენტრალური კომიტეტის მიმართვა მშრომელებისადმი, 22 საათსა და 50 წუთზე — ი. როდიონოვის გამოსვლა, რომელმაც გამოაცხადა, რომ შემოღებულია კომენდანტის საათი, იგი



სტუდიაში 22 საათსა და 30 წუთზე მოვიდა. გამოსვლა დამთავრდა კომენ-
დანტის საათის შემოღების დრომდე 4 წუთით ადრე.

10 აპრილიდან დაიწყო ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის ი. მენღარი-
შვილის ყოველდღიური ინფორმაციები, რომლებიც ამხელდნენ მოსახლეო-
ბის წინააღმდეგ მიმართული აქციის სისასტიკეს. 11 აპრილს ტელეგადაცემაში
საქართველოს მეცნიერებათა აკადემიიდან, რომელშიც მონაწილეობდნენ ამ-
ხანაგები ე. შევარდნაძე და გ. რაზუმოვსკი და სადაც ვრცელი სიტყვა წარ-
მოსთქვა ელჟარდ შევარდნაძემ, პირველად ითქვა სრული სიმართლე, პირვე-
ლად არ გაუკეთდა აქცენტი არაფორმალთა ლიდერების დანაშაულს; ითქვა,
რომ რაც შეიძლება მალე უნდა გაუქმდეს კომენდანტის საათი თბილისში. 14
აპრილს ჯანმრთელობის დაცვის მინისტრმა პირველად აუწყა მსმენელებს, რომ
თბილისში გამოიყენეს მომწამვლელი ქიმიური ნივთიერებები.

დიდი რეზონანსი გამოიწვია ტრანსლაციამ უნივერსიტეტიდან (შეხვედრა
ე. შევარდნაძესთან და გ. რაზუმოვსკისთან).

გაეცნო რა საქინფორმის თანამშრომელთა მიერ მომზადებულ მასალებს,
ქვეკომისია აღნიშნავს, რომ ჯერ კიდევ 8 აპრილს, ტრაგედიამდე რამდენიმე
საათით ადრე, თბილისში ჩამოვიდა საკდესის ორი კორესპონდენტი, რომლე-
ბიც მუშაობდნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეს-
ცენტრში. საკდესის პირველი ინფორმაცია თბილისის ამბების შესახებ არ გა-
დაცემულა საქინფორმის მეშვეობით; ამის შესახებ საქინფორმის დირექტორმა
ე. კანდელაკმა განაცხადა 10 აპრილს საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ
კომიტეტში გამართულ თათბირზე. ცენტრალური კომიტეტის, მინისტრთა საბ-
ჭოს, უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიმართვა რესპუბლიკურმა გაზეთებმა
მიიღეს არა საქინფორმის არხებით ისე როგორც სარედაქციო სტატია 14 აპ-
რილის „ზარია ვოსტოკაში“. ტრაგედიის შემდეგ საქინფორმში შეიქმნა მოვ-
ლენათა გამაშუქებელი სპეციალური ბრიგადა, რომელიც მუშაობდა საქართ-
ველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან შექმნილ პრესცენტრში. უნდა
აღინიშნოს, რომ მეტ წილ შემთხვევებში საქართველოს კომპარტიის ცენტ-
რალურ კომიტეტში, ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროში, სამხედრო კომენ-
დანტის აპარატში მომზადებული მასალები გადაიცემოდა შეცვლის უფლების
გარეშე.

საქინფორმის საკუთარი მასალები ამ პერიოდში იყო არა შეფასებითი,
არამედ წმინდა ინფორმაციული ხასიათისა. პრაქტიკულად ყოველ მასალას
ვიზას აძლევდნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში. ამ პე-
რიოდში ერთადერთი არავიზირებული მასალა იყო სტატია „საჭიროა მხოლოდ
სიმართლე“, რომელიც მიეძღვნა 10 აპრილს ე. შევარდნაძისა და გ. რაზუმოვ-
სკის შეხვედრას ინტელიგენციასთან. სამხედრო სარდლობის დიქტატი, შეფა-
სებათა ცალმხრივობა და არაობიექტურობა განსაკუთრებით სრულად გამოვ-
ლინდა ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის ორგანოს — გა-
ზეთ „ლენინისკოე ზნამიას“ პუბლიკაციებში. „კრასნაია ზევზადან“ ტენ-
დენციური ინფორმაციების, ცალკეული ავტორების გამომხატურებებისა და რე-
პორტაჟების გადმობეჭდვით, ჯგუფური რეპორტაჟებით — „სამი კალმით“,
მრავალრიცხოვანი შეხედულებების გამოქვეყნებით რედაქცია თავდაპირვე-
ლად ცდილობდა დაემაღლა სიმართლე და თეზისი ჭყლეტაში დაღუპულთა შე-
სახებ დაესაბუთებინა „ექსტრემისტთა აღვირახსნილი ბრბოს მიერ დაზარალე-
ბულ სამხედრო მოსამსახურეთა ნაამბობით“. 13 აპრილის ნომერში დაბეჭდილ

საქ. სსრ კ. მარქსის
საბ. საბ. 61 ბ.

19103

რეპორტაჟებში კომენდანტის საათის მოქმედების პერიოდში ღამის თბილისის ქუჩებიდან ვ. დენისოვი, დ. კუშნირი, ე. დრობოტი ხაზს უსვამენ ჯარისკაცების კეთილმოსურნეობას, წერენ საკომენდანტო უბნებში კორექტულობაზე, სიცილსა და ხუმრობაზე საგუშაგოებში, და ამით აყალბებენ ტრაგიკულ რეალობას და არაფერს იტყობინებოდნენ გ. ქარსელაძის მკვლელობის, 13 წლის ბიჭის დაჭრის თაობაზე.

გაზეთმა უხვად დაუთმო ადგილი ანტიქართულ სტატიებს, გადმობეჭდა ა. აბრამკინის სტატია „ლიტერატურნაია როსიიდან“. მოაწყო მასზე გამოხმაურებების სერია; უფრო შორსაც წავიდა, — დაბეჭდა პოლკოვნიკ ი. პავლოვის ვრცელი ტრაქტატი „საკითხებს მოხსნის მხოლოდ სიმართლე“, რომელიც 10 ივნისიდან მოყოლებული „ლენინსკოე ზნამიას“ ოთხ ნომერში გაგრძელდა. იგი მიმართული იყო საქართველოს, მისი სახალხო დეპუტატების, სიმართლის წინააღმდეგ. თუმცა ავტორი აცხადებს, რომ განზრახული აქვს საფუძვლიანად გაერკვეს ტრაგედიის მიზეზებში, არაფერს ამბობს იმის შესახებ, რომ სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეცრაზმებმა გამოიყენეს ქიმიური მომწამვლელი ნივთიერებანი, გამოიჩინეს განსაკუთრებული სისასტიკე დემონტრაციის გარეკვის, ქალების დევნის დროს, რომ მშვიდობიანი მოსახლეობის დაცვისას გამირულად მოქმედებდნენ მილიციელები, რომლებიც რატომღაც დაზარალებულ სამხედრო მოსამსახურეთა საერთო სიაში შეიტანეს. ი. პავლოვი წერს: „სხვათა შორის, ამ დროს საქართველოში იმყოფებოდნენ ე. შევარდნაძე და გ. რაზუმოვსკი. ბუნებრივია, ისინი რესპუბლიკის ხელმძღვანელობის მიერ მიღებულ დადგენილებათა კურსში იყვნენ, მაგრამ გაუგებარი მიზეზების გამო მთელი პასუხისმგებლობა კომენდანტის საათის შემოღებისათვის რატომღაც გენერალ-პოლკოვნიკ ი. როდიონოვს ეკისრება“. გასაგებია, ხელქვეითის ერთგულება თავისი გენერლისადმი, რომელიც საქართველოში ავღანეთიდან ჩამოვიდა, მაგრამ ყურნალისტის აშკარა სიცრუე, რომელიც ცილს სწამებს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრს და კანდიდატს, ამორალურია. იგი შეურაცხყოფს რესპუბლიკის ახლანდელ პარტიულ ხელმძღვანელობას, მომიტინგეებს „ლოთებსა და ნარკომანებს“ უწოდებს.

ი. პავლოვი ამახინჯებს ქართულ გვარებს, გამონათქვამებს და ფაქტებს, ამავე დროს არ თაკილობს „მოწმეთა“ ჩვენებებზე დაყრდნობით, რომლებმაც ვითომცდა მოედანზე ნახეს ცარიელი ბოთლები, შპრიცები, ამპულები, ნარკომანები, ლოთები, დაამახინჯოს მოვლენათა აზრი. ფაქტები კი მოწმობს, რომ მოედნიდან ხუთი სატვირთო ავტომანქანით გამოტანილ ნივთებს შორის იყო ქალის ფეხსაცმელები და ჩანთები, ნოტები და წიგნები, სახელმძღვანელოები და ლოცვანი, „ბორჯომის“ ბოთლები და ლექსების რვეულები; რომ 1989 წლის ტრაგიკულმა აპრილმა შეიწირა უღანაშაულო ადამიანთა სიცოცხლე. გამოიწვია 4000-ზე მეტი მძიმე მოწამვლა, გამოუსწორებელი ლახვარი ჩასცა ადამიანთა ფსიქიკას. ცდილობს რა მაქსიმალურად გაამართლოს არმია, სარდალი, იგი არა მარტო ამახინჯებს ფაქტებს, არამედ აშკარად არ ერიდება სიცრუეს და ბრალს სდებს ამხანაგებს გ. გუმბარაძეს, თ. გამყრელიძეს, ი. მენადარიშვილსა და სხვებს არაობიექტურობაში.

აგრესიული ღვარძლი, ტენდენციურობა, არაობიექტურობა ვლინდება ი. პავლოვის მომდევნო ციკლ-სერიალში, რომელიც გაზეთ „ლენინსკოე ზნამიასში“ იბეჭდებოდა 30 ივნისიდან 6 ივლისამდე. პუბლიკაციათა ვრცელი ახალი ანტიქართული ციკლი „ვაჩუქოთ ერთმანეთს ღიმილი“ დაიბეჭდა გაზეთში,

მიუხედავად სსრ კავშირის სახალხო დებუტატთა ყრილობის დებუტატთა კომისიის ოფიციალური გაფრთხილებისა — თავი შეეკავებინათ ცხრა აპრილის ტრაგედიისადმი მიძღვნილი პუბლიკაციებისაგან კომისიის მუშაობის დამთავრებამდე. ი. პავლოვმა ცინიკურად გამოიყენა დაღუპულთა ხსოვნის აღსანიშნავი ცნობილი სიმღერა-რეკვიემის სიტყვები და მკითხველებს „უძღვნა“ ქართველი ერის წინააღმდეგ მიმართული „ფიქრების“ შეურაცხყოფათა მორიგი ღვარძლიანი ტრაქტატი. ბრძანებების უსიტყვო შესრულების მამებლური ტონით შეპყრობილმა გაზეთმა უღალატა პროფესიულ ეთიკას, არ მიიღო საქართველოს ყურნალისტთა კავშირის მიწვევა, აკრიტიკებდა გაზეთების „ლიტერატურული საქართველოს“, „ზარია ვოსტოკას“, „მოლოდიოჟ გრუზიის“ მართებულ პუბლიკაციებს... სარდალმაც არად ჩააგდო საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს კომისიის მიწვევა: არ მიიღო აკადემიკოსი ა. სახაროვი, როგორც ვითომდა „კერძო პირი“, არც კი სცადა თავი ემართლებინა მისი ხელმძღვანელობით მოწყობილი რბევა-დაწიოკებისათვის; საქართველოში დატრიალებული ტრაგედია არის დემოკრატიასთან ბრძოლა, რომელიც შეიძლება ატყდეს ჩვენი ქვეყნის ნებისმიერ წერტილში. ადამიანთა ტრაგედიას კიდევ უფრო ამძაფრებდა ჩვენი რესპუბლიკის წინააღმდეგ მიმართული სრულიად საკავშირო კამპანია, რომელიც ცენტრალურმა ტელივიზიამ და პრესამ გააჩაღეს.

ისევე, როგორც მთელი ქართველი ხალხი, კომისია აღაშფოთა საკდესის პირველივე ინფორმაციამ „თბილისში ჭყლეტის შედეგად დაღუპულ მსხვერპლთა“ შესახებ, რომელიც მყისვე აიტაცეს გაზეთებმა; ი. ფესუნენკოს ვითომდა პირუთვნელმა მომთაფლავმა რეპორტაჟებმა, პროგრამა „გრემიაში“ შეკვეცილმა ინტერვიუებმა საქართველოს საზოგადოებრიობის წარმომადგენლებთან, აგრესიულმა სიცრუემ ძერჟინსკის სახელობის დივიზიაში გამართული ბრიფინგის შესახებ, რომელსაც საქართველოს არც ერთი წარმომადგენელი არ გააკარეს. კომისია აღაშფოთა პროგრამა „გრემიას“ 29 აპრილის სიუჟეტმა, რომელშიც იუწყებოდნენ, რომ ემუქრებიან და დევნიან თბილისში სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახებს.

ცენტრალური პრესა თითქოს განზრახ აყრიდა მარტის იარებზე მგლოვიარე ხალხს, პროვოკაციულად ახელებდა მას უგუნურების ჩასადენად. ამ მხრივ განსაკუთრებით „იმარჯვა“ სამხედრო გაზეთმა — სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროს ორგანომ — „კრასნაია ზევზდა“.

თუკი „პრავდა“, „იზვესტია“, „სოვეტსკაია კულტურა“, „ლიტერატურ-ნაია გაზეთა“ და სხვა გამოცემები მხოლოდ ზემოდან დოზირებულ სიტყვა-ძუნწ ინფორმაციას სჯერდებოდნენ, „კრასნაია ზევზდას“ სიცრუემ ყველა არსებულ და არარსებულ ნორმას გადააჭარბა.

სიცრუის ეს ესტაფეტა აიტაცეს „სოვეტსკაია როსიამ“, „მედიცინსკაია გაზეთამ“, „სელსკაია ჟიზნმა“, „სოვეტსკი პატრიოტმა“, „ლიტერატურ-ნაია როსიამ“... ისეთი გამოცემაც კი, როგორც არის „არგუმენტი ი ფაქტი“, 16 აპრილის ნომერში, კითხვაზე — „რა ქიმიური ნივთიერებები იხმარეს თბილისში 8 აპრილის დამესო“, აქვეყნებს სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესამსახურის თანამშრომლის პასუხს, რომელმაც ამჯობინა ინკოგნიტოდ დარჩენილიყო: „შინაგანმა ჯარებმა იხმარეს მხოლოდ ცრემლსადენი მოქმედების საშუალებები, რომლებსაც წესრიგის დაცვის ძალები იყენებენო“, ამასთან არაფერი უთქვამს „სი-ეს-ზე“, ათასობით მოწამლულზე, მშვიდობიანი

მოსახლეობის ბარბაროსულ სასტიკ რბევა-დაწიოკებაზე. პირველმა ინფორმაციამ ქიმიურ საშუალებათა გამოყენების შესახებ „პრავდაში“ 19 აპრილს გააღწია. ცინიზმისა და სიცრუის აღმაშფოთებელი მაგალითი იყო საკდესის კორესპონდენტის ვ. ეგოროვის პუბლიკაცია 27 აპრილის „პიონერსკაია პრავდაში“, ვ. ეგოროვი, რომელიც თავს მომხდარი ამბების შემსწრედ და თვითმხილველად ასაღებს, ნორჩ მკითხველებს აუწყებს: ჩემთვის განსაკუთრებით გულსატკეპნი იყო იმის ყურება, რომ „ტრაგედიის მსხვერპლნი გახდნენ მოხუცი ქალები და მოსწავლე გოგონები, რომლებსაც ვილაცის ბოროტი ნებით შეტაკების ეპიცენტრში ამოაყოფინეს თავი. ვის აძლევდა ეს ხელს, ვის სჭირდებოდა, რომ მამაკაცებს სამხედროთა მწკრივების წინაშე დამცავ ბარიერებად აღემატათ ქალები და ბავშვები? წარმომიდგენია რას იფიქრებდა ახალგაზრდა ოფიცერი, რომელიც ჩემს თვალწინ ცდილობდა გადაერჩინა ქართველი ყმაწვილი ქალი მისივე თანამემამულისაგან, მწარედ რომ მოხვდა ხელკეტი წვივში... შემდეგ ბევრი ადგილობრივი გაზეთი წერდა, რომ იმ დამით ჯარისკაცებმა გამოიყენეს არა მარტო ხელკეტები და ცრემლსადენი გაზი (ეს მე ჩემი თვალით ვნახე), არამედ აგრეთვე მესანგრის ხელბარებო. ძნელია ამის დაჯერება, მაგრამ მენდეთ, როდესაც გარშემორტყმული ხარ გაათფრებული, ისტერიკული შეძახილებით გაავებული ბრბოთი, ყველაფერი შეიძლება მოხდეს“. ვ. ეგოროვი, არათუ არ ყოფილა მომხდარი ამბების თვითმხილველი, არამედ თბილისში 13 აპრილს ჩამოვიდა. მან იცრუა ბავშვების წინაშე, იგი ტყუის საკუთარი მოვალეობის წინაშე, ვინაიდან უღალატა ჭეშმარიტების მსახურების პროფესიულ მცნებას.

ანალიზებს რა ცენტრალური პრესისა და ტელევიზიის გამოსვლებს თბილისის ამბებთან დაკავშირებით, კომისიას მიაჩნია, რომ მასობრივი ინფორმაციის საშუალებანი ძირითადად ეწეოდნენ გამიზნულ დეზინფორმაციას, რათა გაეღვივებინათ არარსებული ეროვნებათშორისი შუღლის ხანძარი, თავიდან აეცილებინათ კრიტიკის დარტყმა უღანაშაულო ადამიანთა რბევა-დაწიოკების რეალური ინიციატორებისა და ორგანიზატორებისათვის, რითაც უღალატეს სიმართლის მსახურების პროფესიულ მოვალეობას. წააწყდა რა სიმართლის დეფორმაციას ტენდენციურობის მრულე სარკეში, დაპროგრამებული სიცრუის საერთო ფონზე, კომისია, ისევე როგორც რესპუბლიკის ყველა მცხოვრები, მადლიერებითა და პატივისცემით აღნიშნავს „მოსკოვსკიე ნოვოსტის“ მოქალაქეობრივ ვაჟაკობას, რომელმაც პირველმა გაარღვია ტენდენციურობის ყრუ კედელი, ა. სახაროვის, ვ. ვასილევის, პროგრამა „ვზგლიადის“, „შუალამემდე და ნაშუალამევს“, გაზეთ „ნედელიას“ ავტორების, ტრაგედიის ფოტომატიანის შემქმნელის ი. როსტის გმირობას, ი. გოცირიძის ჟურნალისტურ გამომძიებას, თ. გამყრელიძის, ა. ბაქრაძის, ე. შენგელაიას, ლ. ლოღობერიძის, ნ. ნათაძის, რ. თაბუკაშვილის, მ. კოკოჩაშვილის, მ. ხანანაშვილის, ჯ. ჩარკვიანის, ს. ჭილაძის, ირ. შენგელაიას, ზ. წერეთლის, რ. ესაძის, გ. ფანჯიკიძის პრობაგანდისტულ მუშაობას ჩვენში და საზღვარგარეთ, რომელთაც ყველაფერი იღონეს იმისათვის, რომ ქართველი ერის ტკივილი მსოფლიოს მთელ პროგრესულ ძალებს გაეთავისებინა.

კომისიას საჭიროდ მიაჩნია გამოარკვიოს ყველა ფარული თუ აშკარა მიზეზი, რომლებიც აბრკოლებენ თბილისის ამბების ამსახველი სწორი ინფორმაციის გავრცელებას. ზემოთნათქვამის ნიშანდობლივი ილუსტრაციაა „ოგო-

ნოიკის“ ნომრიდან ანატოლი გოლობკოვის მასალის „9 აპრილის“ მოხსნა, რომელიც „მოლოდიოჟ გრუზიაში“ დაიბეჭდა.

საქართველოში გამოგზავნილ წერილში, რომელიც დაიბეჭდა „ზარია ვოსტოკაში“, ყურნალ „ოგონიოკის“ რედაქტორი ვ. კოროტიჩი გვაცნობებდა, რომ თბილისიდან მიღებული სტატია ნომრიდან ამოაგდეს. „როდესაც ცენზურა აჩერებს ისეთ მასალებს, როგორც არის სიმართლე საქართველოს ამბების შესახებ, მე მზარავს არა ის, რომ ჩვენ არ გვათქმევინებენ სათქმელს, არამედ იმ ძალების არსებობა, რომლებიც ცდილობენ შეაჩერონ ქვეშაირტების დადგენის პროცესი“.


სიმართლის მიჩუმათების ეს პროცესი გამოვლინდა მოსკოვის კინოს სახლში თავდაცვის მინისტრის დ. იაზოვისთვის ჩამორთმეულ ინტერვიუშიც, რომელიც „მოსკოვსკიე ნოვოსტის“ 11 ივნისის ნომერში დაიბეჭდა. სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრი საჯაროდ ამტკიცებს, თითქოს თბილისში დაღუპულთაგან არც ერთი არ ყოფილა მოწამელის მსხვერპლი, თუმცა არსებობს კომპეტენტურ სპეციალისტთა დასკვნები. მართლაც რომ, გაცემს კაცს მინისტრისა და გენერალ ი. როდიონოვის იმ ფორმულირებების და გამონათქვამების იდენტურობა, რომლებიც ეხება საკითხებს ჯარების შემოყვანის თაობაზე რესპუბლიკის მთავრობის გადაწყვეტილების მოშველიებით. და იმის მიჩქმალვას, რომ ასეთი გადაწყვეტილება არ არის მხოლოდ რესპუბლიკის პრეზოგატივა...

ცენტრალური გაზეთების თბილისელ კორესპონდენტთა საქმიანობის გაცნობის შემდეგ ქვეკომისია ადასტურებს რედაქციებში გადაცემული მასალების ძლიერ შემცირებებსა და ტენდენციურ სწორებებს, რომლის დროსაც შლიდნენ ინფორმაციას, თუკი იგი არმიას ეხებოდა. საკუთარი კორესპონდენტები განიცდიდნენ ორმაგ ზეგავლენას — ადგილზე, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის იდეოლოგიური განყოფილების სექტორის გამგის, ან. ვ. ბაკლანოვის მხრივ, რომელიც დაჟინებით ამტკიცებდა, რომ მისი ვიზის გარეშე ცენტრალურ გაზეთებში ერთი სტრიქონიც ვერ დაიბეჭდებოდა, და მოსკოვიდან, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მხრივ, რომელმაც რედაქციებს მისცა მითითება საქართველოდან მიღებული მასალები გამოექვეყნებინათ მხოლოდ საკდესის საინფორმაციო ცნობებზე დაყრდნობით.

ასე აღიმართა ტენდენციურობის, რეალური სინამდვილის დამახინჯების ყრუ კედელი.

აი, რა გვაცნობა ამის შესახებ „ლიტერატურნაია გაზეტას“ საკუთარმა კორესპონდენტმა საქართველოში რ. ელიგულაშვილმა:

თბილისის ამბების რეპორტაჟი ამ სიტყვის ქვეშაირტი აზრით, „ლიტერატურნაია გაზეტას“ რედაქციას გადავეცი 10 აპრილს 11 საათზე, ი. როსტის მასალა — 4 საათზე. ორივე ავტორმა რედაქციას წაუყენა პირობა, არ შეეტანათ არავითარი სწორებები. 9 საათზე მე დავრეკე რედაქციაში და სალამოს შევიტყვე, რომ ნომერში მიდის სარედაქციო მასალა, რომელშიც გამოუყენებიათ აფხაზეთის ამბების შესახებ ჩემს მიერ მომზადებული მასალის ნაწილი, ჩემი რეპორტაჟის დასკვნითი ნაწილი და ინფორმაცია, რომელიც საკდესის არხებით მიიღეს. რედაქტორის მოადგილემ ი. პორიოკოვმა, რომელიც ნომერს უშვებდა, მითხრა, რომ ჩემი მასალა და ი. როსტის რეპორტაჟი მოხსნეს მას შემდეგ, რაც ორჯერ დაურეკეს საქართველოს კომპარტიის ცენ-



ტრალური კომიტეტიდან და ურჩიეს, არ დაებეჭდათ ისინი; გარდა ამისა, ი. პორიოკოვმა, ორშაბათს, 10 აპრილს, დილით, სკკპ ცენტრალურ კომიტეტში გამართულ თათბირზე მივიღეთ მითითება გაგვეშუქებინა მასალები საკდესისეული ვერსიის მიხედვით.

აზოგადებს რა ზემოაღნიშნულს, კომისია აღნიშნავს, რომ პრესის სარკეში აისახა მთელი იდეოლოგიური მუშაობის ხარვეზები და ნაკლოვანებები როგორც ცენტრში, ისე რესპუბლიკაში; მკაფიოდ გამოიკვეთა, რომ ზოგიერთებს არ სურთ და არ შეუძლიათ ყურად იღონ ალტერნატიული აზრი, ეძებონ კონსტრუქციული გადაწყვეტის გზები ყველა საზოგადოებრივ ჯგუფთან დიალოგით. ძნელად თმობენ მუშაობის მბრძანებლურ-ადმინისტრაციულ სტილს, ივიწყებენ ეროვნულ ინტერესებს.

ამგვარად, გააანალიზა რა მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა მუშაობა ქვეკომისია აღნიშნავს:

1. რესპუბლიკური პრესა 15 აპრილამდე ისეთივე დრამატული, წინააღმდეგობრივი და რთული იყო, როგორც მთელი პოლიტიკური ვითარება. ადგილი ჰქონდა პარტიული ხელმძღვანელობის დიქტატს, ოფიციალურ მითითებათა უსულგულო შესრულებას, მაგრამ საერთო ეროვნული გლოვის და ფსიქოლოგიური სტრესის, კომენდანტის საათისა და ცენზურის დიქტატის ასეთ პირობებშიც კი გამოვლინდა ბევრი ყურნალისტის ვაჟკაცური პოზიცია და შეუპოვარი მისწრაფება, თავი დაეღწიათ ცენზურის ზემოქმედებისათვის, ალაღმართლად ემხილებინათ ტრაგედიის მიზეზების კომპლექსი, ჭეშმარიტების ძიებაში შეემუშაებინათ სწორი პროფესიული და შემოქმედებითი ორიენტირები.

2. საქართველოში 9 აპრილის ტრაგედიამდე და მის შემდეგ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პასუხისმგებელმა მუშაკებმა (ვ. ბაკლანოვმა, ვ. ბუიანოვმა, მოსკოველ კორესპონდენტთა ჯგუფმა) აქტიური მონაწილეობა მიიღეს ტენდენციური მასალების მომზადებაში რესპუბლიკის ყოფილი ხელმძღვანელობისა და ჯარის სარდლობის დასაცავად, განსაზღვრეს ბრიფინგების, საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან შექმნილი პრესცენტრისა და შტაბის მიკერძოებული მიმართულება. მათ ყველაფერი იღონეს იმისათვის, რომ არსად გაეჟონა სიმაართლეს თბილისის ტრაგედიის შესახებ და ცალმხრივად წარმართეს კრიტიკის დარტყმა მხოლოდ და მხოლოდ არაფორმალურ გაერთიანებათა ლიდერების წინააღმდეგ.

3. ქვეკომისია აღნიშნავს გაზეთების: „ზარია ვოსტოკასა“ და „ვეჩერნი ტბილისის“ რედაქტორების ა. იოსელიანისა და ვ. ანასტასიადის მოქალაქეობრივი პოზიციების სისუსტეს, რაც განსაკუთრებით გამოიხატა ა. წ. 14 აპრილის სტატიის „ჩვენი ვალია სიმშვიდე დაუბრუნოთ საქართველოს“ დაბეჭდვით, თუ გავითვალისწინებთ, რომ ორივე გაზეთი რუსულ ენაზე გამოდის და მას კითხულობს არაქართული მოსახლეობის დიდი ნაწილი, ვრცელდება სხვა რესპუბლიკებში, ადვილი წარმოსადგენია, რა ვნება მოიტანა 9 აპრილის ტრაგედიის არასწორმა გაშუქებამ საბჭოთა კავშირის მასშტაბით.

4. შეისწავლა რა ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის ორგანოს — გაზეთ „ლენინსკოე ზნამიას“ პუბლიკაციები, ქვეკომისია ხაზს უსვამს მათ ანტიდემოკრატიულ, ანტიინტერნაციონალისტურ მიზანმიმართულებას. აღნიშნავს, რომ რედაქციას არ სურს ობიექტურად ასახოს რესპუბლიკის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრება, ისწრაფვის ჩამოაგდოს ეროვნებათშორისი უღლი. ქვეკომისია აყენებს საკითხს, რომ განთავისუფლდეს გაზეთის რედაქტორი ვ. მარტინიუკი დაკავებული თანამდებობიდან.

რეზო ჩხეიძე,


საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ქ. თბილისში
1989 წლის 9 აპრილს მომხდარი ტრაგედიის გარემო-
ებათა გამოძიებელი კომისიის ინფორმაციის საკითხთა
ქვეკომისიის თავმჯდომარე, სსრკ სახალხო არტისტი.

ერის სამსჯავროზე...

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ქ. თბილისში
1989 წლის 9 აპრილს მომხდარი ამაგების გარემოებათა
გამომკვლევრი კომისიის დასკვნა

თბილისის 1989 წლის 9 აპრილის ტრაგედიის ობიექტური გამოძიების მიზნით, ფართო საზოგადოებრიობის დაუინებებითი მოთხოვნის საფუძველზე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1989 წლის 17 აპრილის № 2136-XI ბრძანებულებით, საქართველოს სსრ კონსტიტუციის 119-ე მუხლის შესაბამისად შეიქმნა ქ. თბილისის 9 აპრილის მოვლენათა საგამომძიებო კომისია.

კომისიამ შეისწავლა ასობით მოწმის, დაშავებულის, წესრიგის უზრუნველსაყოფად შემთხვევის ადგილზე მყოფი საქართველოს შინაგან საქმეთა ორგანოების თანამშრომლების, აგრეთვე მედიცინის მუშაკების ჩვენებები, რომლებიც ადგილზე დახმარებას უწყევდნენ მოშიმშილეებს და დაშავებულებს; მოისმინა თავის სხდომებზე მოწვეული საქართველოს სსრ პარტიული, კომკავშირული, პროფკავშირული, საბჭოთა და სამართალდამცავი ორგანოების ხელმძღვანელთა ახსნა-განმარტებანი, გამოიყენა სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობის მიერ 9 აპრილის მოვლენებთან დაკავშირებით შექმნილ საგამომძიებო კომისიაზე საქართველოს პარტიული და მმართველობითი ორგანოების, ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის და სხვა სამხედრო დაწესებულებების ხელმძღვანელთა ახსნა-განმარტებანი; გააანალიზა საქართველოს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში, საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომი-



ტეტში, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და სხვა ორგანოებში არსებული დოკუმენტური მასალა, რომელზედაც ხელი მიუწვედა, სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის, სამედიცინო და ქიმიურ-ტოქსიკოლოგიური ქვეკომისიის, წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის, აგრეთვე სსრ კავშირის და საზღვარგარეთის მეცნიერ-სპეციალისტთა დასკვნები. კომისია გაეცნო 9 აპრილის მოვლენათა აღმნუსხველ მრავალ ვიდეოფირს, ფოტოსურათებსა და სხვა ნივთმტკიცებებს. მოვლენათა სრული შეფასების მიზნით კომისიამ შეისწავლა საზოგადოებრივი აზრი 9 აპრილის მოვლენებთან დაკავშირებით, რესპუბლიკური, საკავშირო და საზღვარგარეთის პრესა.

ამავე დროს კომისია აღნიშნავს, რომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანმა ბ. ნიკოლსკიმ და ამიერკავკასიის ჯარების სარდალმა ი. როდიონოვმა დაარღვიეს კონსტიტუციური მოთხოვნა და არ გამოცხადდნენ კომისიის სხდომაზე.

შეგროვილი მასალების ანალიზის შედეგად დადგენილი ფაქტები და მათი სამართლებრივ-პოლიტიკური შეფასება კომისიას საფუძველს აძლევს გამოიტანოს შემდეგი დასკვნები.

I

9 აპრილის მიტინგის აღკვეთის გადაწყვეტილების მიღების აუცილებლობისა და კანონიერების საკითხის შესახებ

1988-1989 წლებში ადმინისტრაციულ-მბრძანებლურ სისტემასთან ბრძოლისა და დემოკრატიზაციის პირობებში საქართველოში მკვეთრად გააქტიურდა საზოგადოებრივი აზრი. მრავალრიცხოვან მიტინგებსა და დემონსტრაციებზე წამოყენებულ იქნა მწვავე სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ჭრობლემები. დაიწყო აქტიური საზოგადოებრივი მოძრაობა დავითარეჯის კომპლექსის დაცვისათვის, ტრანსკავკასიის რკინიგზის და ზოგიერთი ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის ეკოლოგიური უზრუნველყოფისათვის, სსრ კავშირის კონსტიტუციაში რესპუბლიკების სუვერენიტეტის შემზღუდავი ცვლილებების შეტანის წინააღმდეგ. მწვავედ იდგა აგრეთვე საბჭოთა არმიაში ქართველი ჯარისკაცების დისკრიმინაციისა და მათ მიმართ ძალადობის საკითხი. მანიფესტაციებმა განსაკუთრებით კრიზისული ხასიათი მიიღო 1988 წლის ნოემბერსა და 1989 წლის თებერვალში. თანდათან გამოიკვეთა ხელისუფლების მკვეთრი უარყოფითი დამოკიდებულება მიტინგებისა და დემონსტრაციების მიმართ. ამის დადასტურებაა ის ფაქტი, რომ ამ პერიოდში ჩატარებული 38 მიტინგიდან მხოლოდ 4 იყო ნებადართული, თუმცა უარის თქმის გადაწყვეტილებანი, ჩვეულებრივ, მოკლებული იყო კანონიერ საფუძველს. იყო აგრეთვე უსაჩქოო მიტინგების წინააღმდეგ ძალის გამოყენების შემთხვევები 1988 წლის 22 სექტემბერს, 1989 წლის 18 და 25 თებერვალს. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ყოფილმა პირველმა მდივანმა ჯ. პატიაშვილმა ჯერ კიდევ 1988 წლის ნოემბერში სკკპ ცენტრალურ კომიტეტს მიმართა თხოვნით თბილისში კომენდანტის საათის შემოღების შესახებ. თხოვნა არ დაკმაყოფი-

ლებულა. ყველაფერი ეს იწვევდა ხელმძღვანელობისა და ხალხის პოლიტიკის სრულ პოლარიზაციას.

1989 წლის 18 მარტს აფაზეთის ასსრ სოფელ ლიხნში გაიმართა თავყრილობა, რომელზეც მიიღეს არაკონსტიტუციური დადგენილება საქართველოს შემადგენლობიდან აფხაზეთის გასვლის შესახებ; მიღებული წერილი პირდაპირ — რესპუბლიკის მთავრობის გვერდის ავლით — გადაეგზავნა საკავშირო მთავრობას, ეს ფაქტი საზოგადოებრიობამ აღიქვა, როგორც რესპუბლიკის უუფლებობის კიდევ ერთი დასაბუთება.

1989 წლის 4 აპრილიდან ქ. თბილისში მთავრობის სასახლის წინ დაიწყო მრავალათასიანი უსაჩქოო მიტინგი, სადაც თავი იჩინა წლების მანძილზე დაგროვილი ყველა საზოგადოებრივმა და პოლიტიკურმა პრობლემამ, მიტინგის მონაწილეებმა წამოაყენეს მოთხოვნა 1921 წელს დაკარგული დამოუკიდებლობის აღდგენისა და სსრ კავშირის შემადგენლობიდან საქართველოს სსრ გასვლის შესახებ (მოქმედი კონსტიტუციის 69-ე მუხლის თანახმად). ამ კონსტიტუციური მოთხოვნების გამოსახატავად მათ შეარჩიეს უკიდურესად მშვიდობიანი გზა — შიმშილობა. მოშიმშილეებს მხარს უჭერდნენ მოქალაქეთა დიდი ჯგუფები, რომლებიც მართავდნენ მიტინგს წამოყენებული მოთხოვნების მხარდასაჭერად.

შემოხსენებული მოთხოვნის გარდა მიტინგზე გაჩნდა ისეთი მკვეთრი პლაკატები, როგორიცაა „ძირს კომუნისტური რეჟიმი“, „ძირს რუსეთის იმპერიალიზმი“, „სსრ კავშირი ხალხთა საპყრობილეა“ და სხვა. ამგვარი პლაკატები მოთხოვნის ხასიათისა არ იყო, გამონათქვამი სინამდვილისადმი მომიტინგეთა ერთი ნაწილის შეფასებითს დამოკიდებულებას და, რაც მთავარია, არ შეიცავდა რაიმე მოქმედებისათვის მოწოდებას. ამდენად ამ პლაკატების არსებობა ვერ ცვლის მიტინგის მშვიდობიან ხასიათს.

ამავე დროს მიტინგს თან ახლდა საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევა, რაც გამოიხატა რუსთაველის პროსპექტზე ტრანსპორტის მოძრაობის შეფერხებით, ხელისუფლების წარმომადგენელთა კანონიერი მოთხოვნებისადმი დაუმორჩილებლობით და თვითნებობის ზოგიერთი გამოვლინებით. დაიწყო საგაფიცო მოძრაობა, რომელსაც პრაქტიკულად რაიმე სერიოზული შედეგი არ მოჰყოლია, არც ერთი საწარმო არ გაჩერებულა. წამოყენებული იყო რესპუბლიკის ხელმძღვანელობის გადადგომის მოთხოვნაც, თუმცა მის განსახორციელებლად არ ყოფილა დასახული რაიმე კონკრეტული გზა.

კომისიის მიერ შეგროვილი უამრავი მტკიცებულება, განსაკუთრებით ვიდეოფილმები, და მოწმეთა ჩვენებები ადასტურებს, რომ მიტინგი მშვიდობიანი იყო. არ ყოფილა ძალადობა, მოწოდება ძალადობისათვის, არ ყოფილა საფრთხეში ჩაგდებული მოქალაქეთა სიცოცხლე ან ჯანმრთელობა, არ ყოფილა სახელმწიფო, საზოგადო ან პირადი ქონების დაზიანების შემთხვევები, არ ყოფილა მოწოდებები სხვა ეროვნების წარმომადგენელთა წინააღმდეგ ძალადობის გამოყენების ან ეროვნებათა შორის შუღლის გაღვივების თაობაზე. მომიტინგეებს არ ჰქონდათ ცივი ან ცეცხლსასროლი იარაღი, ან ძალადობისათვის მომარჯვებული რაიმე სხვა საგნები. ეს გარემოება დაადასტურეს საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრმა ამხ. შ. გორგოძემ, ქ. თბილისის მილიციის სამმართველოს უფროსმა რ. გვენცაძემ, საქართველოს სსრ პროკურორმა ამხ. ვ. რაზმაძემ, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ამხ. ო. ჩერქეზიამ, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ყო-



ფილმა თავმჯდომარემ ამხ. ზ. ჩხეიძემ და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ყოფილმა პირველმა მდივანმა ამხ. ჯ. პატიაშვილმა და სხვებმა.

მიტინგს არ ჰქონია ულტიმატუმის ხასიათი; არ ყოფილა დასახული კონკრეტული ძალადობის შემცველი მოქმედებანი, რასაც მომიტინგენი მიმართავდნენ, თუკი მათი მოთხოვნები დაკმაყოფილებული არ იქნებოდა. პირიქით, საჯაროდ იყო გამოცხადებული, რომ ყველა შემთხვევაში მიტინგი დაიშლებოდა 14 აპრილს.

ამრიგად, მიტინგი არ ისახავდა მიზნად კონკრეტული პოლიტიკური შედეგის დაუყოვნებლივ მიღწევას და უფრო ხალხის საერთო-ეროვნული მისწრაფების გამოხატულება იყო.

ასეთ პირობებში საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტრომ (შ. გორგოძე), თბილისის შინაგან საქმეთა სამმართველომ (რ. გვენცაძე), რომლებსაც კანონის თანახმად უშუალოდ აკისრიათ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის უზრუნველყოფა, რესპუბლიკის ხელმძღვანელობის წინაშე დააყენეს საკითხი თავის განკარგულებაში არსებული ძალების მეოხებით მთავრობის სახლის წინ მიმდინარე მიტინგის აღკვეთისა და დედაქალაქში ნორმალური მდგომარეობის აღდგენის შესახებ. მათი წინადადებით მიტინგი უნდა აღეკვეთათ გამთენიისას, როდესაც მომიტინგეთა მინიმალური რაოდენობა რჩებოდა ხოლმე (100-200 კაცი), ხოლო შემდეგ დაეცვათ მოედანი და არ დაეშვათ ახალი მიტინგის გამართვა. საამისო ძალები, მათი განმარტებით, შინაგან საქმეთა ორგანოებს ჰყავდათ. ეს წინადადება რესპუბლიკის ხელმძღვანელობამ არ გაიზიარა იმ მოსაზრებით, რომ მიტინგის აღკვეთა გააძლიერებდა მოსახლეობის უკმაყოფილებას, რასაც შედეგად მოჰყვებოდა მასობრივი გამოსვლები. ასეთ პირობებში და დედაქალაქსა და მთლიანად რესპუბლიკაში საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა შეუძლებელი გახდებოდა.

ამიტომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ (შ. გორგოძე) სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს სთხოვა საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მიზნით შინაგანი ჯარების ნაწილების საქართველოში გამოგზავნა, ხოლო რესპუბლიკის ხელმძღვანელობამ (ჯ. პატიაშვილი) სკკპ ცენტრალური კომიტეტის წინაშე აღძრა საზოგადოებრივი წესრიგის დასაცავად დამატებითი ძალების გამოყოფის საკითხი. როგორც სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობის საგამოძიებო კომისიის მასალებითაა დადასტურებული, 1989 წლის 7 აპრილს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, ცენტრალური კომიტეტის მდივნის ე. ლიგაჩოვის თავმჯდომარეობით გაიმართა თათბირი. თათბირს ესწრებოდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრები: ნ. სლიუნკოვი, ვ. ჩებრიკოვი და ვ. მედვედევი; პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატები: ა. ლუკიანოვი, დ. იაზოვი, გ. რაზუმოვსკი, სსრ კავშირის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე ვ. კრიუჩკოვი, სსრ კავშირის შს მინისტრის მოადგილე ვ. ტუშინი, თათბირზე გადაწყდა: — დაკმაყოფილდეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის თხოვნა რესპუბლიკისათვის სამხედრო ძალით დახმარების აღმოჩენის შესახებ. ამ გადაწყვეტილების საფუძველზე სსრ კავშირის თავდაცვისა და შინაგან საქმეთა სამინისტროებმა გამოსცეს შესაბამისი ბრძანებები საქართველოში სათანადო სამხედრო ნაწილების გამოგზავნის თაობაზე.

8 აპრილს სკკპ ცენტრალურ კომიტეტში კვლავ გაიმართა თათბირი, რომელიც მიეძღვნა საქართველოში შექმნილ მდგომარეობას. ამჯერად თათბირს ხელმძღვანელობდა ვ. ჩებრიკოვი. თათბირი იმავე შემადგენლობით გაიმართა, იმ განსხვავებით, რომ მასში მონაწილეობას არ იღებდა ე. ლიგაჩოვი, ხოლო კ. ტუშინის ნაცვლად თათბირს ესწრებოდა სსრკ შინაგან საქმეთა მინისტრი ვ. ბაკატინი.

7-8 აპრილს თბილისში გადმოიყვანეს მილიციისა და შინაგანი ჯარების ქვედანაყოფები, მათ შორის ძერჟინსკის სახელობის დივიზიის პოლკი.

ასევე ამიერკავკასიის სამხედრო ოლქში დისლოცირებული საავიაციო პოლკი 7 აპრილს ღამით შემოვიდა ქ. თბილისში. სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრის დ. იაზოვის დავალებით ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ჯარების სარდალი ი. როდიონოვი 7 აპრილს ქ. ლენინაკანიდან დაბრუნდა თბილისში. მასთან ერთად რესპუბლიკის დედაქალაქში ჩამოვიდა თავდაცვის მინისტრის პირველი მოადგილე კ. კოჩეტოვი. საჭიროა აღინიშნოს, რომ კ. კოჩეტოვი თბილისში ჩამოსვლის შემდეგ მიტინგის აღკვეთის შესახებ გადაწყვეტილებების მიღების ყველა სტადიაში მონაწილეობდა. ი. როდიონოვის განმარტებით, მას თავდაცვის მინისტრისაგან მიუღია დავალება, გარკვეულიყო რესპუბლიკის დედაქალაქში შექმნილ მდგომარეობაში და ემოქმედა სიტუაციის მიხედვით, ამასთან, საბჭოთა არმიის ნაწილები გამოეყენებინა მხოლოდ უმნიშვნელოვანესი ობიექტების დასაცავად.

ოფიციალური დოკუმენტებით დასტურდება, რომ 8 აპრილამდე ი. როდიონოვი თანახმა არ იყო მიტინგის აღკვეთაში საბჭოთა არმიის მონაწილეობისა. კერძოდ, 7 აპრილს ი. როდიონოვი უგზავნის სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრს დ. იაზოვს შიფროგრამას, სადაც აღნიშნავს, რომ მისგან საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანი ბ. ნიკოლსკი დაუყინებით მოითხოვს გამოიყენონ სამხედრო ნაწილები მიტინგის აღსაკვეთად. ი. როდიონოვის სიტყვებით, იგი არ თვლის მიზანშეწონილად, რომ არმია ახორციელებდეს მილიციის ფუნქციებს, რადგანაც ეს გაართულებს მოსახლეობის დამოკიდებულებას არმიასთან.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში 7 და 8 აპრილს მიმდინარეობდა ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრთა და წევრობის კანდიდატთა შეკრებები, რომლებზეც მსჯელობდნენ შექმნილი მდგომარეობისა და მისი ნორმალიზაციის თაობაზე. შეკრებათა საოქმო ჩანაწერები არ გაკეთებულა. ცენტრალური კომიტეტის საერთო განყოფილების ყოფილი გამგე კ. აბულაძე, რომელსაც ევალებოდა საქმის წარმოების უზრუნველყოფა, ამ შეკრებებზე არ მიუწვევიათ. მათზე გამოთქმული მოსაზრებების ცენტრალური კომიტეტის ბიუროს დადგენილების სახით გაფორმებას ჯ. პატიაშვილისა და ბ. ნიკოლსკის დავალებით საერთო განყოფილება შეუდგა 9 აპრილს შემდეგ, თუმცა მაშინაც დასრულებული სახე ვერ მისცა მათ. ბიუროს დადგენილებები მოკლებულია ოფიციალური დოკუმენტისათვის აუცილებელ ნიშნებს; არ ახლავს ოქმები, რის გამოც დოკუმენტურად შეუძლებელია იმის დადგენა, თუ ვინ მონაწილეობდა საკითხის განხილვაში და რა პოზიცია ეკავა. ბიუროს წევრთა და წევრობის კანდიდატთა გამოკითხვით დადგინდა, რომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობამ 7 აპრილს მიიღო გადაწყვეტილება აუცილებლობის შემთხვევაში დედაქალაქში „საგანგებო წესების“ შემოღების შესახებ. ამასთანავე, არ განუსაზღვრავთ ამ ღონისძიების



კონკრეტული დრო და ფორმები. ეს განპირობებული იყო იმით, ვინაიდან საგანგებო ზომების (კომენდანტის საათის) შემოღება შეიძლება აუცილებელი გამხდარიყო იმ შემთხვევაში, თუ მიტინგის აღკვეთის შემდეგ დაძაბული საზოგადოებრივ-პოლიტიკური სიტუაცია შეიქმნებოდა. იმავე დღეს პარტიის ცენტრალურ კომიტეტში გაიმართა შეხვედრა ინტელიგენციის წარმომადგენლებთან. ცენტრალური კომიტეტის ყოფილმა პირველმა მდივანმა ჯ. პატიაშვილმა შექმნილი მდგომარეობა შეაფასა, როგორც კატასტროფული. თათბირის მონაწილეებმა (ა. ჯავახიშვილმა, რ. ჩხეიძე, ე. გუგუშვილი, ნ. კიკვაძე) აღნიშნეს, რომ საჭიროა არაფორმალურ ორგანიზაციათა ლიდერებთან რესპუბლიკის ხელმძღვანელობის შეხვედრა და დიალოგი. მიუხედავად რესპუბლიკის ხელმძღვანელთა მზადყოფნისა, ეს შეხვედრა არ გამართულა, რადგან არაფორმალური ორგანიზაციების ლიდერებმა უნდობლობა გამოუცხადეს მათ და მოითხოვეს საკავშირო უმაღლეს ხელმძღვანელებთან შეხვედრა.

7 აპრილს 20 საათსა და 35 წუთზე ჯ. პატიაშვილის ხელმოწერით მოსკოვში სკკპ ცენტრალურ კომიტეტში გაიგზავნა დეპეშა, რომლის ტექსტი მოამზადა ბ. ნიკოლსკიმ. დეპეშაში ნათქვამია: „უკანასკნელ დროს რესპუბლიკაში მდგომარეობა მკვეთრად გამწვავდა, პრაქტიკულად უკონტროლო ხდება. ექსტრემისტული ელემენტები აღვივებენ ეროვნულ გრძნობებს, მოუწოდებენ გაფიცვებისაკენ, ხელისუფლებისადმი დაუმორჩილებლობისაკენ, ქმნიან არეულობას, სახელს უტეხენ პარტიულ და საბჭოთა ორგანოებს. შექმნილ სიტუაციაში საჭიროა საგანგებო ზომების მიღება. აუცილებლად ვთვლით:

1. დაუყოვნებლივ მიეცნენ სისხლის სამართლის და ადმინისტრაციულ პასუხისგებაში ექსტრემისტები, რომლებიც გამოდიან ანტისაბჭოური, ანტისოციალისტური, ანტიპარტიული ლოზუნგებითა და მოწოდებებით (სამისო სამართლებრივი საფუძველი არსებობს);

2. შინაგან საქმეთა სამინისტროს და ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის დამატებითი ძალების გამოყენებით შემოღებულ იქნეს საგანგებო წესები (კომენდანტის საათი);

3. მდგომარეობის ნორმალიზაციისათვის პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო აქტივის ძალებით განხორციელდეს პოლიტიკურ, ორგანიზაციულ და ადმინისტრაციულ ღონისძიებათა კომპლექსი;

4. საკავშირო და რესპუბლიკურ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში არ იქნეს დაშვებული პუბლიკაციები, რომლებიც ართულებენ სიტუაციას“.

დეპეშა მთავრდება შემდეგი წინდადებით: „პირველ, მეორე, მეოთხე პუნქტებზე გთხოვთ თანხმობას“. ამ მომენტს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, რადგან სახალხო დეპუტატთა პირველ ყრილობაზე სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ე. ი. ლუკიანოვმა არ წაიკითხა დეპეშის ტექსტის მითითებული ნაწილი, რამაც შექმნა შთაბეჭდილება, თითქოს საქართველოს დედაქალაქში მდგომარეობის ნორმალიზაციის ყველა ღონისძიება ცენტრის დაუკითხავად, მასთან შეუთანხმებლად განხორციელდებულყოფს, რაც სინამდვილეს არ შეესაბამება.

7 აპრილს, საღამოს, ბ. ნიკოლსკიმ დააყენა სამხედრო ძალების დემონსტრირების მიზანშეწონილობის საკითხი, რასაც მისი აზრით, უნდა მოჰყოლოდა მიტინგის მონაწილეთა დაშინება და მთავრობის სახლის წინ მათი რაოდენობის შემცირება. ი. როდიონოვის განკარგულებით ეს აქცია მართლაც განხორციელდა 8 აპრილს, დაახლოებით 1 საათზე. რუსთაველის პროსპექტზე, მომი-

ტინგეთა შორის გაატარეს სამხედრო ტექნიკა, ხოლო თბილისის თავზე გამოჩნდა სამხედრო ვერტმფრენები. ამ აქციას საპირისპირო შედეგი მოჰყვა. მიტინგის მონაწილეთა რაოდენობა საგრძნობლად გაიზარდა. მოსახლეობის დიდმა ნაწილმა იგრძნო რეალური საფრთხე, რომელიც ახალგაზრდობას ემუქრებოდა და თავი ვალდებულად ჩათვალა გაეზიარებინა მათთან საერთო განსაცდელი. სწორედ ამან განაპირობა ის ფაქტი, რომ მიტინგზე ნახევარზე მეტი ქალები აღმოჩნდნენ.

8 აპრილს დილით გენერალ-პოლკოვნიკმა ი. როდიონოვმა არმიის გენერლის კ. კოჩეტოვის თანდასწრებით განუცხადა ჯ. პატიაშვილს, რომ იგი დანიშნულია მიტინგის აღსაკვეთი ოპერაციის ხელმძღვანელად. როგორც შემდგომში გაირკვა, ეს დანიშვნა მოხდა სსრკ თავდაცვის მინისტრის დ. იაზოვის განკარგულებით.

8 აპრილს გაიმართა საქართველოს პარტიული აქტივის კრება, რომელმაც განიხილა რესპუბლიკაში შექმნილი პოლიტიკური ვითარების ნორმალიზაციისათვის პარტიული ორგანიზაციის ამოცანების საკითხი. კრების მუშაობაში მონაწილეობდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის სექტორის გამგე ვ. ლობკო და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი კ. კოჩეტოვი. უნდა ითქვას, რომ თბილისში შექმნილ ვითარებასთან დაკავშირებით მოსკოვიდან მოვლინებული სკკპ ცენტრალური კომიტეტის პასუხისმგებელი მუშაკები ვ. ლობკო და ა. სელივანოვი აქტიურად მონაწილეობდნენ მიტინგის აღსაკვეთი ღონისძიებების შემუშავებაში.

აქტივის კრებაზე მოხსენება გააკეთა ჯ. პატიაშვილმა. მან აღნიშნა, რომ რესპუბლიკაში შექმნილია უკიდურესად დაძაბული და აფეთქებასაშიში პოლიტიკური ატმოსფერო. ექსტრემისტულად განწყობილი ლიდერები მოუწოდებენ დაამხონ საბჭოთა ხელისუფლება, სოციალისტური წყობილება. ვითარების განმუხტვისათვის საჭიროა გამოვიყენოთ ყველა პოლიტიკური მეთოდი, მაგრამ არ დავუშვათ პოლიტიკური სისუსტე, გაუმართლებელი დათმობები და კომპრომისები.

საკითხის განხილვის მონაწილეებმა (შ. შიოშვილი, ს. გოგიბერიძე და სხვანი) საჭიროდ მიიჩნიეს ღია დიალოგი, მიტინგის მონაწილეთათვის გაზეთში, ტელევიზიით გამოსვლის შესაძლებლობის მიცემა და სხვა.

კრებას წარუდგინეს რესპუბლიკაში ვითარების ნორმალიზაციის გადაუდებელ პოლიტიკურ და ორგანიზაციულ ღონისძიებათა გეგმის მხოლოდ ნაწილი, რომელიც აქტივს გააცნო ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ნ. ფოფხაძემ, თუმცა ღონისძიებათა გეგმა ასეთ პუნქტებსაც ითვალისწინებდა:

— სასწავლო დაწესებულებების ყოველ კურსზე, სკოლების უფროს კლასებში შეიქმნას ექსტრემისტულად განწყობილი მოსწავლეებისა და სტუდენტების წინააღმდეგ მოქმედი ჯგუფები (პ. 17);

— სისხლის სამართლის და ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობაში მისცენ არაფორმალურ გაერთიანებათა ლიდერები და აქტივისტები, რომლებიც გამოდიან კანონსაწინააღმდეგო ღონისძიებით და აწყობენ მართლსაწინააღმდეგო აქციებს (პ. 20);

— ნეგატიურ გამოვლინებათა აღკვეთის მიზნით შემუშავდეს სამართალდამცავი ორგანოებისა და სამხედრო ქვეგანაყოფების საქმიანობის კონკრეტული, სპეციალური გეგმა (პ. 21);

— საზოგადოებრივი წესრიგის უზრუნველყოფისათვის აუცილებლობის

მიხედვით განხორციელდეს ღონისძიებანი საგანგებო წესების შემოსაღებად ამერიკაკავასიის სამხედრო ოლქის ჯარების მონაწილეობით (პ. 23).

ღონისძიებათა გეგმის შინაარსი ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრთა აბსოლუტური უმრავლესობისათვის ცნობილი არ იყო. აქტივის კრებას კი ეს დოკუმენტი ისე წარუდგინეს, თითქოს იგი ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წინასწარ განეხილოს და დაემტკიცებინოს. ამასთანავე, უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ ღონისძიებათა გეგმის მე-17 და 21-ე პუნქტები აქტივის კრებაზე არ წაუკითხავთ, ხოლო მე-20 პუნქტმა აქტივის კრების დიდი ნაწილის მხარდაჭერა პოვა (საწინააღმდეგო მოსაზრება გამოთქვა პოეტმა ჯ. ჩარკვიანმა). კრებას ამ საკითხზე რეზოლუცია არ მიუღია, კენჭისყრა არ მოწყობილა.

საჭიროა აღინიშნოს, რომ მე-17 პუნქტი შემთხვევით არ ყოფილა ამ ღონისძიებათა გეგმაში გათვალისწინებული. იგი უკვე დანერგილი იყო პრაქტიკაში. კერძოდ, 1989 წლის 18 თებერვალს პოლიტექნიკურ ინსტიტუტთან გამართული მიტინგის დარბევაში სამოქალაქო ტანსაცმელში გადაცმულ შინაგან საქმეთა ორგანოების მუშაკებთან ერთად აქტიური მონაწილეობა მიიღეს პოლიტექნიკური ინსტიტუტის (რექტორი — გ. ჩოგოვაძე, პარტკომი — ვ. ქელბაქიანი, კომკავშირის კომიტეტის მდივანი — ზ. გუდავაძე) სტუდენტ-კომკავშირელმა აქტივისტებმა. მიტინგის დაშლისას დაშავდა 12 მოქალაქე. ამ ფაქტთან დაკავშირებით აღიძრა სისხლის სამართლის საქმე.

აქტივის კრებამ მოიწონა აგრეთვე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და მინისტრთა საბჭოს მიმართვა საქართველოს კომუნისტებისადმი, მშრომელებისადმი, ახალგაზრდობისადმი, რომლის ტექსტი კრებას გააცნო ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ნ. ჭითანავამ, მასში კერძოდ, ნათქვამია: „ჯერ კიდევ არის დრო, თავიდან ავიცილოთ მოვლენების დრამატული განვითარება... ჩვენს ხალხს უამისოდაც იმდენი უბედურება გამოუვლია, რომ არ გვეპატიება კიდევ ერთი ახალი ტრაგედია დავატეხოთ თავს“.

ეს მიმართვა რესპუბლიკურ გაზეთებში გამოქვეყნდა 9 აპრილს, როდესაც ტრაგედია უკვე მომხდარი იყო.

საბოლოო სიტყვაში ჯ. პატიაშვილმა აქტივის მონაწილეებს სთხოვა კრების დამთავრების შემდეგ მიტინგზე მისვლა და თავისი შეხედულებისამებრ სიტყვით გამოსვლა. „და თუ შეუძლებელი განდება ხალხის დამშვიდება, — თქვა მან, — მაშინ ამოქმედებული იქნება აუცილებელი იურიდიულად გამართლებული „სახელმწიფოებრივი მანქანა“, რომელიც არსებობს ყოველ ნორმალურ სამართლებრივ სახელმწიფოში“.

მიტინგზე პარტიული აქტივის კრების მონაწილენი სიტყვით არ გამოსულან.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს აქტივის მონაწილეთა და განსაკუთრებით საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრთა და წევრობის კანდიდატთა უმოქმედობა შექმნილი მდგომარეობის ნორმალიზაციის მიზნით.

აქტივის კრების მსვლელობისას ჯ. პატიაშვილი ელაპარაკა მოსკოვს. ჯ. პატიაშვილს გააცნეს პოლიტიბიუროს წინადადება ე. შევარდნაძისა და გ. რაზუმოვსკის თბილისში დასახმარებლად გამოგზავნის თაობაზე. ჯ. პატიაშვილმა არ ჩათვალა ეს საჭიროდ, და ამით რესპუბლიკაში შექმნილი მდგომარეობა

ეროვნის პოლიტიკური მეთოდებით მოწესრიგების კიდევ ერთი შესაძლებლობა არ იქნა გამოყენებული.

პარტიული აქტივის კრების შემდეგ გაიმართა რესპუბლიკის ხელმძღვანელთა თათბირი სამხედრო პირების მონაწილეობით, ე. წ. თავდაცვის საბჭოს სხდომა, მაგრამ ამ სხდომის დამადასტურებელი ოფიციალური დოკუმენტი არ არსებობს.

თანამდებობის პირთა გამოკითხვით და მათ მერ კომისიისათვის მიცემული ახსნა-განმარტების შეჯერებით შესაძლებელი გახდა მხოლოდ ზოგიერთი ფაქტის დადგენა. კერძოდ, თათბირს ესწრებოდნენ ჯ. პატიაშვილი, ბ. ნიკოლსკი, ზ. ჩხეიძე, ო. ჩერქეზია, კ. კოჩეტოვი, ი. როდიონოვი, ა. ნოვიკოვი. სხდომაზე მოიწვიეს საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრი შ. გორგოძე, უმძღველი სასამართლოს თავმჯდომარე ა. კარანაძე, რესპუბლიკის პროკურორის მოვალეობის შემსრულებელი ნ. შოშიაშვილი, იუსტიციის მინისტრი ვ. შარაშენიძე, სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე გ. გუმბარიძე, რადგან განიხილავდნენ საკითხს, თუ რამდენად საკმაოდ იყო სამართლებრივი საფუძველი არაფორმალურ გაერთიანებათა ლიდერების პასუხისმგებლობის მისაცემად და მათი საზოგადოებისაგან იზოლირებისათვის. გ. გუმბარიძეს ამ საკითხის განხილვაში ფაქტობრივად არ მიუღია მონაწილეობა, ვინაიდან მან დატოვა თათბირი დაწყებისთანავე, სამართალდამცავი ორგანოების ხელმძღვანელების ინფორმაციის მოსმენის შემდეგ ისინი დაითხოვეს ისე, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით საბოლოო გადაწყვეტილება არ მიუღიათ.


იმავე თათბირზე შემდეგ გადაწყდა მთავრობის სახლის წინ მოედნის მომიტინგეებისაგან განთავისუფლება რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს, სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგანი ჯარებისა და საბჭოთა არმიის ძალებით. როგორც აღრე იყო ნათქვამი, ოპერაციის ხელმძღვანელად დაინიშნა ი. როდიონოვი.

ი. როდიონოვმა თავის თანაშემწეებად განსაზღვრა: საბჭოთა არმიის ხაზით — ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ჯარების სარდლის პირველი მოადგილე ი. კუზნეცოვი, შინაგანი ჯარების ხაზით — შინაგანი ჯარების შტაბის ოპერატიული სამმართველოს უფროსი ი. ეფიმოვი, მილიციის ხაზით — საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრი შ. გორგოძე.

ოპერაციის გეგმის შედგენა დაევალა ი. როდიონოვს. ამასთან ითქვა, რომ ოპერაცია განხორციელდებოდა მაშინ, როცა მთავრობის სახლის წინ მომიტინგეთა მინიმალური რაოდენობა დარჩებოდა.

შ. გორგოძემ ოპერაციისათვის რესპუბლიკის მთავრობას მოსთხოვა სათანადო სამართლებრივი დოკუმენტი. 8 აპრილს საღამოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ გამოსცა განკარგულება, რომელსაც ხელს აწერს მთავრობის ყოფილი თავმჯდომარე ზ. ჩხეიძე. განკარგულებაში ნათქვამია: „ქალაქში შექმნილ მდგომარეობასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტრომ შინაგანი ჯარებისა და საბჭოთა არმიის სამხედრო მოსამსახურეთა მონაწილეობით მიიღოს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის დამატებითი ზომები:

— საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შენობის მიმდებარე ტერიტორიიდან გააძევეს ყველა მოქალაქე, რომლებიც მონაწილეობენ უსანქციო მასობრივ ღონისძიებებში;



— გადაიკეტოს საქართველოს სსრ მთავრობის სახლთან მოქალაქეთა თავისუფალი მისვლა;

— უსაჩქოო მასობრივი ღონისძიებების ორგანიზატორებისა და აქტიური მონაწილეების მიმართ მიღებულ იქნეს კანონით დადგენილი ზომები.

— ანალოგიური მოქმედებანი განხორციელდეს რესპუბლიკური ტელერადიოცენტრის შენობის მიმდებარე ტერიტორიაზე და აუცილებლობის შემთხვევაში ქალაქის სხვა ადგილებში“.

მინისტრთა საბჭოს ზემოაღნიშნული განკარგულების შესასრულებლად და ოპერაციის ჩატარების დროს მართლწესრიგის უზრუნველყოფის მიზნით შ. გორგოძემ იმავე საღამოს გამოსცა ბრძანება, რომლის თანახმად შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამის ქვედანაყოფებსა და თბილისის შინაგან საქმეთა სამმართველოს დაევალოთ რესპუბლიკის მილიციის ძალებით მთავრობის სახლის დაცვა, მთავრობის სახლისა და ტელევიზიის და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტის ტერიტორიიდან მოშომილიეთა გადაყვანა სამედიცინო დაწესებულებებში, აგრეთვე უსაჩქოო მიტინგის ორგანიზატორებისა და აქტიურ მონაწილეთა დაკავება.

მიტინგის აღკვეთის ოპერაციის გეგმა რაიმე სხდომაზე არ განხილულა. ი. როდიონოვმა საბჭოთა კავშირის სახალხო დეპუტატთა კომისიაზე განაცხადა, რომ ოპერაციის კონკრეტული გეგმა უნდა შეემუშაებინა ი. ეფიმოვს, თავად კი ჰქონდა ოპერაციის მხოლოდ ზოგადი სქემა. ოპერაციის დაწყების დრო — 9 აპრილის დილის 4 საათი, როგორც ი. როდიონოვი და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრები განმარტავენ, გადაწყდა მალალი თანამდებობის პირთა ვიწრო წრეში (ჯ. პატიაშვილი, ბ. ნიკოლსკი, ი. როდიონოვი, კ. კოჩეტოვი).

საყურადღებოა ერთი გარემოებაც, კერძოდ, 8 აპრილს 20 საათსა და 50 წუთზე ე. ი. როდესაც მიტინგის აღკვეთა უკვე გადაწყვეტილი იყო, ჯ. პატიაშვილის ხელმოწერით მოსკოვში სკკპ ცენტრალურ კომიტეტში გაიგზავნა დეპეშა, რომლის ტექსტი მოამზადა ბ. ნიკოლსკიმ. დეპეშაში აღნიშნულია, რომ „მდგომარეობა თბილისში კვლავ დაძაბული რჩება. მთავრობის სახლთან მიმდინარეობს მრავალათასიანი მიტინგი, რომლის ძირითადი ღოზუნგი უცვლელი რჩება: სსრ კავშირიდან გასვლა, დამოუკიდებელი საქართველოს შექმნა, ავტონომიათა გაუქმება და სხვა.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, მთავრობა, ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანოები მთლიანად ფლობენ სიტუაციას, ღებულობენ ზომებს მდგომარეობის სტაბილიზაციისათვის. შინაგან საქმეთა სამინისტროსთან და ამიერკავკასიის სამხედრო ოლქთან ერთად შეიმუშავებულია და ხორციელდება მართლწესრიგის განმტკიცების, აუცილებლობის შემთხვევაში მართლსაწინააღმდეგო მოქმედებათა აღკვეთის კონკრეტული გეგმა. ცენტრალური კომიტეტის, უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს, თბილისის საქალაქო კომიტეტისა და საქალაქო საბჭოს აღმასკომის მთელი აპარატი ზუსტად ასრულებს თავის ფუნქციებს, აქტიურად მუშაობენ მოსახლეობაში და მომიტინგეთა შორის. სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მთავრობის მიერ ადრე მიღებული ზომების გარდა კიდევ დამატებითი ზომების მიღება მოცემულ მომენტში საჭირო არ არის“.

ამ დეპეშის გაგზავნის შემდეგ მიტინგზე, და საერთოდ დედაქალაქში, რაიმე არსებითი ხასიათის ცვლილება მდგომარეობის კიდევ უფრო გამწვავების თვალსაზრისით არ მომხდარა; არც მთავრობის დაწესებულებებზე თავ-

დასხმების და მათი ხელში ჩაგდების რაიმე ცდები ყოფილა. პირიქით, მოსახლეობის მხრიდან იყო ცდები სიტუაციის განმუხტვისა. კერძოდ ჯ. პატიაშვილის სახლთან მოეწყო დედათა მანიფესტაცია თხოვნით, არ დაღვრილიყო სისხლი. ამასთან დაკავშირებით 500-მა ქალმა კ. გამსახურდიას ძეგლთან გამოაცხადა შიმშილობა. ამავე დროს, მთავრობის სახლთან მიტინგის მონაწილეთა რაოდენობა საგრძნობლად გაიზარდა მომიტინგეთა მშობლებისა და ახლობლების, უმეტესწილად ქალების ხარჯზე. ამან ძირფესვიანად შეცვალა სიტუაცია, რაც თავისთავად მოითხოვდა მთავრობისაგან წინასწარ შემუშავებული გეგმის შეცვლას. სწორედ ამ გარემოებათა გამო მიტინგის აღკვეთის დაწყების წინ შ. გორგოძე ოპერაციის წინააღმდეგ გამოვიდა და რესპუბლიკის ხელმძღვანელობისაგან (ჯ. პატიაშვილისაგან) მოითხოვა მისი გადადება.


ამასთან დაკავშირებით ოპერაციის დაწყებამდე ნახევარი საათით ადრე შედგა სატელეფონო საუბარი პატიაშვილსა და როდიონოვს შორის (როდიონოვი ამ დროს ჯარის ნაწილებთან ერთად ლენინის მოედანზეა, პატიაშვილი — თავის კაბინეტში). როდიონოვმა განუცხადა პატიაშვილს, რომ მიტინგის დაშლას მძიმე შედეგი არ მოყვებოდა. ამ მოლაპარაკების შედეგად გადაწყდა ოპერაციის დაწყება დანიშნულ ვადაზე (დილის 4 საათზე).

საყურადღებოა ის ფაქტი, რომ კომისიაზე ჯ. პატიაშვილმა განაცხადა — 9 აპრილს იგი რეალურ ძალაუფლებას ფლობდა და ბოლო წუთამდე შეეძლო მიტინგის აღკვეთის ოპერაციის გადადება.

9 აპრილს, დილის 4 საათზე მიტინგის აღკვეთის ოპერაცია დაიწყო და ტრაგიკულად დამთავრდა.

იმავე დღეს დილის 10 საათსა და 25 წუთზე ჯ. პატიაშვილის მიერ სკკპ ცენტრალურ კომიტეტში გაგზავნილ დეპეშაში კი ნათქვამია: „8 აპრილს 21 საათის შემდეგ, მიუხედავად პარტიული, საბჭოთა და სამართალდამცველი ორგანოების მიერ გატარებული ყველა ზომისა, მთავრობის სახლთან დაახლოებით 15-ათასიან მიტინგზე, აგრეთვე ქალაქის სხვა ადგილებში მდგომარეობა ექსტრემისტების მიერ უკიდურესად გამწვავდა და უკონტროლო გახდა. ე. წ. ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობის ლიდერები შეუდგნენ რესპუბლიკაში ძალაუფლების ხელში ჩაგდების გეგმების გამოცხადებას. ამ სიტუაციაში საზოგადოებრივი უშიშროების უზრუნველყოფისა და გაუთვალისწინებელი შედეგების თავიდან აცილების მიზნით მიღებულ იქნა გადაწყვეტილება დილის 4 საათზე ძალის გამოყენებით მთავრობის სახლის წინ არსებული მოედნის მომიტინგეებისაგან გასათავისუფლებლად... კომპეტენტური ორგანოების მიერ წინასწარ შედგენილი გეგმის შესაბამისად გამოყენებული იყო რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს და ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ჯარების ქვედანაყოფები. წარმოქმნილი ჭყლეტის შედეგად დაიღუპა 16 ადამიანი: 13 ახალგაზრდა ქალი და 3 მამაკაცი. 100-ზე მეტმა მიიღო სხვადასხვა სიმძიმის დაზიანება... ამჟამად მთავრობის სახლის წინ მოედანი განთავისუფლებულია მომიტინგეებისაგან და დაცულია ჯარების მიერ“ (დეპეშის ტექსტი მოამზადა ბ. ნიკოლსკიმ).

ასეთია მიმდინარე წლის 9 აპრილს თბილისში მიტინგის აღკვეთის შესახებ გადაწყვეტილების მიღების ფაქტობრივი გარემოებანი. მათი სამართლებრივი შეფასება სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კონსტიტუციების, საკავშირო და რესპუბლიკური კანონმდებლობის მოთხოვნათა გათვალისწინებით „საბჭოთა სამართალი“, № 8



ბით საფუძველს გვაძლევს მიტინგის აღკვეთის გადაწყვეტილებების მიღების წინააღმდეგობის მხრივ გამოვიტანოთ შემდეგი დასკვნები:

1. 1989 წლის 9 აპრილს თბილისში მთავრობის სახლის წინ მიტინგის ძალის გამოყენებით აღკვეთის გადაწყვეტილების მიღება განაპირობა საქართველოში ბოლო ხანს მიმდინარე საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროცესების რესპუბლიკის ხელმძღვანელობის მიერ მცდარმა შეფასებამ და მათ მიმართ პოლიტიკურად მცდარი დამოკიდებულების ჩამოყალიბებამ.

რესპუბლიკის სუვერენიტეტის განმტკიცების, ტოტალიტარიზმისა და პოლიტიკური უძრაობის ეპოქაში დაგროვილი მწვავე სოციალურ-ეკონომიკური, ეროვნულ-კულტურული პრობლემების გადაჭრისათვის ხალხის ფართო მასების, უმეტესწილად, ახალგაზრდობისა და ინტელიგენციის მოძრაობის გააქტიურება, რომელიც უპირატესად მიმდინარეობდა უშუალოდ დემოკრატიის ინსტიტუტების (მანიფესტაციების, დემონსტრაციების, მიტინგების და ა. შ.) გამოყენებით, რესპუბლიკის ხელმძღვანელობამ მიიჩნია არაფორმალური გაერთიანებების, ექსტრემისტულად განწყობილი ჯგუფების მიერ საერთო მდგომარეობის დესტაბილიზაციისა და პოლიტიკური ძალაუფლების ხელში ჩაგდებას ცდად, ანტისაბჭოურ, ანტისოციალისტურ აქციებად.

შექმნილი მდგომარეობის ნორმალიზაციისათვის იდეოლოგიური მუშაობის უსუსურობისა და უნაყოფობის გამო (საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ნ. ფოფხაძე) რესპუბლიკის პარტიულმა ორგანიზაციამ, ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოებმა ვერ შეძლეს საზოგადოებაში მიმდინარე პროცესების პოლიტიკური მეთოდებით მოწესრიგება და ამიტომ დაადგინეს ძალის გამოყენების პოლიტიკას.

2. რამდენადაც თბილისში 4-9 აპრილს მთავრობის სახლთან გამართულ მიტინგს მშვიდობიანი ხასიათი ჰქონდა და დაკავშირებული არ იყო ძალადობის გამოყენებასთან, საბჭოთა წესწყობილების დამნობასთან ან მოქალაქეთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიშ მოქმედებასთან, ამდენად არ არსებობდა სათანადო სამართლებრივი საფუძველი და აუცილებლობა საბჭოთა არმიის ნაწილებით მიტინგის აღკვეთის გადაწყვეტილების მისაღებად.

რესპუბლიკის ხელმძღვანელობისა და სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროს თანამდებობის ზირების მიერ (ჯ. პატიაშვილი, ბ. ნიკოლსკი, ო. ჩერქეზია, ზ. ჩხეიძე, კ. კოჩეტოვი, ი. როდიონოვი) მიღებული გადაწყვეტლება მიტინგის აღკვეთის შესახებ უკანონო აქტია, რისთვისაც მათ უნდა დაეკისროთ კანონით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა.

ამავე დროს კომისია ხაზგასმით აღნიშნავს, რომ უკანონო გადაწყვეტილების მიღებაში ყველაზე დიდი ბრალი ეკისრებათ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს ჯ. პატიაშვილს და მეორე მდივანს ბ. ნიკოლსკის.

კომისია თვლის, რომ დაუყოვნებლივ უნდა დადგეს საკითხი ჯ. პატიაშვილის, ბ. ნიკოლსკის, ი. როდიონოვის, ო. ჩერქეზიას, ზ. ჩხეიძის სახალხო დეპუტატობიდან გამოწვევისა და აგრეთვე რესპუბლიკის იდეოლოგიური ხელმძღვანელის ნ. ფოფხაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობიდან გამოწვევის შესახებ.

3. მიტინგის აღკვეთის შესახებ გადაწყვეტილება მიღებულია სსრ კავშირის კონსტიტუციის 119-ე მუხლის მე-14 პუნქტის უხეშო დარღვევით, რადგან მიტინგის აღსაკვეთად საბჭოთა არმიის ნაწილების გამოყენება ისე დაად-

გინეს, რომ საქართველოს დედაქალაქში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს არ გამოუცხადებია სამხედრო ან საგანგებო წესები.

4. სახალხო დებუტატთა ყრილობაზე ა. ლუკიანოვის მიერ გაკეთებული განცხადებისაგან განსხვავებით, კომისია თვლის, რომ ცენტრალური ხელისუფლება მიტინგის დაწყების დღიდან ინფორმირებული იყო თბილისის სიტუაციის შესახებ და რესპუბლიკის ხელმძღვანელობის ყველა აქცია ხორციელდებოდა მასთან შეთანხმებით, კერძოდ, უკანონო გადაწყვეტილება მიტინგის აღსაკვეთად სამხედრო ძალების გამოყენების თაობაზე მიღებულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიბიუროს წევრების ე. ლიგაჩოვისა და ვ. ჩებრიკოვის თანხმობით, სსრ კავშირის თადაცვის მინისტრის დ. იაზოვის განკარგულებით.

5. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1989 წლის 8 აპრილის განკარგულება, რომლითაც მთავრობის სახლის წინ მოედნის მომიტინგეებისაგან განთავისუფლება და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სხვა ღონისძიებანი დაევალათ სსრ კავშირის შინაგან ჯარებსა და საბჭოთა არმიის ნაწილებს, უკანონო აქტია, რადგანაც მოქმედი კონსტიტუციური კანონმდებლობა და სხვა ნორმატიული აქტები რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს ასეთ უფლებამოსილებას არ ანიჭებს.

6. კანონიერების უხეში დარღვევაა არაფორმალურ გაერთიანებათა ლიდერებს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაში მიცემის საკითხის გადაწყვეტა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სამდივნოს მიერ შედგენილ ღონისძიებათა გეგმით და მისი განხილვა პარტიული აქტივის კრებაზე.

მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, პიროვნების სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაში მიცემის საკითხს წყვეტს სათანადო უფლებამოსილებით აღჭურვილი კომპეტენტური ორგანო, და არა პარტიული აქტივის კრება.

ის ფაქტი, რომ პარტაქტივის მონაწილეთა დიდმა უმრავლესობამ მოიწონა ღონისძიებათა გეგმის ეს პუნქტი, მიუთითებს პარტიული აქტივის წარმომადგენელთა მართლშეგნების არასათანადო დონეს, აგრეთვე ადასტურებს ავტორიტარული რეჟიმისათვის დამახასიათებელი მეთოდების დაუფარავად გამოყენებას თანამედროვე პერიოდშიც.

7. რამდენადაც მიტინგის აღკვეთის გადაწყვეტილება უკანონო აქტია, აგრეთვე იმის გათვალისწინებით, რომ ამ გადაწყვეტილების აღსრულებას მოჰყვა განსაკუთრებით მძიმე შედეგები, კომისია სვამს საკითხს საქართველოს სსრ პროკურატურისა და სსრ კავშირის გენერალური პროკურორის წინაშე, რათა მათ, კანონით დადგენილი წესით, განიხილონ და გადაწყვიტონ იმ თანამდებობის პირთა პასუხისმგებლობის საკითხი, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს ამ გადაწყვეტილების მიღებაში.

8. სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების სამხედრო პირთა თვითნებობის, ძალაუფლების გადამეტებისა და ქვეყნის შინაგან საქმეებში საბჭოთა ღრმისათვის უჩვეულო ფუნქციების დაკისრების ფაქტების აღკვეთის მიზნით საჭიროა გადაისინჯოს სსრ კავშირის კონსტიტუციის მე-5 თავში მოყვანილი დეკლარაციული ხასიათის დებულებები, რათა ზუსტად განისაზღვროს შეიარაღებული ძალების მოვალეობანი და კომპეტენციის ფარგლები.

საჭიროა გადაისინჯოს ასევე საკანონმდებლო აქტები მიტინგებისა და დემონსტრაციების გამართვის წესის და შინაგანი ჯარების უფლებამოსილების

შესახებ, რადგანაც მათი გამოყენების პრაქტიკამ არ დაადასტურა ამ აქტების ეფექტიანობა, ამასთან, ისინი შეიცავენ მოქმედ კონსტიტუციასთან შეუსაბამო ნორმებს.

II

მიტინგის აღკვეთის გადაწყვეტილების აღსრულების კანონიერების შესახებ

1. მიტინგის აღკვეთის გადაწყვეტილება განხორციელდა 1989 წლის 9 აპრილს დილის 4 საათზე. ოპერაციას ხელმძღვანელობდა გენერალ-პოლკოვნიკი ი. როდიონოვი. მას ექვემდებარებოდა ყველა სახეობის საჯარისო ფორმირება ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ჯარების სარდლის პირველი მოადგილის ი. კუზნეცოვისა და შინაგანი ჯარების ოპერატიული სამმართველოს უფროსის ი. ეფიმოვის მეთაურობით. საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს შ. გორგოძეს და მის დაქვემდებარებულ საქართველოს მილიციას ფაქტობრივად უნდობლობა გამოეცხადა და იგი თვით იქცა საჯარისო ნაწილების დარბევის ობიექტად.

ი. როდიონოვის და მისთვის დაქვემდებარებული სამხედრო ნაწილების მოქმედება ობიექტურად არ იყო მიმართული მიტინგის დასაშლელად. ამას ადასტურებს შემდეგი გარემოებანი:

ა) მიტინგის დარბევა დაიწყო მაშინ, როდესაც მომიტინგეთა რაოდენობამ 10000-ს გადაამეტა.


ბ) დარბევის წინ მიტინგზე სრული სიმშვიდე სუფევდა; ადამიანები იდგნენ ანთებული სანთლებით ხელში, ლოცულობდნენ და მღეროდნენ, რაც უფრო მსხვერპლის შეწირვას ჰგავდა, ვიდრე აქტიურ წინააღმდეგობას.

გ) დარბევა დაიწყო ისე, რომ სამხედრო ხელისუფალთ მომიტინგეთათვის არ წარუდგენიათ ულტიმატუმი მიტინგის დაშლის მოთხოვნით.

დ) მიტინგის დასაშლელად სამხედრო ნაწილების უშუალო მოქმედების წინ არ იყო გამოყენებული ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის ნაკლებად საშიში საშუალებანი (წყლის ჭავლის მიშვება და სხვა), ამგვარი ამოცანა ლენინის მოედანზე მდგარი სახანძრო მანქანებისათვის არ მიუციათ. ისინი უკან მიყვებოდნენ სამხედრო ტექნიკას და ევალებოდნენ ჩაეკროთ ხანძარი, თუ იგი გაჩნდებოდა.

ე) დარბევამდე მთავრობის სახლის წინ მოედნიდან ყველა გასასვლელი, გარდა ერთი — ქაშვეთის ეკლესიის მიმდებარე ვიწრო ქუჩისა, ბლოკირებული იყო სამხედრო მოსამსახურეებით და ტექნიკით. მომიტინგეებს ფაქტობრივად გასაქცევი გზა წინასწარ ჰქონდათ მოჭრილი.

ვ) სამხედრო ნაწილები ალყაში აქცევდნენ მომიტინგეებს და უმოწყალოდ სცემდნენ ხელკეტებით, ადამიანთა დასასახიჩრებლად სპეციალურად მომარჯვებული სასანგრე ხელბარებით; გამოყენებული იყო აკრძალული მომწამვლელი ქიმიური ნივთიერებანი და ცეცხლსასროლი იარაღიც. ჯარისკაცები მისდევდნენ გაქცეულებს, უცვივდებოდნენ შენობებში თავშეფარებულ მოქალაქეებს, ურტყამდნენ წაქცეულებს, არ ინდობდნენ ქალებს, არასრულწლოვანებს, მოხუცებს; ამსხვრევდნენ ვიტრინებს, განზრახ აზიანებდნენ სახელმწიფო და პირად ქონებას.



ზ) სამხედრო პირების მიერ დაშავებულთა და დასახიჩრებულთა შორის არიან მოშიმშილეები, მედიცინის თეთრხალათიანი მუშაკები, რომლებიც ადგილზე დახმარებას უწევდნენ დაზარალებულთ, და საქართველოს მილიციის უიარაღო მუშაკები, რომლებიც სამსახურებრივ მოვალეობას ასრულებდნენ.

მშვიდობიანი დემონსტრაციის დარბევას შედეგად მოყვა 19 ადამიანის დაღუპვა, რომელთა შორის 16 ქალია (მათ შორის არის ორი არასრულწლოვანი და ერთი ორსული). სამხედრო პირთაგან არავინ დაღუპულა. აუცილებელია აღინიშნოს ისიც, რომ დღემდე მიმდინარეობს ძიება გარდაცვლილთა რაოდენობის დასაზუსტებლად, ვინაიდან არსებობს საზოგადოებრივი აზრი მოკლულთა უფრო დიდი რიცხვის შესახებ.

ამრიგად, სრული სიყალბე აღმოჩნდა ი. როდიონოვის მიერ ჯ. პატიაშვილისათვის მიცემული დაპირება, რომ მომიტინგეებსა და მოშიმშილეებს არაფერი დაუშავდებოდათ.

2. თბილისში გენერალ-პოლკოვნიკ როდიონოვის ხელმძღვანელობით ჩატარებული ოპერაცია კონსტიტუციური და მოქმედი კანონმდებლობის სხვა ნორმების უხეში დარღვევაა:

სსრ კავშირის კონსტიტუციის 119-ე მუხლის მე-14 პუნქტის თანახმად, „სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი... სსრ კავშირის დაცვისა და მისი მოქალაქეების უშიშროების ინტერესებისათვის აცხადებს სამხედრო ან საგანგებო წესებს მთელ ქვეყანაში, აგრეთვე ცალკეულ ადგილებში. ამასთან აუცილებლად განიხილავს ამ საკითხს შესაბამისი მოკავშირე რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმთან ერთად“.

სამხედრო და საგანგებო წესების შემოღება სსრ კავშირის განსაკუთრებული კომპეტენციაა. მოკავშირე რესპუბლიკას ასეთი კომპეტენცია დამოუკიდებლად არ გააჩნია.

ამრიგად, სსრ კავშირის კონსტიტუციის 119-ე მუხლის მე-14 პუნქტით გათვალისწინებული მიზნისათვის ჯარების შემოყვანის ერთადერთი სამართლებრივი საფუძველია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება სამხედრო ან საგანგებო წესების შემოღების შესახებ. სსრკ თავდაცვის სამინისტროს განკარგულებით ჯარები ქალაქში შემოიყვანეს და მიტინგის დარბევა დაიწყეს ისე, რომ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება სამხედრო ან საგანგებო წესების შემოღების შესახებ არ ყოფილა მიღებული, ე. ი. სამართლებრივი საფუძვლის გარეშე.

აქედან გამომდინარე, უხეშად დაირღვა სახელმწიფოს ძირითადი კანონის მოთხოვნა, რასაც უმძიმესი შედეგი მოჰყვა.

სსრკ უმაღლესი საბჭოს 1988 წლის 28 ივლისის ბრძანებულება „სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგანი ჯარების უფლებების და მოვალეობათა შესახებ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის დროს“ შეიცავს იმ შემთხვევების ამომწურავ ნუსხას, როდესაც შინაგან ჯარებს შეუძლიათ იარაღის გამოყენება. ამ ნუსხის მიზანია მკაცრად შეიზღუდოს და შემოიფარგლოს იარაღის გამოყენება, მთლიანად აღიკვეთოს ჯარის ქვეგანაყოფების მეთაურთა მიერ ამ იარაღის თვითნებური გამოყენების შესაძლებლობა.

ბრძანებულების მე-16 მუხლის თანახმად, „საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების უზრუნველყოფის მიზნით შინაგანი ჯარების პირად შემადგენლობას დაკისრებულ მოვალეობათა

შესრულებისას ეძლევა უფლება განსაკუთრებულ შემთხვევებში, როგორც უკიდურესი ზომა, გამოიყენოს იარაღი:

ა) მოქალაქეთა დაცვისათვის თავდასხმისაგან, რომელიც საფრთხეს უქმნის მათ სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას, თუ სხვა ხერხითა და საშუალებით მათი დაცვა შეუძლებელია;

ბ) განსაკუთრებით სარეჟიმო და სხვა მნიშვნელოვან ობიექტებზე თავდასხმის მოგერიებისათვის, აგრეთვე დაცულ ობიექტებზე შეიარაღებული თავდასხმის მოგერიებისათვის;

გ) მილიციის მუშაკებზე, სახალხო რაზმელებსა და სამხედრო მოსამსახურეებზე თავდასხმის მოგერიებისათვის, როცა მათ სიცოცხლეს უშუალო საფრთხე ექმნება;

დ) დანაშაულის ჩამდენი პირის დაკავებისათვის, რომელიც შეიარაღებულ წინააღმდეგობას უწევს, ან რომელსაც წაასწრეს განსაკუთრებით საშიში დანაშაულის ჩადენის დროს, როცა სხვა ხერხებითა და საშუალებებით ამ პირთა დაკავება შეუძლებელია“.

ასეთია იარაღის გამოყენების შემთხვევათა ამომწურავი ნუსხა. ყველა სხვა შემთხვევაში შინაგანმა ჯარებმა წესრიგი უნდა დაამყარონ იარაღის გამოყენებლად.

ზემოთ ჩამოთვლილი არც ერთი შემთხვევა 1989 წლის 9 აპრილს ქ. თბილისში არ ყოფილა.

ამრიგად, დარღვეულია ზემოთ მითითებული ბრძანებულების ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მუხლი: იარაღი გამოიყენეს ისეთ შემთხვევაში, როდესაც ეს აკრძალულია ბრძანებულებით.

იარაღად, კერძოდ გამოიყენეს:

ა) ალესილი ხელბარები, რომელიც ცივი იარაღია, თუ იგი სპეციალურადაა მომარჯვებული ადამიანის დასასახიჩრებლად. დამხმარე სახელმძღვანელოში „ქვეგანაყოფებში მეცადინეობის ჩატარების შესახებ“ პირდაპირ ნათქვამია: „ხელბარი საიმედო იარაღია ისეთი ჯარისკაცის ხელში, რომელიც ხელჩართულ ბრძოლაში ჩაება კარაბინისა და ავტომატის გარეშე. ხელბარით უნდა მივაცენოთ ალესილი გვერდიდან ჩამკრელი დარტყმები თავის არეში, კისერში ან მკლავში“.

დადგენილია სწორედ ასეთი დარტყმების შედეგად მოქალაქეთა დახოცვისა და მძიმე ჭრილობის მიყენების შემთხვევები.


ბ) ქიმიურ-ტოქსიკოლოგიური ქვეკომისიის დასკვნით დადგენილია, რომ ქ. თბილისში 9 აპრილს მიტინგის დაშლის დროს საჯარისო ქვეგანაყოფებმა გამოიყენეს:

სხვადასხვა სახის „ჩერიომუხა“, რომელიც ძირითადად შეიცავდა მომწამლელ ნივთიერებას — ქლორაცეტოფენონს (ქაფი);

უფრო ძლიერი მომწამლელი ქიმიური ნივთიერება „სი-ესი“;

ქლორპიკრინი, რომლის შემცველობა დადგინდა თანამედროვე დიდფექტიანი მეთოდების გამოყენებით.

ამავე დროს პათოლოგო-ანატომიური გამოკვლევები და 9 აპრილს დაღუპულთა და დაზიანებულთა კლინიკური სურათი ვერ თავსდება მხოლოდ „ქაფისა“ და „სი-ესის“ მოქმედების ჩარჩოებში. ამიტომ გამორიცხული არაა ისეთი უფრო ძლიერი მომწამლელი ქიმიური ნივთიერების გამოყენება, რო-



მელიც ნერვული სისტემის სპეციფიკური რეცეპტორების ბლოკირებას აწარმოებს.

ქიმიურ-ტოქსიკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნას ადასტურებენ მოსკოველი და ლენინგრადელი მაღალკვალიფიციური სპეციალისტები, აგრეთვე დასავლეთ გერმანიის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და საფრანგეთის სპეციალისტებისა და წითელი ჯვრის საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენლები.

საჭიროა აღინიშნოს ისიც, რომ სამხედრო პროკურატურის მიერ გადმოცემულ ნიმუშებში „ჩერიომუხისა“ და „სი-ესის“ გარდა ქვეკომისიამ აღმოაჩინა ისეთი ნივთიერებანი, რომელთა იდენტიფიკაცია მან ვერ შეძლო; ყველა ისინი შეიცავენ ისეთ კომპონენტებს, რომლებიც რეცეპტურის მიხედვით არ უნდა შედიოდნენ მათში.

ქიმიურ-ტოქსიკოლოგიურმა ქვეკომისიამ დაადგინა „ქაფისა“ და „სი-ესის“ ადგილისა და რაოდენობის გამოყენების სქემა დაწყებული მთავრობის სახლის წინ მდებარე მოედნიდან და დამთავრებული რესპუბლიკის მოედნით.

ქიმიური ნივთიერებების — „სი-ესის“ (K-51) და ქლორბიკრინის გამოყენება აკრძალულია მაშინაც კი, როცა იარაღის გამოყენება დაიშვება კანონმდებლობით. იმ სპეციალური საშუალებების ნუსხაში, რომელთა გამოყენება შეუძლიათ შინაგან ჯარებს, არ არის არც „სი-ესი“ (K-51) და არც ქლორბიკრინი. სწორედ აკრძალული ქიმიური საშუალებების გამოყენებას მოჰყვა განსაკუთრებით მძიმე შედეგი: 19 დაღუპული ადამიანიდან თორმეტის სიკვდილი გამოწვეული იყო მხოლოდ გაგუდვით, რაც გამოიწვია მომწამვლელი ქიმიური ნივთიერებების შესუნთქვამ. ეს დასტურდება აუტოფსიის მასალების მიკროსკოპული შესწავლით და სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის და სამედიცინო კომისიის დასკვნებით. სამი ადამიანი დაიღუპა მძიმე მოწამვლის შედეგად, რომელიც გართულებული იყო მექანიკური ტრავმებით და თავის არეში მიყენებული ისეთი ჭრილობებით, რომლებმაც ტვინის დაზიანება გამოიწვია.

ქიმიური ნივთიერებებით მოწამვლის გამო სამედიცინო დახმარებისათვის სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებებს მიმართა 4000-ზე მეტმა მოქალაქემ, რომელთა შორის 500-ზე მეტს სტაციონარულად მკურნალობდნენ, 3328 მოქალაქეს კი ამბულატორიულად.

რიგ შემთხვევებში ქიმიური ნივთიერებებით გამოწვეული მოწამვლა წარმოდგენილია საკმაოდ მძიმედ და პათოლოგიურ მდგომარეობათა მიმდინარეობა ხანგრძლივია. ამის გამო საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს სისტემაში ჩამოყალიბდა სპეციალიზებული დისპანსერული განყოფილება, სადაც აღნიშნულ ავადმყოფებს მკურნალობენ და სამედიცინო მეთვალყურეობას უწევენ. უცხოელი და საბჭოთა სპეციალისტების აზრით, დისპანსერული მეთვალყურეობა რამდენიმე წელიწადს უნდა გაგრძელდეს.

მძიმედ მოწამულთა ნაწილი მკურნალობას გადის გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში.

ამრიგად, სახეზე გვაქვს დანაშაული, რომელიც შეიცავს მკვლელობის ნიშნებს, ჩადენილს განსაკუთრებული სისასტიკით და ისეთი საშუალებებით, რომლებიც საშიშროებას უქმნის მრავალთა სიცოცხლეს (საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 104-ე მუხლის მე-6 პუნქტი).

აკრძალული ქიმიური ნივთიერების გამოყენების შესახებ ბრძანება შეეძ-



ლო გაეცა მხოლოდ გენერალ-მაიორ ი. ეფიმოვს. ამიტომ სწორედ მას და ოპერაციის საერთო ხელმძღვანელს ი. როდიონოვს უნდა დაეკისროთ პასუხისმგებლობა ზემოაღნიშნული დანაშაულისათვის.

გ) ალესილი ხელბარებისა და მომწამვლელი ქიმიური ნივთიერების გარდა 9 აპრილს გამოყენებული იყო ცეცხლსასროლი იარაღიც. ამას ადასტურებს დავით ირაკლის ძე ფაილოძის შემთხვევა: იგი მძიმედ დაჭრეს თავის არეში ცეცხლსასროლი იარაღით. მან დაკარგა ორივე თვალი, მისი სიცოცხლე საფრთხეშია და ამჟამად საფრანგეთში მკურნალობს.

ამრიგად, დ. ფაილოძის მიმართ ჩადენილია სისხლის სამართლის დანაშაული დამამძიმებელ გარემოებაში მკვლელობის მცდელობის სახით. ამ საქმეს იძიებს სსრკ სამხედრო პროკურატურა.

3. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1988 წლის 28 ივლისის ბრძანებულების თანახმად, „აკრძალულია იარაღის გამოყენება ქალთა და არასრულწლოვანთა მიმართ — მათგან შეიარღვებული თავდასხმის შემთხვევების გარდა“. ამის საპირისპიროდ 19-დან სწორედ 16 ქალია დაღუპული; დასახიჩრებულთა და მოწამულთა უმრავლესობაც ახალგაზრდა გოგონები არიან.

4. საგანგებოდ უნდა გამოვყოთ საქართველოს შინაგან საქმეთა ორგანოების თანამშრომელთა წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაული.

ისევე, როგორც წინა დღეებში, 9 აპრილსაც შესაბამისი ორგანოების დავალებით მთავრობის სასახლის წინ მოედანზე საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის უზრუნველსაყოფად განლაგებული იყვნენ მილიციის თანამშრომლები. დღეს საყოველთაოდაა ცნობილი, რომ მათი თავგანწირული მოქმედების შედეგად დაღუპვას გადარჩა მრავალი ასეული ადამიანი. მილიციის ბევრი თანამშრომელი მძიმედ დაშავდა და საავადმყოფოში მოათავსეს. თუმცა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1988 წლის 28 ივლისის ბრძანებულების მე-6 მუხლის თანახმად შინაგანი ჯარები ვალდებული არიან დახმარება აღმოუჩინონ მილიციის მუშაკებს, როცა მათ თავს ესხმიან, თბილისში 9 აპრილს მოხდა პირიქით. სამხედრო პირები დაესხნენ თავს მილიციის მუშაკებს და დაუზოგავად დაუწყეს მათ ცემა მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი ცდილობდნენ სიკვდილის პირას მყოფი ახალგაზრდები როგორმე სასწრაფო დახმარების მანქანამდე მიეყვანათ.

ამრიგად, ამ შემთხვევაში სახეზეა დანაშაულის ნიშნები, სახელდობრ, მილიციის მუშაკთა სიცოცხლის ხელყოფის მცდელობა მათ მიერ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის დროს.

5. ყურადღებას იპყრობს ის ფაქტი, რომ სამხედრო პირები ხელს უშლიდნენ სასწრაფო-სამედიცინო დახმარების ბრიგადებს, თეთრხალათიან მედიცინის მუშაკებს დახმარება აღმოეჩინათ დაშავებულთათვის; ამსხვრევდნენ სასწრაფო დახმარების მანქანებს. ყოველივე ამის შედეგად დაშავებულთა შორის არიან მედიცინის მუშაკებიც. ეს მოქმედება საყოველთაოდ აღიარებული საერთაშორისო სამართლის ნორმების უხეში დარღვევაა.

ყოველივე ზემოაღნიშნული საფუძველს იძლევა დავასკვნათ:

მიტინგის აღკვეთის უკანონო გადაწყვეტილება შესრულდა დანაშაულებრივი მეთოდებითა და საშუალებებით. ეს იყო არა მიტინგის გარეკვა, არამედ დამსჯელი ოპერაცია, რომელსაც განსაკუთრებით მძიმე შედეგი მოჰყვა, რისთვისაც სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა, უპირველეს ყოვლისა, უნდა

დაეკისროს ი. როდიონოვს, როგორც აღნიშნული დანაშაულებრივი ოპერაციის ორგანიზატორს, აგრეთვე მის დამხმარე გენერლებს ი. კუზნეცოვსა და ი. ეფიმოვს.

ამ უმძიმესი დანაშაულის უშუალო წამქეზებლებისა და კონკრეტული აღმსრულებლების ვინაობა, მათ მიერ ჩადენილი დანაშაული უნდა გამოიძიოს და სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი დაადგინოს სსრკ პროკურატურამ.

კომისიამ ცნობად მიიღო, რომ ზოგიერთი სამხედრო პირის მიმართ, რომლებსაც ბრალი მიუძღვით 9 აპრილს მიტინგის დარბევის დროს ჩადენილ კონკრეტულ დანაშაულში, საქმეს იძიებს სამხედრო პროკურატურა.

არაფორმალური ორგანიზაციების ლიდერების დანაშაულის გამო საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 206^ბ მუხლით საქმეს იძიებს საქართველოს სსრ პროკურატურა.

III

სამხედრო და სამოქალაქო ხელისუფალთა მოქმედების კანონიერება 9 აპრილის მიტინგის ალკვეთის შემდეგ

9 აპრილს დილის 10 საათსა და 25 წუთზე ჯ. პატიაშვილმა სკკპ ცენტრალურ კომიტეტს გაუგზავნა დეპეშა, რომლის ტექსტი მოამზადა ბ. ნიკოლსკიმ. დეპეშაში მიტინგის ალკვეთის შემდეგ რესპუბლიკის დედაქალაქში შექმნილი მძიმე მდგომარეობის ნორმალიზაციის მიზნით რესპუბლიკის ხელმძღვანელობა სკკპ ცენტრალურ კომიტეტს სთხოვს კომენდანტის საათის შემოღებას.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კომენდანტის საათის შემოღებამდე ქ. თბილისში შემოსული საბჭოთა არმიის ქვედანაყოფებმა მოახდინეს ქალაქის ფაქტობრივი ოკუპაცია, მოქალაქეთა კუთვნილი ავტომანქანების განზრახ დაზიანება და სხვა ამგვარი თვითნებობა. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს სამხედრო პირთა მიერ არასრულწლოვანთა ცეცხლსასროლი იარაღით დაჭრა. 9 აპრილს, დაახლოებით 18 საათსა და 15 წუთზე ე. ი. ჯერ კიდევ კომენდანტის საათის შემოღებამდე, თბილისში, კახეთის გზატკეცილზე, კინოთეატრ „ბათუმთან“ ახლოს გამვლელმა სამხედრო ნაწილებმა უმიზეზოდ სროლა აუტეხეს ქუჩაში მოთამაშე ბავშვებს, დაჭრეს ფეხში 15 წლის დათო მხატვრი-ვილი. ამის დანახვაზე იქვე მყოფი 12 წლის ლევან ჩანადირი შეშინებული მოახტა თავის ველოსიპედს, რათა იქაურობას გასცლოდა. ამ დროს მას მოხვდა ოფიცრის მიერ ნასროლი ტყვია დუნდულაში და იგი საავადმყოფოში მოათავსეს. თუმცა ბავშვს ინტენსიური სისხლის დენა ჰქონდა, სამხედრო მოსამსახურეებმა ავტომატები მიუშვირეს ხალხს და არ მისცეს ბავშვის აყვანის საშუალება, სანამ კოლონამ არ გაიარა.

მაშასადამე, ჩადენილია ორი არასრულწლოვანის მკვლელობის მცდელობა, მაშინ, როდესაც საბჭოთა კანონმდებლობით არასრულწლოვანების მიმართ იარაღის გამოყენება საერთოდ დაუშვებელია, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ისინი იარაღით ესხმიან თავს სხვებს, ამ საქმეს იძიებს სსრ კავშირის სამხედრო პროკურატურა.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა მოამზადა კომენდანტის საათის შემოღების შესახებ ბრძანებულების პროექტი, რომელიც მოიწონა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ და თავისი 1989 წლის 9 აპრილის დადგენილებით ბრძანებულების პროექტი განსახილველად გადასცა უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს.

იმავე დღეს, 19 საათზე მოიწვიეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომა, რომელსაც ესწრებოდნენ პრეზიდიუმის თავმჯდომარე ო. ჩერქეზია, თავმჯდომარის მოადგილე თ. კაბულოვა, პრეზიდიუმის მდივანი ე. კვარაცხელია და პრეზიდიუმის წევრები: ი. ანდრიაძე, ვ. ბლაჟივესკი, ზ. კვაჭაძე, ე. კოჩიანი, ჯ. მარგველიძე, კ. მამედოვი, მ. მეზვრიშვილი, რ. ჩიხლაძე. პრეზიდიუმის საერთო შემადგენლობის 19 წევრიდან სხდომას დაესწრო 11.

პრეზიდიუმის მდივნის ამხ. ვ. კვარაცხელიას ჩანაწერიდან ირკვევა, რომ სხდომაზე ინფორმაციით გამოვიდა ო. ჩერქეზია. მან აღნიშნა, რომ „ამჟამად ქალაქში რთული, დაძაბული ვითარებაა. პარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს საჭიროდ მიაჩნია შექმნილი ვითარების გათვალისწინებით ქალაქში კომენდანტის საათის შემოღება. ამიტომ საკითხი შემოგვაქვს თქვენს განსახილველად“. აზრი გამოთქვეს ზ. კვაჭაძემ, ჯ. მარგველიძემ, მ. მეზვრიშვილმა, ვ. კვარაცხელიამ. რ. ჩიხლაძემ, ი. ანდრიაძემ, რომლებმაც მხარი დაუჭირეს ქალაქში კომენდანტის საათის შემოღებას. ამ წინადადების წინააღმდეგ არავის გამოუთქვამს მოსაზრება.

სხდომაზე აღინიშნა, რომ კომენდანტის საათის შემოღების თაობაზე ინფორმირებულია სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის პირველი მოადგილე ა. ლუკიანოვი.

ამრიგად, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1989 წლის 9 აპრილს 19 საათზე ერთხმად მიიღო ბრძანებულება ქ. თბილისში კომენდანტის საათის შემოღების შესახებ. ბრძანებულებაში ვკითხულობთ: „შექმნილი ვითარების გათვალისწინებით შემოღებულ იქნეს ქ. თბილისში საკომენდანტო საათი 1989 წლის 9 აპრილიდან“.

იმავე დღეს საინფორმაციო პროგრამა „ვრემიამ“ ცენტრალური ტელევიზიით გადმოსცა ცნობა 9 აპრილს დილით თბილისში მომხდარი ამბების შესახებ, რომელშიც ნათქვამი იყო, რომ რესპუბლიკის დედაქალაქში შემოღებულა კომენდანტის საათი. საინფორმაციო პროგრამა „ვრემიას“ დამთავრების შემდეგ 22 საათსა და 52 წუთზე საქართველოს ტელევიზიით გამოვიდა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ჯარების სარდალი, გენერალ-პოლკოვნიკი ი. როდიონოვი, მან განაცხადა, რომ იგი დანიშნულია ქ. თბილისის სამხედრო კომენდანტად და, რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გადაწყვეტილების შესაბამისად ქ. თბილისში 9 აპრილის 23 საათიდან წესდება კომენდანტის საათი. ი. როდიონოვმა თავისი გამოსვლა დაამთავრა 22 საათსა და 56 წუთზე, ე. ი. 4 წუთით ადრე, ვიდრე კომენდანტის საათი ძალაში შევიდოდა (აუცილებელია აღინიშნოს, რომ ი. როდიონოვის გამოსვლის ჩაწერა დასრულდა კომენდანტის საათის გამოცხადებამდე 14 წუთით ადრე).

1989 წლის 10 აპრილს საკდესმა საკავშირო პრესის საშუალებით გაავრცელა ინფორმაცია თბილისში მდგომარეობის შესახებ, სადაც აღნიშნულია, რომ რესპუბლიკური ორგანოების გადაწყვეტილებით ქალაქში შემოღებულია კომენდანტის საათი (გაზ. „იზვესტია“, 1989 წლის 10 აპრილი);

1989 წლის 11 აპრილს რესპუბლიკურ გაზეთებში გამოქვეყნდა ი. რადიონოვის მიმართვა ქ. თბილისის მოსახლეობისა და მშრომელებისადმი, რომელიც 9 აპრილის მის სატელევიზიო გამოსვლას იმეორებდა.

1989 წლის 16 აპრილს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით (ტელევიზიით, რადიოთი) გადაიკა სამხედრო კომენდანტის ცნობა, სადაც აღნიშნულია: „საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს რეკომენდაციით მიღებულია გადაწყვეტილება, შემცირდეს კომენდანტის საათის ხანგრძლივობა. 16 აპრილიდან კომენდანტის საათი იმოქმედებს 24 საათიდან დღის 5 საათამდე“. რესპუბლიკურმა პრესამ ეს გამოაქვეყნდა 17 აპრილს (გაზ. „კომუნისტი“, 1989 წლის 17 აპრილი).

1989 წლის 17 აპრილს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ გამოიტანა დასკვნა, რომ 1989 წლის 18 აპრილიდან ქალაქში შეიქმნა კომენდანტის საათის სრული გაუქმების პირობები და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს რეკომენდაცია მისცა, მიეღო შესაბამისი გადაწყვეტილება.

იმავე დღეს გაიმართა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომა, რომელსაც ესწრებოდნენ პრეზიდიუმის თავმჯდომარე ო. ჩერქეზია, თავმჯდომარის მოადგილე თ. კაბულოვა, მდივანი ვ. კვარაცხელია და პრეზიდიუმის წევრები: ი. ანდრიაძე, ბ. ვაშაკიძე, ვ. ბლაჟიევსკი, ზ. კვაჭაძე, ვ. კოჩოიანი, კ. მამედოვი, მ. მეზერიშვილი, თ. პატიაშვილი, რ. ჩიხლაძე. რაიმე ჩანაწერი პრეზიდიუმის სხდომის მიმდინარეობის შესახებ არ არსებობს. პრეზიდიუმმა მიიღო შემდეგი შინაარსის ბრძანებულება: „საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1989 წლის 9 აპრილის ბრძანებულებით ქალაქ თბილისში შემოღებული საკომენდანტო საათი გაუქმდეს 1989 წლის 18 აპრილის 5 საათიდან“.

აღნიშნული ბრძანებულების ტექსტი იმავე დღეს გადაიკა ტელევიზიითა და რადიოთი. პრესაში გამოქვეყნდა 18 აპრილს (გაზ. „თბილისი“, 1989 წ. 18 აპრილი).

ასეთია მიმდინარე წლის აპრილში თბილისში საკომენდანტო საათის შემოღებისა და გაუქმების ფაქტობრივი გარემოებანი.

საკომენდანტო საათი განსაკუთრებული ზომაა, რომელიც ითვალისწინებს მოქალაქეთა და ორგანიზაციათა ცხოვრებისა და საქმიანობის სპეციალურ წესებს მთელ ქვეყანაში ან მის ცალკეულ ადგილებში სამხედრო მდგომარეობის გამოცხადების დროს.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1941 წლის 22 ივნისის ბრძანებულების თანახმად, სამხედრო მდგომარეობის გამოცხადება ხდება სსრ კავშირის თავდაცვის, საზოგადოებრივი წესრიგის უზრუნველყოფისა და სახელმწიფო უშიშროების ინტერესებისათვის. სამხედრო მდგომარეობის გამოცხადების შემთხვევაში სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოთა ყველა ფუნქცია თავდაცვის, საზოგადოებრივი წესრიგისა და სახელმწიფო უშიშროების სფეროში გადადის შესაბამისი ტერიტორიის სამხედრო ოლქის სამხედრო საბჭოს ხელში.

ზემოაღნიშნული ნორმატიული აქტის მე-3 პუნქტში დეტალურადაა გადმოცემული ის წესები, რომლებსაც საკომენდანტო საათის ცნების შინაარსი მოიცავს, სახელდობრ, დაწესებულებების, საწარმოებისა და ორგანიზაციების მუშაობის დროის განსაზღვრა, ქუჩაში მოძრაობის, მოქალაქეთა მიმოსვლის

აკრძალვა განსაზღვრული დროის შემდეგ, აუცილებლობის შემთხვევაში ჩხრეკისა და მოქალაქეთა დაკავების წარმოება, სამხედრო მდგომარეობაში არსებულ ტერიტორიაზე შესვლისა და გასვლის შეზღუდვა და ა. შ.

მაშასადამე, მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, კომენდანტის საათი შემოღებულ უნდა იქნეს მას შემდეგ, როცა გამოცხადდება სამხედრო მდგომარეობა.

ვინაიდან სამხედრო მდგომარეობა გულისხმობს განსაკუთრებულ სამართლებრივ რეჟიმს, რომელიც მნიშვნელოვნად ზღუდავს მთელი რიგი კონსტიტუციური ნორმების მოქმედებას, მისი გამოცხადების უფლებამოსილება 1977 წლის სსრ კავშირის კონსტიტუციით (მასში გასული წლის 1 დეკემბრის შეტანილ ცვლილებამდე) ეკუთვნოდა მხოლოდ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს (121-ე მუხლის მე-15 პუნქტი). მოკავშირე რესპუბლიკების, მათ შორის ჩვენი რესპუბლიკის საზოგადოებრიობის მოთხოვნით სსრ კავშირის კონსტიტუციაში 1988 წლის 1 დეკემბრის კანონით შეტანილი ცვლილებებისა და დამატებების შემდეგ სამხედრო ან საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების უფლება, მართალია, კვლავ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის უფლებამოსილებაში დარჩა, მაგრამ იმ განსხვავებით, რომ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ამ საკითხს აუცილებლად განიხილავს შესაბამისი მოკავშირე რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმთან ერთად (119-ე მუხლის მე-14 პუნქტი). მაშასადამე, მოკავშირე რესპუბლიკას სამხედრო ან საგანგებო წესების დამოუკიდებლად გამოცხადების და შესაბამისად კომენდანტის საათის შემოღების უფლება არა აქვს. მას შეუძლია მხოლოდ გამოთქვას თავისი წინადადება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ ამ საკითხის გადაწყვეტისას.

1989 წლის აპრილში ქ. თბილისში კომენდანტის საათის შემოღებასთან დაკავშირებით არსებული ფაქტობრივი გარემოებებისა და ამ საკითხის შესახებ არსებული კანონმდებლობის ანალიზი საფუძველს გვაძლევს გამოვიტანოთ შემდეგი ხასიათის დასკვნები:

1. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1989 წლის 9 აპრილის ბრძანებულება ქ. თბილისში კომენდანტის საათის შემოღების შესახებ ანტიკონსტიტუციური აქტია, რადგან რესპუბლიკის ხელისუფლების უმაღლეს ორგანოს არც სსრ კავშირის და არც საქართველოს სსრ კონსტიტუციებით ასეთი უფლებამოსილება არ გააჩნია.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თანამდებობის პირებმა გადაამეტეს ხელისუფლებას, მიიღეს ისეთი სამართლებრივი აქტი რომელიც აშკარად სცილდება მათთვის კანონით მინიჭებულ უფლებათა ფარგლებს.

2. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის პასუხისმგებელმა მუშაკებმა არ მიიღეს ზომები კომენდანტის საათის შემოღების თაობაზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დაუყოვნებლივ გამოქვეყნებისათვის, რითაც უხეშად დაარღვიეს „საქართველოს სსრ კანონების, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილებებისა და სხვა აქტების, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებებისა და დადგენილებების გამოქვეყნებისა და ძალაში შესვლის წესის შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის (1959 წლის 4 მარტის) ბრძანებულების მე-2 პუნქტი. ამ პუნქტის თანახმად, საქართველოს

სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის აქტები, რომლებიც ფართოდ და დაუფორმებლად გამოქვეყნებას მოითხოვს, იბეჭდება რესპუბლიკურ გაზეთებში „კომუნისტი“ და „ზარია ვოსტოკაში“, აგრეთვე შეიძლება გამოქვეყნდეს ტელევიზიითა და რადიოთი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თანამდებობის პირთა დაუდევრობის გამო, თბილისის მოსახლეობა კომენდანტის საათის ძალაში შესვლამდე არ იყო ინფორმირებული ქალაქში ასეთი ღონისძიების შემოღების შესახებ. უფრო მეტიც, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ზემოაღნიშნული ბრძანებულების ტექსტი პრეზიდიუმის სახელით რესპუბლიკურ გაზეთებში არ გამოქვეყნებულა, არ გადაუციათ ტელევიზიითა და რადიოთი.


ამ გარემოებას იმანაც შეუწყო ხელი, რომ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1989 წლის 9 აპრილის ბრძანებულებაში კომენდანტის საათის შემოღების შესახებ არ იყო განსაზღვრული ბრძანებულებით გათვალისწინებული ღონისძიების ძალაში შესვლის საათი.

3. იმის გამო, რომ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ 1989 წლის 9 აპრილს მიღებული ბრძანებულება თბილისში კომენდანტის საათის შემოღების შესახებ სცილდება მისი კომპეტენციის ფარგლებს და ამდენად ანტიკონსტიტუციური აქტია, ხოლო სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს არ გამოუტყდადებია ქ. თბილისში სამხედრო ან საგანგებო მდგომარეობა (ან თუნდაც კომენდანტის საათი), სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრს დ. იაზოვს სათანადო სამართლებრივი საფუძველი არ გააჩნდა და შესაბამისად არც უფლება ჰქონდა ქ. თბილისის კომენდანტად დაენიშნა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ჯარების სარდალი, გენერალ-პოლკოვნიკი ი. როდიონოვი, ხოლო ამ უკანასკნელს — განეხორციელებინა კომენდანტის საათით გათვალისწინებული საგანგებო ღონისძიებანი.

4. გენერალ-პოლკოვნიკმა ი. როდიონოვმა ჯეროვნად ვერ შეასრულა თავისი სამსახურებრივი მოვალეობა და კომენდანტის საათით გათვალისწინებული წესების შემოღება თბილისის მოსახლეობას აუწყა ამ ღონისძიების ძალაში შესვლამდე 4 წუთით ადრე, რის გამოც მრავალი თბილისელი, აგრეთვე სხვა ადგილებიდან თბილისში ჩამოსული მოქალაქეები, რომლებმაც ვერ მოისმინეს სატელევიზიო გადაცემა და შემთხვევით ქუჩაში აღმოჩნდნენ, უნებლიედ გახდნენ სამართალდამრღვენი.

5. საქართველოს სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროს თანამდებობის პირების, აგრეთვე პირადად გენერალ-პოლკოვნიკ ი. როდიონოვის კანონსაწინააღმდეგო მოქმედებას მოჰყვა განსაკუთრებით მძიმე შედეგები (კომენდანტის საათის გამოცხადების პირველივე წუთებში სამხედრო მოსამსახურებმა ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებით მოკლეს ერთი მოქალაქე — გია ქარსელაძე და დაჭრეს რამდენიმე მოქალაქე). ამიტომ სსრ კავშირის გენერალური პროკურორისა და საქართველოს სსრ პროკურატურის წინაშე დაისვას საკითხი ზემოაღნიშნულ თანამდებობის პირთა დანაშაულებრივი დაუდევრობისა და ხელისუფლების გადამეტებისათვის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის შესახებ.

6. მიუტყვევებელი ხარვეზებია სსრ კავშირის კანონმდებლობაში, რომელიც საგანგებო მდგომარეობისათვისაა გათვალისწინებული. სამხედრო წესების შესახებ მოქმედი ნორმატიული აქტი მიღებულია თითქმის ნახევარი სა-



უკუნი წინათ, და, ბუნებრივია შესაბამისი ეპოქის სულისკვეთებას გამოხატავს. სსრ კავშირის კონსტიტუციის 119-ე მუხლით სულ ახლახანს შემოღებული ინსტიტუტების „საგანგებო წესებისა“ და „მართვის განსაკუთრებული ფორმების“ შინაარსი ჯერჯერობით არცერთი ნორმატიული აქტით არ არის განსაზღვრული; ასევე ბოლომდე გაურკვეველია ამჟამად პრაქტიკაში დანერგილი საგანგებო ღონისძიებების — კომენდანტის საათის შემოღების პირობები და პროცედურა.

ცივილიზებულ სამართლებრივ სახელმწიფოში კანონიერების რეჟიმი უნდა მოქმედებდეს როგორც ნორმალურ, ისე განსაკუთრებულ პირობებში. ამისათვის აუცილებელია უმოკლეს ვადებში შეიქმნას სპეციალური კანონმდებლობა.

კანონიერების დარღვევის შემთხვევები იყო როგორც კომენდანტის საათის პირობებში, ისე მისი გაუქმების შემდეგაც. 17 აპრილს სტუდენტებისა და თანამშრომლების მოწამვლასთან დაკავშირებით თეატრალური ინსტიტუტის შენობა შეამოწმეს სამხედრო სპეციალისტებმა. ამ საგამოძიებო მოქმედებას ხელმძღვანელობდნენ ამიერკავკასიის სამხედრო პროკურორის მოადგილე, იუსტიციის პოლკოვნიკი ი. კლიმოვი და ამავე პროკურატურის საგამოძიებო განყოფილების სამხედრო პროკურორი, მაიორი ვ. ვერციუხი. ამ მოქმედების შესრულებაში მონაწილეობდნენ სპეციალისტები: გენერალ-მაიორი ა. ბურკოვი, ლეიტენანტი ა. ლიგინი, მაიორი ვ. სადიუკი, რომლებიც გაფრთხილებული იყვნენ საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 134¹ მუხლით.

მათ დაადგინეს, რომ შენობაში არ არის რაიმე მომწამვლელი ნივთიერებების ნარჩენები. ამის შემდეგ თეატრალურ ინსტიტუტში სწავლა აღდგა, რასაც შედეგად მოყვა რამდენიმე ათეული სტუდენტისა და თანამშრომლის მოწამვლა. მძიმე მოწამვლის შედეგად მიღებული გართულებების გამო მოგვიანებით გარდაიცვალა შ. გოგიძე. აუცილებელი გახდა განმეორებითი გამოკვლევა, რომელიც მიენდო საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ლაბორატორიას. 22 აპრილის შემოწმებით შენობაში აღმოჩნდა ქლორაცეტოფენონი და სხვა მომწამვლელი ნივთიერებანი. ინსტიტუტის შენობაში გამოკვლევა ჩაატარა აგრეთვე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ქიმიურ-ტოქსიკოლოგიურმა ქვეკომისიამ სამხედრო სპეციალისტებთან ერთად, რომელმაც აღმოაჩინა როგორც ქლორაცეტოფენონი, ისე „სი-ესი“ (K-51).

აქ საქმე გვაქვს სერიოზულ სამართალდარღვევასთან.

დანაშაულებრივ აქტად უნდა იყოს განხილული სამხედრო ხელისუფალთა მიერ მომწამვლელი ქიმიური ნივთიერების გამოყენების ფაქტისა და ამ ნივთიერებათა ბუნების დამალვა.

ქლორაცეტოფენონის (ქაფის) გამოყენება შინაგანმა ჯარებმა და სამხედრო უწყებებმა აღიარეს მხოლოდ 1989 წლის 14 აპრილს, ხოლო „სი-ესის“ გამოყენება — მხოლოდ 1989 წლის 3 მაისს. იმის შესახებ, რომ გამოყენებულ იქნა მესამე მომწამვლელი ქიმიური ნივთიერება ქლორპიკრინი, დღემდე არ არის ოფიციალური ცნობა.

ინფორმაციის უქონლობამ, ბუნებრივია, გამოიწვია საყოველთაო აღშფოთება, ავადმყოფთა დიდმა ჯგუფმა გამოაცხადა შიმშილობა, ხოლო შემდგომში ავადმყოფთა თანხმობით ისინი სოლიდარობის ნიშნით შეცვალეს ჯანმრთელმა ახალგაზრდებმა არა მარტო თბილისში, არამედ საქართველოს სხვა ქალაქებში.

29 აპრილს გადაწყდა ოფიციალური საქგლოვიარო ცერემონიის გადატანა მთავრობის სახლის წინა მოედნიდან სიონის ტაძარში. გვირგვინებისა და ყვავილების გადატანის დროს კვლავ მასობრივად მოიწამლნენ მოქალაქენი. ასევე მასობრივი მოწამვლა მოხდა № 1 საშუალო სკოლაშიც.

ადამიანთა მასობრივი მოწამვლის მეორე ტალღა აიხსნება შემდეგი გარემოებით: ქლორეცეტოფენონისა და ქლოროპიკრინის სიმტკიცე საკმაოდ მაღალია; „სი-ესის“ სიმტკიცე ორი კვირაა, ხოლო მისი ერთ-ერთი სახეობის „სი-ეს-2“-ისა 1 თვემდე. ეს ნივთიერებები, რომლებიც იყო მყარი ან თხევადი, 9 აპრილს ხმარების დროს ჩაიმარხა მიწაში. შემდგომში მიწა დაიფარა გვირგვინებითა და ყვავილებით; ყვავილების გატანის დროს შეიქმნა მეტი ჰირობები მათი აორთქლებისათვის, რამაც გამოიწვია მასობრივი მოწამვლა.

კომისიას მიაჩნია: ცივილიზებული სამყაროს ისტორიაში ძნელად მოიძებნება მეორე ისეთი შემთხვევა, როდესაც სახელმწიფოს მომწამვლელი ქიმიური ნივთიერება გამოეყენებინოს საკუთარი მოქალაქეების წინააღმდეგ. ასევე შეუძლებელია პრეცედენტი მოეძებნოს ისეთ შემთხვევას, როდესაც სამხედრო უწყების წარმომადგენლები უმაღლეს ექიმებს გამოყენებული ქიმიური ნივთიერების შედგენილობას, რითაც ხელს უშლიან ეფექტიან მკურნალობას.

IV

პრესა 9 აპრილის მოვლენათა შესახებ

თბილისში 9 აპრილს მომხდარი ტრაგიკული მოვლენები იქცა მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა პროფესიონალიზმის, ზნეობრიობისა და ობიექტურობის თავისებურ გამოცდად. საკავშირო და რესპუბლიკური პრესის სარკეში აისახა მთელი იდეოლოგიური მუშაობის შეცდომები და ნაკლოვანებანი, გამომჟღავნდა დიქტატი პარტიული ხელმძღვანელობისა, რომელსაც არ აღმოაჩნდა არც უნარი და არც სურვილი მოესმინა ალტერნატიული მოსაზრებები. პრესისადმი ხელმძღვანელობის მბრძანებლურ-ადმინისტრაციული სტილი განსაკუთრებით სრულად გამოვლინდა მიტინგის დარბევის პირველი დღეებიდან. საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმამდე, რომელმაც პოლიტიკური შეფასება მისცა თბილისის მოვლენებს, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის იდეოლოგიურმა სამსახურმა (ცენტრალური კომიტეტის მდივანი ნ. ფოფხაძე), ყურნალისტებს მკაცრი ცენზურა დაუწესა, ცენტრალურ კომიტეტში გამართულ ბრიფინგებს ანტიდემოკრატიული ხასიათი ჰქონდა; აშკარა ზეგავლენას ახდენდნენ, ოღონდ როგორმე დაემალათ საზოგადოებრიობისაგან ტრაგედიის მიზეზები და მასშტაბები და ცალმხრივი პოლიტიკური შეფასება მიეცათ მისთვის. მიუხედავად ამისა, რესპუბლიკური პრესა ცალკეულ შემთხვევებში მაინც ახერხებდა მოვლენები ობიექტურად წარმოედგინა. არ შეიძლება არ აღინიშნოს ახალგაზრდული გაზეთებისა და რიგი გამოცემების მოქალაქეობრივი ვაჟკაცობა (განსაკუთრებით გაზეთ „მოლოდიოჟ გრუზიაში“ ი. როსტის წერილი), რომლებიც ცდილობდნენ კომენდანტის საათისა და ცენზურის პრობებშიც კი მართლად და ობიექტურად აესახათ მოვლენები, მიზეზების რთული კომპლექსი, რომლებმაც განაპირობეს ტრაგედია. ამ ფონზე მკვეთრ უარყოფით შეფასებას

იმსახურებს 1989 წლის 14 აპრილს კომენდანტის საათისა და სამხედრო ცენზურის პირობებში გაზეთ „ზარია ვოსტოკაში“ (რედაქტორი — ა. იოსელიანი) გამოქვეყნებული სტატია: „ჩვენი ვალია საქართველოს დავებურთოთ სიმშვიდე“, რომელიც გადაიბეჭდა გაზეთ „ვეჩერნი ტბილისში“ წყაროზე მითითების გარეშე (რედ. ვ. ანასტასიადი). ამ სარედაქციო სტატიაში პირდაპირ არის ნათქვამი, რომ თბილისის მიტინგი მშვიდობიანი არ იყო, რომ აპრილის მოვლენები ავანტურისტებმა და დემაგოგებმა წამოიწყეს, რომ არსებობდა ხელისუფლების დამხობის რეალური საფრთხე, ხოლო ძალის გამოყენების გადაწყვეტილება ყოველმხრივ დასაბუთებული და გამართლებული იყო. სტატიის პუბლიკაცია, სწორედ რუსულ გაზეთ „ზარია ვოსტოკაში“ და არა ქართულ „კომუნისტში“, რომელიც ჩვეულებრივ, ყველა უმნიშვნელოვანეს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოვლენას აფასებს ხოლმე, გვარწმუნებს — იგი იმთავითვე გათვალისწინებული იყო განსაზღვრული მიზნების მისაღწევად. როგორც შემდგომში გამოირკვა, სტატია ცენტრალურ კომიტეტის ყოფილი მეორე მდივნის ბ. ნიკოლსკის პირდაპირი მითითებით დაწერილა და დაბეჭდილა, ხოლო სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობაზე გენერალ-პოლკოვნიკმა ი. როდიონოვმა დაწვრილებით მოიყვანა მისი ციტატები სამხედროთა მოქმედების გასამართლებლად; ასევე სამხედრო პრესამაც ესა და „ზარია ვოსტოკას“ და „ვეჩერნი ტბილისის“ კიდევ რამდენიმე იმავე პერიოდის ტენდენციური პუბლიკაცია გამოიყენა მთავარ არგუმენტად თბილისის მოვლენების გასაყალბებლად და ფართო საზოგადოებრიობის დეზინფორმაციისათვის.

ამ სტატიის პუბლიკაციის თაობაზე რედაქციის ახსნა-განმარტება უკვე ყრილობის მსვლელობის დროს, ე. ი. თითქმის ორი თვის შემდეგ დასტამბვის დღიდან და ისიც მხოლოდ როდიონოვის გამოსვლასთან დაკავშირებით, არ შეიძლება ჩაითვალოს წინათ დაშვებული შეცდომის სერიოზული და პატიოსანი გააზრების მისწრაფებად.

კომისია ყურადღებას ამახვილებს ამ პერიოდში მოსკოველ კორესპონდენტთა ჯგუფის თბილისში ყოფნის ფაქტზე. როგორც ირკვევა, მათზე გარკვეულ შემოქმედებას ახდენდა საქართველოს კპ ცკ-ის ხელმძღვანელობა, რათა საკავშირო პრესის ფურცლებზე არ თქმულიყო სიმართლე თბილისის ტრაგედიასთან დაკავშირებით. ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ ცენტრალური პრესა და ტელევიზია, იშვიათი გამონაკლისის გარდა, ან ზემოდან დოზირებული, ძუნწი და არაობიექტური ინფორმაციით იფარგლებოდა, ან აშკარა სიცრუეს აჭვეყნებდა. ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ გაზეთები „კრასნაია ზვეზდა“, „სოვეტსკი პატრიოტი“, „მედიცინსკაია გაზეთა“, „პიონერსკაია პრავდა“, „ლიტერატურნაია როსია“, „სელსკაია ჟიზნი“ და სხვანი.

ქართველი ხალხის წინააღმდეგ სიცრუის კამპანიის გაჩაღებასა და სინამდვილის დამახინჯებაში განსაკუთრებით გამოიჩინა თავი ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის გაზეთმა „ლენინსკოე ზნამიამ“, იგი ნომრიდან ნომერში ბეჭდავდა ყალბ და ტენდენციურ მასალებს მრავალსტრიქონიან ბლოკებსა და სტატიების ციკლს, რომლებიც ცალმხრივად აშუქებდა რა თბილისის მოვლენებს, გამიზნული იყო სარდლისა და სამხედრო ნაწილების მოქმედების დასაცავად. გაზეთი ტრაგედიაში ბრალს სდებდა მხოლოდ არაფორმალურ გაერთიანებათა ლიდერებს, აკრიტიკებდა სახალხო დეპუტატებს და მათ გამოსვლებს, რესპუბლიკურ პრესას, შეურაცხყოფდა ქართველი ინტელიგენციის წარმომადგენლებს. „ლენინსკოე ზნამიას“ პუბლიკაციების ანალიზი საფუძ-

ველს იძლევა დავასკვნათ: გაზეთის რედაქცია ამჟღავნებს ზნეობრივ-პოლიტიკურ უპასუხისმგებლობასა და უპრინციპობას, უგულვებელყოფს პროფესიული ეთიკის ელემენტარულ ნორმებს და, რაც ყველაზე მთავარია, ამკარად აღვივებს ეროვნებათა შორის შუღლს.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს 1989 წლის აპრილის თვეში საქართველოს კინემატოგრაფისტთა კავშირის სამდივნოს მოწვევით თბილისში სსრკ სახალხო დეპუტატთა — ე. იაკოვლევის, ა. გელმანის, ბ. ვასილიევისა და ლუნკოვის ჩამოსვლა. დეპუტატები უშუალოდ გაერკვნენ 9 აპრილის მოვლენებში, რასაც შედეგად მოყვა „მოსკოვსკიე ნოვოსტიში“ საკავშირო პრესის ფურცლებზე პირველი სრული და ობიექტური ინფორმაცია თბილისის ტრაგედიის შესახებ. ასევე საყურადღებოა სიმართლის დადგენის ტენდენციით გამსჭვალული მასალები საკავშირო გაზეთებსა და სატელევიზიო გადაცემებში — „ნედელია“, „ვზგლიადი“ და „დო ი პოსლე პოლუნოჩი“. აღსანიშნავია აგრეთვე ქართველ კინემატოგრაფისტთა მიერ მოსკოვში სსრკ კინემატოგრაფისტთა კავშირში საკავშირო და უცხოელი ყურნალისტებისათვის 21 აპრილს გამართული პრესკონფერენცია, რამაც დასაბამი მისცა უცხოეთის ინფორმაციის საშუალებათა ობიექტურ ინფორმირებას თბილისის მოვლენათა შესახებ.

კომისიის მიერ უცხოეთის პრესის დეტალურმა შესწავლამ დაგვანახვა, რომ საბოლოო ანგარიშში იგი ბევრად უფრო მიუყვარძობლად ამუშებდა თბილისის ტრაგედიას, ვიდრე საკავშირო პრესა.

თბილისის მოვლენებმა გვიჩვენა, რომ საჯაროობის დღევანდელი მექანიზმი უვარგისია ექსტრემალური სიტუაციების დროს. ამგვარ პირობებში ჯერ კიდევ ძალაშია პრესაზე და ინფორმაციის სხვა საშუალებებზე ადმინისტრაციულ-მბრძანებლური მართვისა და პარტიული დიქტატის მეთოდები. ამასთან დაკავშირებით კომისიას აუცილებლად მიაჩნია დაჩქარდეს პრესის შესახებ კანონის მიღება, რომელიც თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის მტკიცე სამართლებრივ გარანტიას შეუქმნის პრესას.


კომისია საჭიროდ თვლის საქართველოს ყურნალისტთა კავშირმა განიხილოს პრესის საკითხი 9 აპრილის მოვლენებთან დაკავშირებით და იმსჯელოს იმ ყურნალისტთა პასუხისმგებლობაზე, რომელთა ბრალია 9 აპრილის ტრაგედიის გაყალბება.

V

საზოგადოებრივი აზრი 9 აპრილის მოვლენების მიმართ

თბილისის მოსახლეობის სოციალურ-ფსიქოლოგიური გამოკვლევის შედეგად, რომელშიც ათი ათასამდე რესპოდენტი და 15 ექსპერტი მონაწილეობდა, გამოვლინდა:

გარდაქმნისა და დემოკრატიზაციის პირობებში რესპუბლიკის პარტიულმა და მთავრობის ხელმძღვანელობამ ვერ გამოახა საზოგადოების მართვის ახალი ფორმები და ადმინისტრაციული მეთოდებითა და ძალის პოლიტიკით სცადა მის წინაშე დასმული პრობლემების გადაწყვეტა. მწვავე ეროვნული პრობლემების ხელმძღვანელობის მცდარ პოზიციას განსაკუთრებით მკვეთრად დაუპირისპირდნენ ეგრეთ წოდებული არაფორმალური ჯგუფების ლიდერები. პარტიის ხელმძღვანელებისა და არაფორმალურ პოზიციათა შეუთავ-



სებლობის გამო მალე მათ შორის გაძნელდა დიალოგი და ყოველგვარი ურთიერთობა. ხალხს სულ უფრო შორდებოდა ხელმძღვანელობის ორიენტაციას და უახლოვდებოდა არაფორმალური ჯგუფების პოზიციას. ხალხის სამართლიანი მოთხოვნების უგულვებელყოფას მოჰყვა მიტინგები და სამოქალაქო პროტესტის ერთ-ერთი უკიდურესი ფორმა — შიმშილობა. საბოლოოდ ხელისუფლებისათვის საზოგადოებრივი პროცესები უმართავი გახდა და დახმარებისათვის უმაღლეს საკავშირო ორგანოებს მიმართა.

მიტინგის სისხლიანი დარბევა, ცხადია, ვერ მოხსნიდა იმ პრობლემებს, რომელთა გადაჭრასაც მოითხოვდა საზოგადოება. პირიქით, როგორც სოციოლოგიურმა გამოკვლევამ ნათელყო, საზოგადოებრივ-პოლიტიკური მდგომარეობა რესპუბლიკაში კიდევ უფრო გამწვავდა. მიღებული მონაცემების ანალიზი კომისიას საფუძველს აძლევს დაასკვნას:

1. საქართველოს რეალური დამოუკიდებლობის იდეას მხარს უჭერს გამოკითხულთა 89 პროცენტი. ეს მონაცემები გამოხატავს ჩვენი ქვეყნის მომავალი სტატუსის შესახებ საზოგადოების ცნობიერების მთავარ მიმართულებას.

2. 9 აპრილის აქციამ ხალხის განწყობილებაში თავისებური ცვლილებები შეიტანა. უპირველეს ყოვლისა, მკვეთრად გაიზარდა უარყოფითი დამოკიდებულება რესპუბლიკის ხელმძღვანელობისადმი და დადებითი — არაფორმალურებისადმი. გამოკითხულთა 71 პროცენტი გამოხატავს უარყოფით დამოკიდებულებას ჩვენი ყოფილი მთავრობისა და ხელმძღვანელობის მიმართ, ვინაიდან, მათი აზრით, რესპუბლიკის ხელმძღვანელობა არ ემსახურებოდა თავის ხალხს. და პირიქით, გამოკითხულთა 79 პროცენტს მიაჩნია, რომ არაფორმალური ჯგუფები ეროვნულ ინტერესებს გამოხატავენ.

3. 9 აპრილის ტრაგედიის შემდეგ ხალხის უარყოფითი დამოკიდებულება რესპუბლიკის ხელმძღვანელობის მიმართ სამხედრო ძალებზედაც გავრცელდა. გამოკითხულთა 82 პროცენტის აზრით, საბჭოთა არმია არ ემსახურება თავისი ხალხის ინტერესებს.

4. გამოკითხულთა 87 პროცენტი ობიექტურ გამოძიებასა და დამნაშავეთა დასჯას მოითხოვს; შედარებით ნაკლებად არის გავრცელებული რწმენა იმისა, რომ ყველა დამნაშავე სამართლიანად დაისჯება. კერძოდ, 62 პროცენტს სჯერა, რომ დამნაშავეები დაისჯებიან, 34 პროცენტს ეჭვი ეპარება ამაში. ეს, ცხადია, ხელს უშლის მდგომარეობის ნორმალიზაციას.

9 აპრილის მოვლენები ხალხის ცნობიერებაში დაკავშირებულია ცენტრალურ და ადგილობრივ ხელმძღვანელობასთან, რუს ხალხთან, დემოკრატიზაციისა და კონსტიტუციის დაცვის იდეებთან. საზოგადოებრივი აზრი ამ მოვლენების შეფასებაში შემდეგნაირად დაჯგუფდა: გამოკითხულთა 87 პროცენტი თვლის, რომ აღნიშნული მიტინგი ანტირუსული არ იყო. 80 პროცენტის აზრით მიტინგი არ იყო ანტიკონსტიტუციური. გამოკითხულთა 80 პროცენტი აღნიშნავს, რომ მიტინგებზე წამოყენებული იყო მნიშვნელოვანი პოლიტიკური, ეროვნული და სოციალური პრობლემები.

მიტინგის ბარბაროსული დარბევა მკვეთრ უარყოფით დამოკიდებულებას იწვევს ამ აქციის მომწყობთა მიმართ. ასეთ ინსტანციად ხალხმა ცენტრალური ხელისუფლება, საქართველოს ხელისუფლება და არმია ჩათვალა.

თბილისში შეიარაღებული ძალების შემოყვანა, გამოკითხულთა აზრით, გამოწვეული იყო: ცენტრალური და რესპუბლიკური ხელისუფლების პოზიციით — 65 პროცენტი, სამხედრო ხელისუფალთა პოზიციით — 53 პრო-

ცენტი და საქართველოს ხელისუფალთა და არაფორმალთა პოზიციის რეგულაციებით — 34 პროცენტი.

გაირკვა ისიც, რომ 9 აპრილს მომხდარი ტრაგედიისათვის პასუხისმგებლობა, გამოკითხულთა აზრით, უნდა დაეკისროს იმავე ინსტანციებს: პარტიის ცენტრალური ხელმძღვანელობა და დანაშაულთა 81 პროცენტმა, სამხედრო ხელისუფალნი — 71-მა, ხოლო საქართველოს ხელმძღვანელობა — 55 პროცენტმა.

ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ დამოკიდებულებათა სისტემური გადაწელების კანონის საფუძველზე 9 აპრილის აქციამ საქართველოს ხელმძღვანელობის მიმართ არსებული უარყოფითი დამოკიდებულება გაავრცელა საკავშირო ხელისუფლებისა და სამხედრო ძალების მიმართ, გაძლიერდა დადებითი დამოკიდებულება არაფორმალური ჯგუფებისადმი და იგი არ შეეხო რუს ხალხსა და კონსტიტუციურ პრინციპებს. ქართველი ხალხის ეროვნულმა მოძრაობამ არ მიიღო ანტირუსული და ანტიკონსტიტუციური ხასიათი.

5. ჩვენი ხალხის მთავარი მიზანი საქართველოს რეალური დამოუკიდებლობისა და თავისუფლების იდეის სახით ჩამოყალიბდა. გამოკითხულთა 89 პროცენტის აზრით, საქართველო სამართლიანობის პრინციპზე აგებული, დამოუკიდებელი და დემოკრატიული რესპუბლიკა უნდა გახდეს. ამ მიზნებს სავსებით შეესაბამება ქართველი ხალხის დადებითი დამოკიდებულება დემოკრატიზაციის, საჯაროობისა და გარდაქმნის მიმართ, რომელთაც მიემხრო გამოკითხულთა 79 პროცენტი. 9 აპრილის წინ გამართული მიტინგები ხალხმა გარდაქმნის პროცესების გამოვლენად ჩათვალა.

6. ბევრი პრობლემა, რომლებმაც გამოიწვია აპრილის ტრაგედია, ჯერ კიდევ გადაუჭრელი დარჩა. გადაუჭრელი პრობლემები, დაუქმყოფილებელი მოთხოვნები თვითონ იწვევენ საზოგადოებრივი აქტიურობის იმპულსებს, მიტინგებისა და დემონსტრაციების გამართვის მოთხოვნისა. ვიდრე ჩვენი საზოგადოება და ხელისუფლება ერთობლივად არ ჩამოაყალიბებს მოქმედების მიზანდასახულ პროგრამას, ძნელია სტიქიური მოძრაობების თავიდან აცილება. საჭიროა ეროვნული სამოქმედო პროგრამის შემუშავება, რომლის გარშემოც მოხდება საზოგადოებრივ ძალთა კონსოლიდაცია.

VI

9 აპრილის გარემოებათა ზოგადპოლიტიკური შეფასება

9 აპრილის ტრაგედიას განსაკუთრებული ადგილი უჭირავს იმ მოვლენათა შორის, რომლებიც აფერხებენ საზოგადოების გარდაქმნასა და დემოკრატიზაციას და მიყვებათ ძალადობისა და დანაშაულისაკენ. ამ ტრაგედიის საფუძვლიანი შესწავლა და ანალიზი საშუალებას აძლევს კომისიას გამოიტანოს შემდეგი ზოგადპოლიტიკური დასკვნები:

1. ქ. თბილისში 9 აპრილს ჩადენილი უმძიმესი დანაშაულის ერთ-ერთი მიზეზი იყო ის გარემოება, რომ კონსტიტუციამ ვერ შეასრულა თვითნებობისაგან პიროვნების და საზოგადოების დაცვის გარანტიის როლი. მოვლენების განვითარების ყველა ეტაპზე, როგორც რესპუბლიკურმა, ისე საკავშირო პარტიულმა და ხელისუფლების უმაღლესმა ორგანოებმა უგულვებელყვეს მოქმედი სამართალი. იგი შეცვლილი იყო ე. წ. „სატელეფონო სამართალით“. 9 აპრი-

ლის მოვლენების ანალიზი გვარწმუნებს, რომ არათუ კანონის უზენაესობაზე, არამედ სოციალისტური კანონიერების ელემენტარული მოთხოვნების დაცვაზეც კი ძნელია ლაპარაკი იქ, სადაც კანონს უპირისპირდება უმაღლესი პარტიული, ხელისუფლებისა თუ მმართველობის ორგანოები.

საზოგადოებაში კვლავ ძალუმაღ იგრძნობოდა ბიუროკრატიულ-მბრძანებლობითი აპარატის დიქტატი, რომლის სათავეში კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი იდგა. რესპუბლიკის სახელმწიფოებრივ სისტემაში რეალურად არ მოიპოვებოდა ძალა, რომელსაც შეეძლო წინ აღდგომოდა მას. მისი ძალაუფლება ძირითადად უზრუნველყოფილია იმ მორჩილებით, რომელსაც იგი იჩენდა საბჭოთა კავშირის ცენტრალური პარტიული ხელისუფლების მიმართ. ცენტრალური კომიტეტის ბიურო ფაქტობრივად მხოლოდ სათათბირო ორგანო იყო, რომელიც ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ნებას ასრულებდა.

რესპუბლიკაში ხელისუფლების უზენაესობის კონსტიტუციური პრინციპი ფიქციაა. ხელისუფლების უმაღლესი ორგანო — უმაღლესი საბჭო თუ მისი პრეზიდიუმი და მმართველობის უმაღლესი ორგანო — მინისტრთა საბჭო ფაქტობრივად პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის მორჩილი აპარატია. ის გარემოება, რომ უმაღლეს სასამართლოს თავმჯდომარეს ეძახიან ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანთან, სადაც ვიწრო წრეში წყდება არაფორმალური ორგანიზაციების ლიდერთა სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის საკითხი, აგრეთვე ის ფაქტი, რომ ამ გადაწყვეტილებას იწონებს ე. წ. პარტიული აქტივი, ნათლად მოწმობს, რომ რესპუბლიკაში მართლმსაჯულების დამოუკიდებლობაზე მსჯელობა შეუძლებელია. ექსტრემალურ სიტუაციაში რეალურად უფუნქციოდ დარჩა ისეთი ორგანოები, როგორცაა ქ. თბილისის პარტიული კომიტეტი, პარტიის რაიკომები, ადგილობრივი საბჭოთა ორგანოები, აგრეთვე კომკავშირი და პროფკავშირი. ვერც ერთმა ამ ორგანომ ვერ დაიკავა საკუთარი პოზიცია 9 აპრილის მოვლენებთან დაკავშირებით, რადგან ამ ორგანოს ხელმძღვანელთა თანამდებობაზე ყოფნისა და მისი შენარჩუნების ძირითადი საშუალება ხშირად ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის წინაშე მორჩილების დამტკიცება იყო.

სახელმწიფოს მართვის სამივე ფუნქცია, კერძოდ, საკანონმდებლო, აღმასრულებელი და მართლმსაჯულების — რეალურად თავმოყრილი იყო ერთ პიროვნებაში პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის სახით. ეს ყველაფერი ადასტურებს, რომ სახელმწიფოს მართვის ტოტალიტარული რეჟიმისათვის დამახასიათებელი პირამიდა არ დაშლილა. მაგრამ შეიცვალა გარემო. ეს კი ზოგჯერ გადაულახავი წინააღმდეგობრიობის საფუძველია: მართვის სისტემისათვის, რომელიც ძალადობას, ტერორს, სისხლიან დიქტატურას ემყარებოდა, სრულიად უცხო გამოდგა დემოკრატიზაციისა და საჯაროობის პირობები. ამიტომ ექსტრემალურ სიტუაციაში მან მიმართა მის არსებაში ჩამარხულ მეთოდს — ძალადობას.

რესპუბლიკაში სუსტია იურიდიული სამსახური, დაბალია საზოგადოების მართლშეგნება, რაც ბიუროკრატიულ-დიქტატორული სახელმწიფოს კიდევ ერთი დამახასიათებელი თვისებაა.

9 აპრილის მსგავსი ტრაგედია შეიძლება გამორიცხოს მხოლოდ სამართლებრივმა სახელმწიფომ, რომელიც, უწინარეს ყოვლისა, სახელმწიფოში ხელისუფლების დანაწილებას და კანონის უზენაესობას ნიშნავს.

2. 9 აპრილის მოვლენების ერთ-ერთი მიზეზი ისიც არის, რომ საქართველოსათვის კონსტიტუციით მინიჭებული სუვერენული უფლებები ფიქციაა, რაც ართულებს როგორც ერის სუვერენული უფლებების განხორციელებას, ასევე შიდარესპუბლიკურ ეროვნებათშორის ურთიერთობებს. ცენტრი უნდა არეგულირებდეს მხოლოდ რესპუბლიკათშორის ეროვნულ ურთიერთობებს და არ ერეოდეს რესპუბლიკის შიგნით სპეციფიკური ეროვნებათშორისი ურთიერთობების მოწესრიგებაში.

3. 9 აპრილი, უწინარეს ყოვლისა, ოფიციალური იდეოლოგიის კატასტროფაა. ამის მიზეზი ის არის, რომ იდეოლოგიური მუშაობა რესპუბლიკაში არ გარდაქმნილა. იგი შეესაბამებოდა დიქტატორული რეჟიმის იდეოლოგიას, რომელიც ეყრდნობოდა დიქტატს, აზრის მონოპოლიას და დემავოგას.

9 აპრილის ტრაგედიაში დემოკრატიული და გარდაქმნის პროცესების გავლენით საზოგადოებამ სამართლიანი ეროვნული მოთხოვნები წამოაყენა. საქართველოს ხელისუფლებამ თავისი ძველი სტერეოტიპული აზროვნების გამო ალღო ვერ აუღო იმ პროცესებს და ამ მოთხოვნების მიმართ უარყოფითი, მტრული დამოკიდებულება გამოამჟღავნა. „არაფორმალური“ ჯგუფის ლიდერები წინ აღუდგნენ ხელისუფლების ამ თვალსაზრისს და მათი პოზიციების მკვეთრი პოლარიზაცია მოხდა.

„არაფორმალთა“ იდეები, მათი ეროვნულ-დემოკრატიული არსის გამო, სულ უფრო პოპულარული ხდებოდა საზოგადოებაში და ხელისუფლებას მალე „არაფორმალთთან“ ერთად ხალხიც დაუპირისპირდა. ხელისუფლებამ ვერ გამონახა მასებზე რეალური, სოციალურ-ფსიქოლოგიური ზემოქმედების ფორმები: მდგომარეობის გამოსწორების შინაგანი საშუალებები (ფსიქოლოგიური, სოციალური, სოციალურ-ფსიქოლოგიური) და პრობლემების გადაჭრა გარეგანი ძალებით ცცადა. ამან სისხლიან დასასრულამდე მიგვიყვანა.

კომისიას მიაჩნია, რომ რესპუბლიკაში ძირფესვიანად უნდა შეიცვალოს იდეოლოგიური მუშაობა და რადიკალურად განახლდეს იდეოლოგიური ხელმძღვანელობის მთელი სისტემა.

4. 9 აპრილის ტრაგედიაში ცხადყო, რომ საბჭოთა სინამდვილეში ჯერ კიდევ ძლიერადაა გამჯდარი ტოტალიტარული რეჟიმისათვის ჩვეული აზრი, რომლის მიხედვითაც ანტისაბჭოური მოწოდება ან სიტყვა უფრო დიდ დანაშაულად ითვლება, ვიდრე პიროვნების წინააღმდეგ მიმართული ძალადობა. არსებული რეჟიმის ნებისმიერ ფასად შენარჩუნების იდეოლოგია ფაქტობრივად უგულვებელყოფს კონსტიტუციით აღიარებულ ძირეულ პრინციპს, რომლის მიხედვითაც საბჭოთა კავშირი თავისუფალ რესპუბლიკათა ნებაყოფლობითი კავშირია. ასეთი იდეოლოგიის მიმდევარნი უმძიმეს სახელმწიფოებრივ დანაშაულად თვლიან იმ აზრსაც კი, რომ რომელიმე მოკავშირე რესპუბლიკამ დააყენოს საკითხი კონსტიტუციის სათანადო მუხლის გამოყენებით სსრ კავშირის ფარგლებიდან გასვლის შესახებ. სწორედ ამის დასაბუთებაა ის მასობრივი ხოცვა-ჟლეტა, რომელიც განხორციელდა თბილისში მშვიდობიანი მიტინგის წინააღმდეგ კონსტიტუციური მოთხოვნისა და რამდენიმე რადიკალური ლოზუნგის წამოყენებისათვის.

5. თანამედროვე ეტაპზე ეროვნული მოძრაობა მჭიდროდ არის გადაჯაჭვული სოციალურ მოთხოვნებთან და, საერთოდ, სამართლიანობისათვის ბრძოლასთან. კერძოდ, იგი მკვეთრად უპირისპირდება მთელ ქვეყანაში ასე ფართოდ გავრცელებულ ბიუროკრატიზმს, კარიერიზმს, მექრთამეობას და სხვა



სახის კორუფციას. ამიტომ ბრძოლა ეროვნულ მოძრაობასთან კარიერისტებისა და კორუფციირებული ელემენტების მხრივ ამავე დროს არის ბრძოლა უკანონო შედეგებისა და უპირატესობების და უსწრემელი შემოსავლის შენარჩუნებისათვის. ამ ბრძოლის საფუძველი არის შიშიც, რომელიც კორუფციირებული ელემენტის მუდმივი თანამგზავრია და რომელიც აიძულებს მას უკანონო სურვილებიც კი შეუსრულოს ყველას, ვისზეც მისი ბედი ფაქტობრივად არის დამოკიდებული. ცხადია, ამავე მიზეზით იგი მოკლებულია უნარს დაიცვას თავისი ერის ინტერესები ზემდგომი ცენტრალური ანსტანციების წინაშე.

ამგვარად, სამართლებრივი სახელმწიფოს მშენებლობა, გარდაქმნა, დემოკრატიზაცია და ეროვნული მისწრაფებების ხორცშესხმა წარმოუდგენელია ბიუროკრატიზმთან, კარიერიზმთან და კორუფციასთან წარმატებული ბრძოლის გარეშე.

6. დემოკრატიზაციისა და საჯაროობის ერთ-ერთი რეალური გამოხატულებაა მშვიდობიანი მიტინგები და დემონსტრაციები, სადაც ხალხი თავის ნება-სურვილს გამოთქვამს. ამიტომ საჭიროა არა ბრძოლა სახალხო ნების გამოვლინებასთან, არამედ მიტინგების გამართვის სამართლებრივი საფუძვლების სრულყოფა და მათი დაცვა.

7. 9 აპრილის ტრაგედიის ერთ-ერთი უმძიმესი პოლიტიკური შედეგი ის არის, რომ ხალხს მკვეთრად დაუპირისპირდა არმია, რომელიც არაქართველი ჯარისკაცებით იყო დაკომპლექტებული. ამ მოვლენის დაძლევის მიზნით კომისია აყენებს საკითხს რესპუბლიკებში შეიქმნას ეროვნული საჯარისო ფორმირებანი. ამავე დროს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროსთან შეიქმნას შინაგანი ჯარები, რომლებიც დაკომპლექტებული იქნება რესპუბლიკის მოქალაქეებით და მის მოვალეობაში შევა უწესრიგობის აღკვეთა მხოლოდ რესპუბლიკის ტერიტორიაზე.

კომისიას აუცილებლად მიაჩნია დაიშალოს ის სამხედრო შენაერთი, რომელმაც განახორციელა თბილისში საბჭოთა არმიისათვის შეუფერებელი ბარბაროსული აქცია.

8. საბოლოოდ კომისია ასკვნის: 9 აპრილს ქ. თბილისში ჩადენილი დანაშაული ერთ-ერთი უმძიმესია საბჭოთა ქვეყნის ისტორიაში. მას დამსჯელი ოპერაციის ხასიათი აქვს, წარმოდგენს უდანაშაულო ადამიანთა წინასწარ ორგანიზებულ მასობრივ ხოცვა-ჟლეტას, ჩადენილს განსაკუთრებული სისასტიკით და აკრძალული ქიმიური ნივთიერებების გამოყენებით. იგი შეიცავს საერთაშორისო დანაშაულს, კერძოდ, ადამიანურობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულის ნიშნებს. კომისიამ ძირითადად გამოავლინა რესპუბლიკაში ყველა კონკრეტული დამნაშავე; ამავე დროს პასუხისმგებლობა ამ აქციისათვის ვერ გადაწყდება მხოლოდ რესპუბლიკის დონეზე, რადგან მას ცენტრალური ხელისუფლების თანამდებობის პირებიც იზიარებენ. კომისიას აუცილებლად მიაჩნია ყველა ამ თანამდებობის პირთა პასუხისმგებლობა. თუკი ეს მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა, მაშინ თბილისის ტრაგედიისათვის პასუხისმგებლობა დააწევა სსრ კავშირის უმაღლეს სახელმწიფო ხელისუფლებას მთლიანად.

თამაზ შავჭულიძე,

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ქ. თბილისში
1989 წლის 9 აპრილს მომხდარი ამბების გარემოებათა გამოძველვენი კომისიის თავმჯდომარე, პროფესორი.

იროდიონ სურგულაძე და მისი ნაშრომი „ხელისუფლება და სამართალი“

პანტაონ პაპუაძე,

პროფესორი, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი

სახელმწიფოსა და სამართლის საკითხები ირ. სურგულაძის ნაშრომებში

სამართლებრივ ურთიერთობებში უფლება-მოვალეობების ადგილის შესახებ ნებისყოფისა და ინტერესის თეორიების ირ. სურგულაძისეული კრიტიკა მეცნიერულად არ არის თანმიმდევრული. საქმე ისაა, რომ ირ. სურგულაძის კრიტიკა არსებითად ემყარება ბურჟუაზიულ მეცნიერებაში ამ თეორიების შესახებ გამოთქმულ შენიშვნებს. გარდა ამისა, ირ. სურგულაძე არაფერს ამბობს ძირითადად, კერძოდ იმაზე, რომ ამ თეორიებში ნება და ინტერესი წარმოდგენილია მათი კლასობრივი შინაარსისაგან დამოუკიდებლად.

ამრიგად, ირ. სურგულაძის ნაშრომის პირველ განყოფილებაში ლაპარაკია საკვლევ პრობლემაზე და მოცემულია ამ პრობლემის თაობაზე ბურჟუაზიულ მეცნიერებაში ჩამოყალიბებული თეორიების კრიტიკა. ირ. სურგულაძე მიუთითებს, რომ სამართლის ძირითადი ელემენტია იურიდიული ურთიერთობა, რომლის დეტალური ანალიზის გარეშე შეუძლებელია სამართლის სფეროში მოქმედი ძირითადი კანონზომიერების გაგება. ბურჟუაზიულ მეცნიერებაში გამეფებული ფსიქოლოგიურ-ნატურალისტური მეთოდოლოგიის საწინააღმდეგოდ, რომელიც ვერ გვაძლევს მართებულ წარმოდგენას სამართლებრივ ურთიერთობაზე, როგორც სამართლის ძირითად ფენომენზე, ირ. სურგულაძის აზრით, იქიდან უნდა გამოვიდეთ, რომ უფლება და მოვალეობა კორელაციური ცნებებია. უფლებისა და მოვალეობის კორელაციურობა ხასიათდება არა ანალიტიკური, არამედ სინთეტიკური ბუნებით, რაც იმას ნიშნავს, რომ ეს უკანასკნელი ემყარება კორელაციურად შეკავშირებულ ელემენტთა შინაარსის თავისებურებებს. უფლებისა და მოვალეობის კორელაციურობის არა ანალიტიკური, არამედ სინთეტიკური ხასიათი, ამ ელემენტთა ორმხრივი კავშირია არა უბრალო დე ფაქტო, არამედ აუცილებელი აპრიორი. უფლებისა და მოვალეობის ურთიერთობის კორელაციური ბუნების მქონე მოვლენების დამახასიათებელ თავისებურებას შეადგენს იურიდიული ურთიერთობის ამ ელემენტების ობიექტური და დამოუკიდებელი ხასიათი. ირ. სურგულაძე შენიშნავს, რომ იურიდიულ მეცნიერებაში გავრცელებული მართებული აზრის მიხედვით უფლებისა და მოვალეობის ურთიერთკავშირის ობიექტური აუცილებლობა სხვა არაფერია, გარდა ამ კავშირის არსისა და საფუძვლის ობიექტური კანონზომიერება, რომლის შესაბამისად იურიდიული ურთიერთობის ცალკეული ელემენტები, როგორც მთელის დამოუკიდებელი ნაწილები შინაგანად და ობიექტურად ერთმანეთთანაა დაკავშირებული.

ირ. სურგულაძე მიუთითებს, რომ მეცნიერულ ლიტერატურაში სამართლებრივი ურთიერთობის შემადგენელი ელემენტების, კერძოდ, უფლებამოვალეობის დამოკიდებული ხასიათი კარგადაა ცნობილი, მაგრამ მათი ურთიერთდამოკიდებულება გაგებულნი არ არის, როგორც ობიექტურად აუცილებელი. სამაგიეროდ უფლება-მოვალეობას შორის კავშირს, როგორც იურიდიული სინამდვილის უტყუარ ფაქტს, მეცნიერთა ერთი ჯგუფი გვერდს ვერ უვლის და მისი არსებობის დასაბუთებას ცდილობს. მათი მტკიცებით, უფლება და მოვალეობა ყოველთვის გულისხმობს ე. წ. მატარებლებს, რომელთა ურთიერთდამოკიდებულებისას თავიდანვე იქმნება კონტაქტი უფლება-მოვალეობას შორის. ირ. სურგულაძის მტკიცებით უფლება-მოვალეობის ე. წ. მატარებელთა შემქმნელი თეორია ემყარება იურიდიული მოვლენების და, კერძოდ, სამართლებრივი ურთიერთობის ფსიქოლოგიურ პროცესებთან გაიგივებას, რაც შეუძლებელს ქმნის უფლება-მოვალეობის კოელაციურობის გაგებას, ამიტომაც მისი გაზიარება არ შეიძლება. აქედან ცხადია, რომ სამართლებრივი ურთიერთობის დახასიათებისათვის არ არის საკმარისი იმის აღნიშვნა, რომ იგი ინდივიდებს შორის მოწესრიგებული სახით ჩამოყალიბებული სოციალური ურთიერთობაა. თუ სამართლებრივ ურთიერთობას განვიხილავთ ე. წ. წმინდა ფორმით, ანუ დანარჩენი იურიდიული მოვლენებისა და სამართლებრივად რელევანტური ფაქტებისაგან დამოუკიდებლად აღებულ კატეგორიას, იგი გაგებულნი უნდა იქნეს როგორც უფლებისა და მოვალეობის ურთიერთობა, კერძოდ, სამართლებრივი ურთიერთობის ამ ელემენტების, ანუ უფლებისა და მოვალეობის აუცილებელი აპრიორული კორელაციური მთლიანობა. ამიტომაც, მიუთითებს ირ. სურგულაძე, ინდივიდებს შორის კონკრეტული სამართლებრივი კავშირის დამყარება თავიდანვე კი არ ქმნის ზემოთ აღნიშნული სახით წარმოდგენილ იურიდიულ ურთიერთობას, არამედ გულისხმობს მის არსებობასაც.

ირ. სურგულაძე აღნიშნავს, რომ იურიდიული ურთიერთობისა და მისი შემადგენელი ელემენტების უფრო სრული დახასიათებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს იმ დამოკიდებულების გამორკვევას, რომელიც არსებობს, ერთი მხრივ, სამართლებრივ წესრიგსა და, მეორე მხრივ, სამართლებრივ ურთიერთობასა და მის შემადგენელ ელემენტებს შორის. თანამედროვე იურიდიულ ლიტერატურაში ცნობილია მხოლოდ უფლებისა და მართლწესრიგის ურთიერთდამოკიდებულების განმსაზღვრელი თავისებურებანი. კერძოდ, ზემოაღნიშნული იურიდიული მოვლენის, სახელდობრ, უფლებისა და სამართალწესრიგის ურთიერთობის დახასიათებას ისახავს მიზნად ნებისყოფის თეორია და ინტერესის თეორია. მაგრამ, როგორც დავინახეთ, ეს თეორიები ვერ გვაძლევს სწორ წარმოდგენას როგორც მთელ სამართალზე, ასევე ცალკეულ სამართლებრივ მოვლენებზე, იმის გამო, რომ როგორც ინტერესის, ასევე ნებისყოფის თეორია გამომდინარეობს სამართლისა და სამართლებრივი მოვლენების, და, მაშასადამე, უფლების ფსიქიურ მოვლენებთან გაიგივებიდან. ინტერესისა და ნებისყოფის თეორიები, შენიშნავს ირ. სურგულაძე, უფლებისა და მართლწესრიგის ურთიერთობას ახასიათებს, როგორც აღიარებას ან დაცვას. უფლება, ანდა ფაქტიური წარმოდგენები უფლებაზე ნებისყოფის ფორმით, რაც ნებისყოფის თეორიიდან გამომდინარეობს, ან ინტერესის ფორმით, რაც ინტერესის თეორიის თვალსაზრისს შეესაბამება, მართლწესრიგის მხოლოდ გარეგან მხარეებს ახასიათებს, რადგან

ამ უკანასკნელის როლი ამ თეორიების მიხედვით შეზღუდულია მხოლოდ როგორც დაცვა ან აღიარება. ამდენად, შენიშნავს ირ. სურგულაძე, ინტერესის თეორია და ნებისყოფის თეორია, მცდარ წარმოდგენას გვაძლევს იმის გამო, რომ ამ თეორიების მიხედვით გაკეთებული დასკვნები, ჯერ ერთი, გამოდინარეობენ სამართლებრივი მოვლენების ფსიქიურ მოვლენებთან გაიგივებიდან და, მეორე, ამ თეორიების თვალსაზრისები მიმართულია მართლწესრიგთან არა იურიდიული ურთიერთობის, არამედ უფლების დამოკიდებულების გარკვევისათვის. სინამდვილეში კი უშუალო ურთიერთდამოკიდებულება არსებობს არა მართლწესრიგსა და უფლებას, არამედ მართლწესრიგსა და სამართლებრივ ურთიერთობას შორის.

ირ. სურგულაძის მტკიცებით, როგორც მართლწესრიგის, ასევე სამართლებრივი ურთიერთობისა და მისი ელემენტების შესწავლისას იმ დასკვნამდე უნდა მივიდეთ, რომ მართლწესრიგი გამოხატავს არსებულის ონტოლოგიურად განსაზღვრულ სფეროს და მას, როგორც სამართლებრივი გზით მოწესრიგებულ საზოგადოებრივ ურთიერთობათა სისტემას, არსებობისა და განვითარების საკუთარი კანონზომიერება გააჩნია. მართლწესრიგი რთული იურიდიული კომპლექსია და მისი შემადგენელი ელემენტებია სამართლებრივი ურთიერთობანი. ეს კი იმას ნიშნავს, რომ უშუალო ურთიერთობა დამყარებულია არა მართლწესრიგსა და სამართლებრივი ურთიერთობის ელემენტებს, კერძოდ, უფლებებსა და მოვალეობებს შორის, არამედ მხოლოდ სამართლებრივ ურთიერთობასა და მართლწესრიგს შორის.

უნდა აღინიშნოს, რომ ირ. სურგულაძე სწორია, როცა აკრიტიკებს ზემოაღნიშნულ ბურჟუაზიულ თეორიებს, რომლებიც გამორიცხავენ უფლება-მოვალეობების კორელაციურობის შესაძლებლობას და უფლებისა და მართლწესრიგის ურთიერთობას ახასიათებენ, როგორც აღიარებას ან დაცვას ნორმისა, მაგრამ ირ. სურგულაძე მართლწესრიგისა და სამართლებრივი ურთიერთობის დამოკიდებულებას იკვლევს მხოლოდ ამ უკანასკნელის ერთადერთი შემადგენელი ნაწილის, კერძოდ, უფლება-მოვალეობის მიხედვით და მხედველობის გარეშე ტოვებს მათ ურთიერთობაში სამართლებრივი ურთიერთობის სხვა ელემენტებს, კერძოდ, ობიექტსა და სუბიექტებს. ამიტომაც, როგორც ქვემოთ დავინახავთ, ირ. სურგულაძეს მართლწესრიგი არასწორად აქვს წარმოდგენილი, სახელდობრ მას მართლწესრიგი გაგებული აქვს, როგორც იურიდიული მოწესრიგების აბსტრაქტული სისტემა, რომელიც არ წარმოადგენს მისი (მართლწესრიგის) იურიდიულად შესაძლებელ განხორციელებას.

ირ. სურგულაძე აღნიშნავს, რომ სამართლებრივი ურთიერთობა რაკი გაგებულია, როგორც უფლებებისა და მოვალეობების კორელაციური დამოკიდებულება, ხოლო მართლწესრიგი, როგორც სამართლებრივი ურთიერთობების მთლიანობა, მართლწესრიგი სხვა არაფერი არ უნდა იყოს თუ არა იურიდიული მოწესრიგების აბსტრაქტული სისტემა. მართლწესრიგი ამგვარად წარმოდგენილი, ე. ი. მართლწესრიგი, როგორც სამართლებრივი ურთიერთობების მთლიანობა იურიდიული მოწესრიგების აბსტრაქტული სისტემის სახით, ჯერ კიდევ არ ნიშნავს მის იურიდიულად შესაძლებელ განხორციელებას. ირ. სურგულაძის მტკიცებით, მართლწესრიგის იურიდიულად შესაძლებელი განხორციელების მდგომარეობა წმინდა სამართლებრივი ელემენტების გარდა გულისხმობს განსაზღვრულ მოცემულობას ფაქტიური ხასია-



თის ელემენტებისა, რომლებიც თუმცა თავისთავად იურიდიული არ არიან, მაგრამ განსაზღვრელი სამართლებრივი ნორმებისაგან იძენენ იურიდიულ მნიშვნელობას.

ჩვენის აზრით, არასწორია ირ. სურგულაძის მტკიცება, თითქოს მართლწესრიგის იურიდიულად შესაძლებელი განხორციელების მდგომარეობა გულისხმობს როგორც ფაქტიური ხასიათის ელემენტებს, რომლებიც იურიდიული ხასიათის არ არის, მაგრამ განსაზღვრული სამართლებრივი ნორმებისაგან იძენენ იურიდიულ მნიშვნელობას, აგრეთვე წმინდა სამართლებრივ ელემენტებს. აქ გაუგებარია ამ ელემენტების გამიჯვნის კრიტერიუმები, კერძოდ, ცნობილია, რომ ე. წ. წმინდა სამართლებრივი ელემენტები მხოლოდ სამართლითაა განსაზღვრული, მაგრამ შეუძლებელია სამართლებრივი ნორმებისაგან იძენდნენ იურიდიულ მნიშვნელობას. საქმე ისაა, რომ თუ განსაზღვრული სამართლებრივი ნორმები იურიდიულ მნიშვნელობას ანიჭებენ ფაქტიური ხასიათის ელემენტებს, რა თქმა უნდა, ისინი სამართლებრივი ხასიათის ელემენტებადაც უნდა მოგვევლინონ.

ირ. სურგულაძე ეხება ე. წ. ფაქტიური ხასიათის ელემენტებს და მიუთითებს, რომ ისინი გვეხმარება იმის გარკვევაში თუ რა არის მართლწესრიგი იურიდიულად შესაძლებელ განხორციელების სტადიაზე და რით ხასიათდება კონკრეტული სამართლებრივი ფორმით წარმოდგენილი სამართლებრივი ურთიერთობები. ვარდა ამისა, ფაქტიური ელემენტების თავისებურებების განალიზების შედეგად შეგვიძლია დავადგინოთ ის ელემენტები, რომლებიც ფაქტიური ელემენტებისაგან დამოუკიდებლად ტრადიციული შეხედულების მიხედვით, სამართლებრივი ურთიერთობების შემადგენელ ნაწილებს წარმოადგენენ. მაგრამ ამ ფაქტიურ ელემენტებზე არ შეიძლება გვექონდეს სწორი წარმოდგენა იმ დამოკიდებულების გათვალისწინების გარეშე, რომელიც სამართლებრივ კატეგორიებსა და ფაქტიური ხასიათის მოვლენებს შორის არსებობს. ეს დამოკიდებულება, შენიშნავს ირ. სურგულაძე, ძირითადად შემდეგი სახით გვევლინება: პირველი, საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკურ სტრუქტურასა და სამართლებრივ წყობილებას (მოწესრიგებას) შორის არსებული დამოკიდებულება, მეორე, სამართლებრივი ურთიერთობის წმინდა იურიდიულ ელემენტებსა და სამართლებრივი ურთიერთობის საგანს შორის არსებული დამოკიდებულება, მესამე, სამართლებრივი კატეგორიების დამოკიდებულება ფაქტიური ხასიათის მოვლენებთან, რომელიც იურიდიული რელევანტობის ცნებით აღინიშნება.

სამართლებრივი და ფაქტიური ხასიათის მოვლენების ურთიერთდამოკიდებულების პირველი სახე, კერძოდ, საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკურ სტრუქტურასა და სამართლებრივ წყობილებას შორის არსებული დამოკიდებულება განსაზღვრავს ინდივიდუალური სამართლებრივი წყობილების ჩამოყალიბებას. რაც შეეხება სამართლებრივი და ფაქტიური ხასიათის მოვლენების ურთიერთდამოკიდებულების დანარჩენ ორ სახეს, კერძოდ, სამართლებრივი ურთიერთობის წმინდა იურიდიულ ელემენტებსა და სამართლებრივი ურთიერთობის საგანს შორის არსებულ დამოკიდებულებასა და აგრეთვე იურიდიული რელევანტობის ცნებით აღნიშნულ სამართლებრივი კატეგორიების დამოკიდებულებას ფაქტიური ხასიათის მოვლენებთან, ისინი გამოხატავენ და წარმოდგენას გვაძლევენ იურიდიული ურთიერთობების და

მათი ერთობლიობის, კერძოდ, სამართლებრივი წყობილების იურიდიულად შესაძლებელ განხორციელების სტადიაზე გადასვლაზე.

სამართლებრივი და ფაქტიური ხასიათის მოვლენების უკანასკნელი ორი სახის ურთიერთდამოკიდებულებაში, ირ. სურგულაძის აზრით, დიდი მნიშვნელობა აქვს: პირველი, სამართლებრივი ურთიერთობის საგანს და მეორე, იურიდიულად რელევანტურ ფაქტს. ირ. სურგულაძე შენიშნავს, რომ სამართლებრივი ურთიერთობის საგანი და იურიდიულად რელევანტური ფაქტები სამართლებრივი რეგულირების სისტემის შემადგენელი ნაწილებია, მაგრამ მათ შორის განსხვავება უნდა ვეძებოთ ამ სასტემაში მათ მიერ დაკავებული ადგილის მიხედვით. სამართლებრივი ურთიერთობის საგანი არსებითად იმით ხასიათდება, რომ იგი სამართლებრივი ურთიერთობის შინაგანი შემადგენელი ელემენტია, მაშინ, როდესაც უფლებითა და მოვალეობით გამოხატული იურიდიულად რელევანტური ფაქტები სამართლებრივი ურთიერთობის გარეგანი პუნქტები და შემადგენელი ელემენტებია. სამართლებრივი ურთიერთობა გაგებულად, როგორც უფლებებისა და მოვალეობებისაგან წარმომდგარი ურთიერთობა, ლოგიკური მოვლენაა, რამდენადაც ისინი კორელატიური ელემენტების სახითაა წარმოდგენილი სამართლებრივ ურთიერთობაში. სამართლებრივი ურთიერთობის ცნება მართლწესრიგში, ამ აზრით, აბსტრაქტული ელემენტი, კერძოდ, საზოგადოებრივი ურთიერთობის იურიდიული მოწესრიგების აბსტრაქტული სქემაა. ამ მოდელისა ანუ სქემის გადასვლა იურიდიულად შესაძლებელ მდგომარეობაში უნდა მოხდეს ერთი გზით, კერძოდ, უფლებისა და მოვალეობის წმინდა სამართლებრივი კატეგორიების ახალ ელემენტთან, სამართლებრივი ურთიერთობის საგანთან შეერთებით.

სამართლებრივი ურთიერთობის საგნისაგან განსხვავებით, სულ სხვა ფუნქციას ასრულებს სამართლებრივ ურთიერთობაში ფაქტები, რომელთაც იურიდიულად რელევანტური ხასიათი აქვთ. იურიდიულად რელევანტური ფაქტები არ წარმოადგენენ სამართლებრივი ურთიერთობის შინაგან ელემენტებს, არამედ ისინი ამ ურთიერთობის გარეთ იმყოფებიან და უფლებამოვალეობები მათკენ კი არ არის მიმართული, არამედ ისინი იწვევენ ობიექტური სამართლის არსებობის გამოვლენას. იურიდიულად რელევანტური ფაქტების ძირითადი ფუნქცია უფლება-მოვალეობის წარმოშობა, შეცვლა ან შეწყვეტაა, ანუ იურიდიული ფაქტები დაკავშირებულია ობიექტური სამართლის საფუძველზე არსებული უფლება-მოვალეობების დინამიკასთან სუბიექტთა ურთიერთობაში.


იურიდიულად რელევანტური ფაქტები განსაკუთრებული მნიშვნელობის გარემოებებია, რომლებიც მკიდროდაა დაკავშირებული სამართლის სუბიექტებთან. ირ. სურგულაძე მიუთითებს, რომ იურიდიულად რელევანტური ფაქტების ტრადიციული დოქტრინის მიხედვით ცნობილია ამ ფაქტების ორი სახე: იურიდიული ხდომილება და იურიდიული მოქმედება, მაგრამ ეს დაყოფა არაა დამაკმაყოფილებელია, რადგან იგი ვერ მოიცავს ყველა იურიდიულად რელევანტურ ფაქტს. მის ნაცვლად ირ. სურგულაძე გვთავაზობს იურიდიული რელევანტობის სხვა კლასიფიკაციას, კერძოდ, იგი მიუთითებს, რომ ერთმანეთისაგან უნდა განვასხვაოთ იურიდიული რელევანტობის ორი სახე: ძირითადი იურიდიული რელევანტობა და დამოკიდებული იურიდიული რელევანტობა. ეს დაყოფა ემყარება იმ გარემოებას, რომ სამართლებრივი

წყობილების ძირითადი ელემენტები, ანუ სამართლებრივი ურთიერთობები ერთმანეთისაგან განცალკევებით არ შეიძლება არსებობდეს.

ჩვენი აზრით, ირ. სურგულაძის ზემოაღნიშნულ მსჯელობას ახასიათებს ერთი ძირითადი ნაკლი, რომელიც წარმოდგება სამართლებრივი ურთიერთობისა და მართლწესრიგის ურთიერთდმოკიდებულების არასწორი განსაზღვრიდან. მისი მტკიცებით, სამართლებრივი ურთიერთობა უნდა გავიგოთ ორი აზრით: პირველი, ლოგიკური სახით არსებული სამართლებრივი ურთიერთობა როგორც უფლებებისა და მოვალეობებისაგან წარმომდგარი აბსტრაქტული ცნება, და მეორე, აბსტრაქტულად არსებული სამართლებრივი ურთიერთობის ამ ლოგიკური სქემის გადასვლა იურიდიულად შესაძლებელ მდგომარეობაში, რომელიც ხდება უფლებებისა და მოვალეობების სამართლებრივი ურთიერთობების ახალ ელემენტთან, მის საგანთან შეერთებით. სინამდვილეში სამართლებრივი ურთიერთობა ყოველთვის რეალურად არსებული ურთიერთობაა და გარდა ამისა, სამართლებრივი ურთიერთობა შეუძლებელია არსებობდეს სამართლებრივი ურთიერთობის საგნის (ობიექტის) გარეშე.

ირ. სურგულაძის ამ ნაშრომის შეფასებისას მხედველობაში უნდა მივიღოთ ის გარემოება, რომ ავტორი საბჭოთა იურიდიული მეცნიერების ჩამოყალიბების პერიოდში ერთ-ერთი პირველთაგანია, რომელმაც სხვებისაგან განსხვავებით სამართლებრივი პრობლემების კვლევისას ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ ყოველ სახელმწიფოში ჩამოყალიბებულ საზოგადოებრივ ურთიერთობებს მრავალნაირი სოციალური ნორმები აწესრიგებს, რის შედეგადაც იქმნება ამ ურთიერთობათა სხვადასხვა მოდელი, რომლებიც ძირითადად შეიძლება ორ ჯგუფად დაიყოს: პირველი, სამართლებრივი ურთიერთობები, ჩამოყალიბებული სამართლებრივი ნორმების მიერ განსაკუთრებულად კატეგორიის საზოგადოებრივი ურთიერთობების მოწესრიგების შედეგად და, მეორე, არასამართლებრივი სოციალური ურთიერთობები, რომლებიც იქმნება დანარჩენი საზოგადოებრივი ურთიერთობების სოციალური (გარდა სამართლებრივისა) ნორმების ზემოქმედება-მოწესრიგების საფუძველზე. როგორც ნაშრომიდან ჩანს ირ. სურგულაძეს ფართო გეგმა ჰქონდა დასახული, კერძოდ, მას გადაწყვეტილი ჰქონდა გამოეკვლია სოციალური ნორმებით (როგორც სამართლებრივი, ასევე არასამართლებრივი სოციალური ნორმებით) რეგულირებული საზოგადოებრივი ურთიერთობები და მათი მექანიზმი. ირ. სურგულაძის ნაშრომი, რომელიც ჩვენი განხილვის საგანია, წიგნის პირველი ნაწილია და შეისწავლის სამართლებრივ ურთიერთობებს, ხოლო მეორე ნაწილი, რომელიც მიძღვნილი უნდა ყოფილიყო არასამართლებრივი შინაარსის სოციალური ურთიერთობებისადმი ავტორის განუხორციელებელ სურვილად დარჩა.

მიუხედავად ამისა, რამდენადაც ირ. სურგულაძის მიერ ჩაფიქრებული გეგმა გვაძლევს ამის საშუალებას, უნდა ვივარაუდოთ, რომ ავტორი საცხებით მისაღებ მეთოდოლოგიურ საფუძველებს ემყარება. საზოგადოებრივ ურთიერთობებზე სოციალური ნორმების (როგორც სამართლებრივი, ასევე არასამართლებრივი სოციალური შინაარსის ნორმების) ზემოქმედების გამოკვლევა იურიდიული მეცნიერების უმნიშვნელოვანეს ამოცანას წარმოადგენს დღესაც. როგორც უკანასკნელი პერიოდის იურიდიულ მეცნიერებაში ხშირად არის აღნიშნული, სამართლებრივი ურთიერთობის მოდელი საბჭოთა მეცნიერებაში საფუძვლიანადაა გამოკვლეული, მაგრამ დაუშვებელია არასამართლებ-



რეგი სოციალური ნორმების საზოგადოებრივ ცხოვრებაზე ზემოქმედებით ჩამოყალიბებული ურთიერთობანი (მაგალითად, მორალური ურთიერთობანი და მისი სტრუქტურა). ექვს არ იწვევს, რომ ირ. სურგულაძის მიერ საკითხის ახლებურად დაყენებას და მის გადაჭრას შეეძლო იმ დროს საბჭოთა იურიდიული მეცნიერებისათვის დიდი სარგებლობის მოტანა, მაგრამ სინანულით უნდა აღინიშნოს, რომ მხოლოდ სამართლებრივი ურთიერთობები იქნა დამუშავებული, ხოლო არასამართლებრივი სოციალური ნორმებით რეგულირებული საზოგადოებრივი ურთიერთობები, დღესაც შეუსწავლელია, მაგრამ ეს გარემოება სრულებითაც არ ამცირებს მისი ნაშრომის ძირითადი აზრის მნიშვნელობას, პირიქით, ირ. სურგულაძის ეს ნაშრომი ქართული იურიდიული მეცნიერების საკმაოდ მაღალ დონეზე მეტყველებს.

დასმული პრობლემის გადასაწყვეტად კრიტიკულ შემოწმებას მოითხოვს ირ. სურგულაძის მიერ შემუშავებული იურიდიული კონსტრუქციები.

ირ. სურგულაძის აზრით, სახელმწიფოში საზოგადოებრივ ურთიერთობებზე სოციალური ნორმების ზემოქმედების შედეგად ყალიბდება სამართლებრივი ურთიერთობები და არასამართლებრივი ხასიათის სოციალური ურთიერთობები. სახელმწიფო აქტიურ ზემოქმედებას ახდენს როგორც ერთი, ასევე მეორე სახის საზოგადოებრივ ურთიერთობებზე. ამდენად, როგორც ირ. სურგულაძე ამტკიცებს, სახელმწიფოს გააჩნია არა მარტო სამართლებრივი, არამედ არასამართლებრივი სოციალური არსი, ბუნება, რომელთა შორის განსაზღვრულ დაპირისპირებასაც აქვს ადგილი. ამ დაპირისპირების აღსანიშნავად ირ. სურგულაძეს შემოაქვს იურიდიულ მეცნიერებაში თავისებურად გაგებული ცნებები ხელისუფლება და სამართალი, ხელისუფლებისა და სამართლის ამგვარი გაგება ირ. სურგულაძეს აღებული აქვს გ. ზიმელიდან, როელიც მიუთითებდა, რომ ბატონობა და მორჩილება საზოგადოების მდგომარეობის დამახასიათებელი მოვლენებია. ზიმელთან ერთად ირ. სურგულაძე იმ თვალსაზრისზე დგას, რომ სამართლის ნორმებით მოწესრიგებულ საზოგადოებრივ ე. ი. სამართლებრივ ურთიერთობებზე, სახელმწიფოს საქმიანობის ზემოქმედებითი თავისებურებების გამოსახატავად უნდა გამოვიყენოთ ტერმინი „სამართალი“, ხოლო სახელმწიფოს ამ საქმიანობისაგან განსხვავებული ზემოქმედება, რომელსაც სახელმწიფო ახდენს არასამართლებრივ, ე. ი. იმ სოციალურ ურთიერთობებზე, რომლებიც რეგულირებულია არა სამართლებრივი, არამედ სამართლებრივი ნორმებისაგან განსხვავებული სოციალური ნორმებით, ირ. სურგულაძის აზრით, უნდა აღინიშნოს ტერმინით „ხელისუფლება“.

ექვს არ იწვევს, რომ სახელმწიფო ზემოქმედებას ახდენს საზოგადოებაში არსებულ ყველა სახის ურთიერთობებზე (როგორც სამართლებრივ, ასევე არასამართლებრივ სოციალურ ურთიერთობებზე), მაგრამ სახელმწიფოს ამ ზემოქმედებითი მხარეების აღნიშვნა ორი ერთმანეთთან მჭიდროდ დაახლოებული სოციალური მოვლენების აღმნიშვნელი ტერმინებით, კერძოდ, „ხელისუფლებითა“ და „სამართლით“ განსაზღვრულ უხერხულობასთან არის დაკავშირებული. საქმე ისაა, რომ ხელისუფლებისა და სამართლის ამგვარი გათიშვა არასწორ წარმოდგენას გვაძლევს სახელმწიფოს იმ მრავალფეროვან საქმიანობაზე, რომელსაც იგი აწარმოებს საზოგადოებაში. ირ. სურგულაძის მტკიცებით გამოდის, რომ სამართლებრივ ურთიერთობებზე მხოლოდ სამართალი ახდენს ზემოქმედებას, ხოლო არასამართლებრივ სოციალურ ურთი-

ერთობებზე — ხელისუფლება. სინამდვილეში როგორც ერთი, ასევე მეორე მტკიცება არაზუსტია. საქმე ისაა, რომ ხელისუფლება ზეგავლენას ახდენს არა მარტო არასამართლებრივ სოციალურ ურთიერთობებზე, არამედ სამართლებრივ ურთიერთობებზეც. გარდა ამისა, როგორც მეცნიერულ ლიტერატურაში საქმაო სიცხადითაა გარკვეული, სამართალი ზემოქმედებას კი არ ახდენს სამართლებრივ ურთიერთობებზე, არამედ ზემოქმედებს იურიდიული წესით მოსაწესრიგებელ საზოგადოებრივ ურთიერთობაზე, რის შედეგადაც ეს საზოგადოებრივი ურთიერთობები გარდაიქმნება სამართლებრივ ურთიერთობებად. ირ. სურგულაძე სწორია, როცა ამტკიცებს, რომ სახელმწიფოს სხვადასხვა გზით განსაზღვრული წესრიგი შეაქვს საზოგადოებრივ ურთიერთობებში და ქმნის ამ ურთიერთობების იმგვარ მოდელს, რომლებიც მის ინტერესებს შეესაბამებიან, მაგრამ მისი საქმიანობის ამ სხვადასხვა მხარის აღნიშვნა ორი ტერმინით „ხელისუფლება“ და „სამართალი“, როგორც დავინახეთ, ქმნის სახელმწიფოს საქმიანობის მხარეების ურთიერთდაპირისპირების შესაძლებლობას, რაც ეწინააღმდეგება სახელმწიფოს ერთიან, შინაგანად შეთანხმებულ არსსა და ლოგიკურ ბუნებას.

ირ. სურგულაძის ნაშრომი „ხელისუფლება და სამართალი“ შეიცავს მრავალ საყურადღებო დასკვნას სამართლის თეორიის სადავო და ნაკლებად დამუშავებულ საკითხებზე. რა თქმა უნდა, ყველა ამ საკითხზე შეჩერება და ირ. სურგულაძის თხზულების მთლიანი შეფასება ჩვენს მიზანს არ წარმოადგენს. მაგრამ იმ პრობლემათა შორის, რომელთაც დღესაც არ დაუკარგავთ მნიშვნელობა, საგანგებოდ უნდა აღინიშნოს სამართლებრივი ურთიერთობის სტრუქტურა და ელემენტები, იურიდიულად რელევანტური ფაქტები და მათი როლი სამართლებრივი ურთიერთობის სისტემაში, სამართლებრივი ურთიერთობისა და სამართლებრივი წესრიგის ურთიერთდამოკიდებულება და ა. შ.

როცა ირ. სურგულაძის ნაშრომზე „ხელისუფლება და სამართალი“ ვლაპარაკობთ, შეუძლებელია არ აღინიშნოს მეტად საყურადღებო დეტალი. ავტორი შესანიშნავად იცნობს ბურჟუაზიულ იურიდიულ მეცნიერებას, გაბედულად და დამაჯერებლად ეკამათება ბურჟუაზიული იურიდიული მეცნიერების ცნობილ წარმომადგენლებს, მაგრამ ამავე დროს სახელმწიფოსა და სამართლის შესწავლისას იყენებს მათ მიერ შემუშავებულ კონსტრუქციებს და, ერთი შეხედვით, განიცდის ბურჟუაზიულ მეცნიერთა გავლენასაც. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ნაშრომში მარქსისტულ-ლენინური მოძღვრების საწინააღმდეგო დებულებანი არ გვხვდება.

ეს კი იმაზე მიგვანიშნებს, რომ ირ. სურგულაძე საქმაოდ იცნობდა სახელმწიფოსა და სამართლის მარქსისტულ-ლენინურ მოძღვრებას. ამ მოსაზრებას ცხადყოფს ის გარემოება, რომ „ხელისუფლებისა და სამართლის“ გამოქვეყნებიდან ოთხი წლის შემდეგ ირ. სურგულაძე აქვეყნებს ნაშრომს „კ. კაუცკის მოძღვრება სახელმწიფოს შესახებ“¹. რომელშიც იცავს სახელმწიფოსა და სამართლის მარქსისტულ-ლენინურ მოძღვრებას და გვაძლევს კ. კაუცკის ოპორტუნისტული შეხედულებების დამაჯერებელ კრიტიკას.

¹ უტრნ. „მნათობი“, 1929, № 10, გვ. 198.

პროფესორი ირ. სურგულაძე ამ ნაშრომებისათვის, რომელთა გვერდის ავლა შეუძლებელია საქართველოში სოციალისტური იურიდიული მეცნიერების ისტორიის შესწავლისას, შეუბრალებლად დაარბიეს ე. წ. მარქსისტმა — სახელმწიფომცოდნეებმა ი. ტალახაძის მეთაურობით 1930 წელს მოწყობილ დისკუსიაზე*. აქ პროფ. ირ. სურგულაძის ნაშრომები მიჩნეული იქნა რეაქციულად და იდეალისტურად და რაც სამწუხაროა, უხემ ძალადობის შედეგად იგი იძულებული გახდა ამგვარი განცხადება გაეკეთებინა წერილობით: „წიგნი „ხელისუფლება და სამართალი“, რომელიც ჩემს მიერ დაწერილია 1923-1924 წწ. არ გამოხატავს ამ შეხედულებებს სახელმწიფოსა და სამართლის შესახებ, რომლებითაც მე ვხელმძღვანელობ ამჟამად ჩემს აკადემიურ მუშაობაში, თავისი ძირითადი მიზანდასახულობით სახელმწიფოსა და სამართლის საკითხებში ეს ნაშრომი მე მიმაჩნია ანტიმარქსისტულად და ამიტომ ახლა მე სრულებითაც არ ვიზიარებ ამ წიგნში გამოთქმულ შეხედულებებს; სტატია კაუტკის შესახებ, რომელიც 1929 წელს დაიბეჭდა „მნათობის“ მეათე ნომერში მე მიმაჩნია მთლიანად და ძირითადად მარქსისტულად და კაუტკის შეხედულებების კრიტიკა აქ წარმოებს სახელმწიფოს შესახებ მარქსისტული მოძღვრების მიხედვით. მაგრამ მე უნდა შევნიშნო, რომ წერილის ორ ადგილზე არასწორადაა ჩამოყალიბებული აზრი, რაც შეიძლება გამხდარიყო ზემოაღნიშნული სტატიის სხვაგვარი შეფასების საფუძველი“.

პროფ. ირ. სურგულაძის ამ განცხადების შეფასებისას შეუძლებელია მხედველობაში არ მივიღოთ ის გარემოება, რომ ე. წ. მარქსისტ-სახელმწიფომცოდნეებს ვინც არ განუცხადა, რომ მათი ნაშრომები ანტიმარქსისტულია, ისინი რამდენიმე წლის შემდეგ გახდნენ 1937 წლის საშინელი რეპრესიების მსხვერპლნი.

ამრიგად, პროფ. ირ. სურგულაძის ნაშრომები წარმოდგენას გვაძლევს საქართველოში სოციალისტური იურიდიული მეცნიერების ჩამოყალიბების რთულ და წინააღმდეგობრივ პროცესზე. ამიტომ მისი და სხვა ქართველი თანამოკალმეების მეცნიერული მემკვიდრეობის შესწავლა აუცილებელია.

* ამ ე. წ. „დისკუსიის“ თაობაზე ჩვენი ჟურნალის მიმდინარე წლის მე-5 და მე-6 ნომერში გამოქვეყნდა იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატის ბიძინა სავანელის ვრცელი ანალიზი: „დისკუსია თუ ავანტიურა, ანუ როგორ მზადდებოდა 30-იანი წლების რეპრესიები ქართველ მეცნიერთა მიმართ“ (რედ.).

ნამიბიის პრობლემა და საერთაშორისო სამართალი

ვივი მთვარელიძე,

ქ. თბილისის პროკურატურის საერთო ზედამხედველობის განყოფილების პროკურორი

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შექმნის პირველი დღიდანვე, ნამიბიის საკითხი გაეროს მთავარ და სხვადასხვა დამხმარე ორგანოთა მუშაობის დღის წესრიგში ყოველთვის მწვავედ დგას.

პრობლემა იმან უფრო გაართულა, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ 1945 წელს არ გააუქმა ერთა ლიგის მიერ 1920 წელს სამხრეთ აფრიკის კავშირისათვის¹ გაცემული მანდატი, რომელიც სამხრეთ დასავლეთ აფრიკის² ტერიტორიას შეეხებოდა. გაეროს წესდებით კი ყოფილი სამანდატო ტერიტორიები ყველგან უნდა გადასულიყო მის მიერვე შექმნილ სამეურვეო სისტემაში. ამის უგულებელყოფას შემდგომში ქვეყნის ფაქტიური ანექსია მოყვა, რამაც სამხრეთ აფრიკის კავშირის მხრიდან საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული ნორმების უხეში დარღვევა გამოიწვია.

ამჟამად ნამიბიის პრობლემა გაეროს ათზე მეტი ორგანოს მუშაობის დღის წესრიგშია შეტანილი.

ჩვენი წერილის მიზანია მკითხველს გავაცნოთ, თუ როგორ მიმდინარეობდა ნამიბიის საკითხის განხილვა გაეროს საერთაშორისო სასამართლოში და როგორია მისგან მიღებული უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილებების და კონსულტაციური დასკვნების იურიდიული შედეგები.

საერთაშორისო სასამართლო გაეროს მთავარი სასამართლო ორგანოა, სადაც ნამიბიის პრობლემის განხილვა ორ ათეულ წელზე მეტია გრძელდება. შეიძლება ითქვას, რომ იგი ყველაზე გრძელვადიანი სასამართლო პროცესია, რაც კი ამ პრესტიჟულ ორგანოს განუხილავს თავისი არსებობის მანძილზე.

გაეროს გენერალური ასამბლეის მოთხოვნის საფუძველზე საერთაშორისო სასამართლოს მიღებული აქვს ოთხი კონსულტაციური დასკვნა (1950, 1955, 1956 და 1971 წლებში) და ორი გადაწყვეტილება (1962 და 1966 წლებში), რომლებიც ნამიბიის სამართლებრივ სტატუსთან არის დაკავშირებული;

1966 წ. 27 ოქტომბერს გაეროს გენერალური ასამბლეის XXI სესიაზე

¹ 1961 წლის მაისიდან სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა.

² გაეროს გენერალური ასამბლეის 1968 წლის 12 ივნისს XXI სესიის № 2372 რეზოლუციით სამხრეთ-დასავლეთ აფრიკას მისი მოსახლეობის ნების თანახმად ეწოდა ნამიბია.

ენციკლოპედია

ისტორიული რეზოლუციის³ მიღების შემდეგ (რომელიც საყოველთაო აღიარებით მიჩნეულია გაეროში ნამიბიის საკითხის ხანგრძლივი განხილვის შემობრუნების პუნქტად) ზემოთხსენებულ პირველ სამ კონსულტაციურ დასკვნას უფრო ისტორიული ხასიათი აქვს და მოკლებულია პრაქტიკულ ინტერესს.

1960 წელს ადის-აბებაში, აფრიკის დამოუკიდებელი ქვეყნების II კონფერენციის მონაწილე ქვეყნების წარმომადგენლებმა შეშფოთება გამოთქვეს იმის გამო, რომ სამხრეთ აფრიკის კავშირი არ ასრულებდა გაეროს სავალდებულო მითითებებს სამხრეთ-დასავლეთი აფრიკის შესახებ და გადაწყვიტეს ამ პრობლემის თაობაზე თვითონ მიეღოთ კონკრეტული ზომები. მიღებული გადაწყვეტილების ძალით სამხრეთ-დასავლეთ აფრიკის საკითხი უნდა გადაცემოდა გაეროს საერთაშორისო სასამართლოს, რადგან მისი სტატუსი (37-ე მუხლი) ითვალისწინებს უფლებამონაცვლეობას ერთა ლიგის სასამართლო ქვემდებარე საქმეთა მიმართ.

1960 წლის 4 ნოემბერს ეთიოპიამ და ლიბერიამ საერთაშორისო სასამართლოში წარადგინეს სარჩელი, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ სამხრეთ აფრიკის კავშირი არღვევს ერთა ლიგის მანდატით და გაეროს წესდებით დაკისრებულ საერთაშორისო-სამართლებრივ ვალდებულებებს, რაც გამოიხატება სამხრეთ-დასავლეთი აფრიკის ტერიტორიის ანექსიით და აპარტეიდის პოლიტიკის გატარებით. მოსარჩელები მოითხოვდნენ სამხრეთ აფრიკის კავშირის ხელისუფლების შეწყვეტას და ანექსირებული ტერიტორიისათვის დამოუკიდებლობის მინიჭებას. სარჩელის საბასუხოდ სამხრეთ აფრიკის კავშირმა საერთაშორისო სასამართლოში გაავზავნა საჩივარი, რომელიც შეიცავდა მტკიცებას: ასეთი სარჩელის განხილვა საერთაშორისო სასამართლოს კომპეტენციაში არ შედისო. ამ აზრს სამხრეთ აფრიკის კავშირი იმით ამართლებდა, რომ გაერო ერთა ლიგის კანონიერი მემკვიდრე არ არისო.

საჩივრის განხილვისას დასავლეთ სახელმწიფოთა იურისტების წარმომადგენელი ფიცმორისი ამტკიცებდა, რომ სასამართლო კომპეტენტური არაა განიხილოს სარჩელი, რადგან ერთობიას და ლიბერიას არ გააჩნიათ საქმის მიმართ უფლებები და ინტერესებიო. საბოლოოდ, 1962 წ. 21 დეკემბერს საერთაშორისო სასამართლომ მაინც ცნო თავისი კომპეტენცია (8 ხმით 7-ის წინააღმდეგ) და განმარტა, რომ იგი განიხილავდა შემოსულ სარჩელს.

ამავე დროს სასამართლოს წინაშე დადგა საკითხი, რომელიც სამართლებრივი კუთხით შემდეგში მდგომარეობდა: კანონიერია თუ არა ერთა ლიგის მიერ ამჟამად უკვე არ არსებული სამხრეთ აფრიკის კავშირისათვის გაცემული მანდატი? ამ არცთუ რთული საკითხის გადასაჭრელად სასამართლოს, არც მეტი და არც ნაკლები, ექვსი წელი დასჭირდა.

1966 წლის 18 ივლისს 7 ხმით 7-ის წინააღმდეგ (გადამწყვეტი აღმოჩნდა სასამართლოს თავმჯდომარის, ავსტრალიელი პერსი სპენსერის მხარდაჭერა) საერთაშორისო სასამართლომ გამოიტანა მოულოდნელი გადაწყვეტილება და

³ ამ რეზოლუციით გენერალურმა ასამბლეამ გამოაცხადა, რომ ნამიბიელ ხალხს აქვს თვითგამორკვევის უფლება, მანამდე, ვიდრე არ მოიპოვებს დამოუკიდებლობას, მის ტერიტორიას ენიჭება საერთაშორისო სტატუსი. სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკამ ვერ შეასრულა თავისი ვალდებულებანი ნამიბიის მმართველობის საკითხში, ამავ რეზოლუციით ასამბლეამ გააუქმა სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის მანდატი და ტერიტორიის მმართველობა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშუალო მოვალეობად გამოაცხადა.

უარყო ეთიოპიისა და ლიბერიის სარჩელი⁴. გადაწყვეტილებას საფუძვლად დაედო აზრი, რომ მხარეებმა თითქოს ვერ დაამტკიცეს თავიანთი დანტერესება საქმის მიმართ. ამის შემდეგ სასამართლო დაუბრუნდა თავისი კომპეტენციის საკითხს, რაც ჯერ კიდევ 1962 წელს გადაწყდა. მაშინ სასამართლო დაეყრდნო იმას, რომ სამხრეთ დასავლეთ აფრიკის მანდატი და შესაბამისდ მისი მე-7 მუხლი⁵ განაგრძობდნენ მოქმედებას, 1966 წლის გადაწყვეტილების მიღების დროს სასამართლომ გადაუხვია ადრე გამოტანილ თავის მოსაზრებას და მიუთითა: 1962 წელს სასამართლოს არ გადაუწყვეტია თავისი კომპეტენტურობის საკითხი, იმხანად მან მხოლოდ მანდატის მე-7 მუხლის ძალა განსაზღვრა.

საერთაშორისო სასამართლოს ამ გადაწყვეტილებამ გაეროს გენერალური ასამბლეის XXI სესიაზე მკვეთრი კრიტიკა გამოიწვია, რადგან იგი თანამედროვე საერთაშორისო სამართლის ნორმების საწინააღმდეგოა.⁶ სასამართლოს წევრთა უმრავლესობა ხელმძღვანელობდა არა საერთაშორისო სამართლის ნორმებით, არამედ იმპერიალისტური მონოპოლიების ანგარებით ინტერესებით, რომლებიც უშუალოდ არიან დანტერესებულნი ნამიბიის ბუნებრივი რესურსებით, მისი ხალხის შეუზღუდავი ექსპლუატაციით.⁷

მსოფლიოს მოწინავე საზოგადოებრიობამ ერთხმად დაგმო ეთიოპიისა და ლიბერიის სარჩელის უარყოფა. აფრიკის სახელმწიფოთა ერთობის მონაწილე ქვეყნების უმრავლესობამ ვანაცხადა, რომ საჭიროა გადაისინჯოს ჰააგის სასამართლოს გადაწყვეტილება და ბოლო მოეღოს სამხრეთ აფრიკის რასისტა ბატონობას სამხრეთ-დასავლეთ აფრიკაში. იმავდროულად, საერთაშორისო რეაქცია კმაყოფილებით შეხვდა სასამართლოს გადაწყვეტილებას. სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრმა, პირწავარდნილმა რასისტმა ფერვუდმა, სარჩელის უარყოფა „დიდ გამარჯვებად“ მიიჩნია.

სამხრეთ დასავლეთი აფრიკის სახალხო ორგანიზაციის (სვაპოს) პრეზიდენტმა სემ ნოუომამ გაეროს მაშინდელი გენერალური მდივნის უ. ტანის სახელზე გაგზავნილ დებეშაში აღნიშნა, რომ ჰააგის სასამართლოს გადაწყვეტილება ღალატია სამხრეთ დასავლეთი აფრიკის ჩაგრული ხალხების მიმართ, რომლებსაც ვერავენ ვერ წაართმევს თვითგამორკვევის უფლებას. მან მოითხოვა ბოლო მოღებოდა კოლონიურ რეჟიმს სამხრეთ დასავლეთ აფრიკაში და დაუყოვნებლივ მოწყობილიყო იქ საყოველთაო არჩევნები, გაეროს მეთვალყურეობის ქვეშ.⁸


⁴ E. С. Пчелинцев, В. Г. Шкунаев, Я. Я. Этингер. Объединенные нации против колониализма и расизма на Юге Африки. Изд-во Наука, М., 1970, стр. 54.

⁵ ასეთია ერთა ლიგის მიერ სამხრეთ აფრიკის კავშირისათვის 1920 წლის 17 დეკემბერს მიცემული მანდატის მე-7 მუხლი „იმ შემთხვევაში თუ წარმოიშვება უთანხმოება მანდატორსა და ერთა ლიგის სხვა წევრებს შორის მანდატის დებულებების ინტერპრეტაციისა ან გამოყენებასთან დაკავშირებით და ეს უთანხმოებანი ვერ გადაიჭრება პოლარაკების საშუალებით, უნდა გადაეცეს განსახილველად საერთაშორისო სასამართლოს“. ამავე მუხლში ხაზგასმითაა მითითებული, რომ მანდატის დებულებათა შესაცვლელად აუცილებელია ერთა ლიგის საბჭოს ნებართვა.

⁶ Я. Аркадиев, И. Яковлев, Международный суд против международного права, Международная жизнь, № 2, 1966 г.

⁷ Блищенко И. П., Прецеденты в международном праве, изд-во Международные отношения, М., 1977, стр. 40.

⁸ „კომუნისტი“, 30 ივლისი, 1966 წ.



ჰაავის საერთაშორისო სასამართლოს გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით სსრ კავშირმა სპეციალური განცხადება გააკეთა. დაგმო რა იგი, მან ხაზი გაუსვა თავის სოლიდარობას სამხრეთ-დასავლეთი აფრიკის ხალხთან და ყველა იმ სახელმწიფოსთან, რომლებიც საერთაშორისო სასამართლოს უკანონო აქტის წინააღმდეგ გამოვიდნენ.⁹

სასამართლოს გადაწყვეტილებამ საერთაშორისო საზოგადოებრიობის ყურადღება ერთხელ კიდევ მიაქცია იმ უკიდურესად არასახარბიელო მდგომარეობას, რაც სასამართლოს შემადგენლობაში შეიმჩნევა. სამწუხაროდ, საერთაშორისო სასამართლოს შემადგენლობა მართლაც ვერ ასახავს ძალთა ახალ თანაფარდობას მსოფლიოსა და გაეროში, რომლის წევრთა დიდი უმრავლესობა რასიზმისა და კოლონიალიზმის წინააღმდეგ გამოდიან. ამის გათვალისწინებით თუ გადავხედავთ სასამართლოს შემადგენლობას, სულ სხვა სურათი წარმოგვიდგება. კოლონიური ქვეყნების წარმომადგენელ მოსამართლეებს დომინირებული მდგომარეობა უკავიათ, რაც ძირეულად ეწინააღმდეგება გაეროს წესდებს და საერთაშორისო სასამართლოს სტატუსს.¹⁰

1969 წლის 20 მარტს გაეროს უშიშროების საბჭომ მიიღო რეზოლუცია და მოუწოდა სამხრეთ აფრიკის მთავრობას „დაუყოვნებლივ გაენთავისუფლებინა ნამიბიის ტერიტორია თავისი ადმინისტრაციისაგან“. 1969 წლის 12 აგვისტოს რეზოლუციით კი საბჭომ მოითხოვა 1969 წლის 4 ოქტომბრამდე განთავისუფლებულიყო ნამიბია.

1970 წლის 30 იანვარს საბჭომ მიიღო ახალი რეზოლუცია, რომელმაც შექმნა სპეცკომიტეტი და დაავალა მას გენერალურ მდივანთან ერთად შეესწავლა ის გზები და მეთოდები სისრულეში რომ მოიყვანდა უშიშროების საბჭოს ადრე მიღებულ რეზოლუციებს.

გაეროს წესდების 96-ე მუხლით საერთაშორისო სასამართლოს კონსულტაციური დასკვნისათვის შეუძლია მიმართონ გენერალურმა ასამბლეამ და უშიშროების საბჭომ. ამ უკანასკნელმა თავისი არსებობის მანძილზე ერთხელ, 1970 წლის ივლისში, ისარგებლა კიდევ ამ წესით და საერთაშორისო სასამართლოს მიერ 1970 წლის 29 ივნისს მიღებული რეზოლუციის საფუძველზე გამოიტანა კონსულტაციური დასკვნა ნამიბიის სამართლებრივი სტატუსის შესახებ.

თავის მხრივ, სამხრეთ აფრიკელმა რასისტებმა ამ საკითხის განხილვის დროს სცადეს ხელი შეეშალათ სასამართლოსათვის და მოითხოვეს სასამართლოს შემადგენლობაში შეეყვანათ პრეტორიის წარმომადგენელი. საერთაშორისო სასამართლომ ასეთი მოთხოვნა კანონიერად არ ცნო.¹¹

1971 წლის 21 ივნისს საერთაშორისო სასამართლომ გამოიტანა კონსულტაციური დასკვნა, რომლის 133-ე პუნქტით სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის შემდგომი ყოფნა ნამიბიაში სასამართლომ არაკანონიერად ჩათვალა. ეს იმას ნიშნავდა, რომ სამხრეთ აფრიკა ვალდებული იყო დაუყოვნებლივ გაეწვია თავისი ადმინისტრაცია ნამიბიიდან და შეეწყვიტა მისი ოკუპაცია. გაეროს

⁹ «Правда», 29 июля, 1966 г.

¹⁰ Развивающиеся страны и международное право, Москва, 1971 г., стр. 146, М. Лазарев, И. Яковлев. — В угоду колонизаторов. «Правда», 23 июля 1966 г.

¹¹ Л. Н. Анисимов — Международно-правовые средства разрешения межгосударственных споров (конфликтов), Изд-во Ленинградского университета, 1975, стр. 94.

წევრი სახელმწიფოები დაავალდებულა ეცნოთ სამხრეთ აფრიკის ყოფნის არაკანონიერება ნამიბიაში და თავი შეეკავებინათ სამხრეთ აფრიკასთან კავშირთა ურთიერთობის დამყარებაზე. ამავე დასკვნაში სასამართლომ განაცხადა, რომ გაეროს შესაბამისი რეზოლუციის ძალით სამხრეთ აფრიკის მანდატის გაუქმება გენერალური ასამბლეის უფლებამოსილებათა ფარგლებში განხორციელდა.¹²

სასამართლო განხილვის პროცესში სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა ყველა საშუალებით ცდილობდა არ მიეღოთ ობიექტური გადაწყვეტილება. მან წინადადება წამოაყენა, რომ ნამიბიის ტერიტორიაზე ჩატარებულიყო პლენარული სასამართლოსა და სამხრეთ აფრიკის მთავრობის მეთვალყურეობით, მაგრამ სასამართლომ უარყო ყოველივე ეს და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ მანდატი კანონიერად იყო შეწყვეტილი და აქედან გამომდინარე, სამხრეთ აფრიკის ყოფნა ნამიბიაში უკანონო აქტად ითვლებოდა.¹³

იმ შემთხვევაში, თუ სასამართლო დაეთანხმებოდა პლენარული ჩატარებას, ჩვენის აზრით, სასამართლო გადაამეტებდა თავის უფლებამოსილებას. ამასთანავე, გაეროს გენერალური ასამბლეის რეზოლუციით სამხრეთ აფრიკის არავითარი იურიდიული უფლება აღარ ჰქონდა მინიჭებული ამ ტერიტორიის მიმართ. და სასამართლო მივიდა მნიშვნელოვან დასკვნამდე: ნამიბიის საკითხთან დაკავშირებით მიღებული ყველა რეზოლუცია ემყარება გაეროს წესდების პრინციპებსა და მიზნებს, ამიტომ იგი სავალდებულოა გაეროს წევრი ყველა სახელმწიფოსათვის.¹⁴

სასამართლოს გადაწყვეტილებამ დიდი კმაყოფილება გამოიწვია ყველა პროგრესულად მოაზროვნე ადამიანში. ბურუნდიის წარმომადგენელმა უშიშროების საბჭოს პლენარულ სხდომაზე ასე განაცხადა: „სასამართლოს გადაწყვეტილება თავისთავად წარმოადგენს არა მარტო ნამიბიისა და აფრიკის დიდ გამარჯვებას, პირველ რიგში ესაა გაეროს გამარჯვება. 1971 წ. 21 ივნისის სასამართლოს გადაწყვეტილებამ აღადგინა სასამართლოს შეღახული პრესტიჟი, რომელსაც საერთაშორისო საზოგადოებრიობა უნდობლობას უტყბავდა. გადაწყვეტილება იწვევს გაეროს კმაყოფილებას, რომელმაც კიდევ უფრო განამტკიცა რწმენა საერთაშორისო სასამართლოს მიმართ“.¹⁵

საერთაშორისო სასამართლოს ბოლო კონსტიტუციური დასკვნის მიცემიდან თითქმის 20 წელი გავიდა. ამ ხნის განმავლობაში გაერომ მთელი რიგი რეზოლუციები მიიღო, რომლებიც ნამიბიისათვის დამოუკიდებლობის მინიჭებას მთავადაცხადებდა.

სამწუხაროა, რომ სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა დღემდე აბუჩად იგდება მსოფლიო საზოგადოებრიობის აზრს და არ ასრულებს გაეროს გადაწყვეტილებებს, ყველა საშუალებას ხმარობს ნამიბიის ოკუპაციის გასახანგრძლივებლად. ცხადია, სამხრეთი აფრიკა ვერ ვაბედავდა ნამიბიისათვის დამოუკიდებლობაზე უარის თქმას, რომ მას მხარს არ უჭერდნენ იმპერიალისტური სახელმწიფოები, პირველ რიგში კი ამერიკის შეერთებული შტატები. 1986

¹² Анатолий Громыко — Конфликт на Юге Африки, Москва, 1979, стр. 246.

¹³ Юридический ежегодник ООН, 1971. ООН, Нью-Йорк, 1973, Решения и консультативные заключения международных трибуналов.

¹⁴ И. П. Блищенко — Прецеденты в международном праве. Изд-во международных отношений, М., 1977 г., 41—43 стр.

¹⁵ Совет безопасности, 26 год пленарные заседания, Нью-Йорк, 1971 г.

წლის დასაწყისში სამხრეთ აფრიკის რასისტულმა რეჟიმმა გამოაცხადა, რომ ნამიბიაში შეიქმნა „დროებითი მთავრობა“, „შეზღუდული უფლებამოსილებით“ და მარიონეტულ მოღვაწეთა ჯგუფისათვის მოაწყო ხელისუფლების გადაცემის ინსცენირება. ამ აქტით რასისტებმა კვლავ აბუჩად აიგდეს გაერო, რომელიც პასუხისმგებელია ნამიბიისათვის, არაფრად ჩააგდეს მსოფლიო საზოგადოებრივი აზრი.¹⁶

ძლიერდება მოთხოვნა, რათა მიიღონ გადამჭრელი ზომები, მათ შორის სანქციები სამხრეთ აფრიკის მიმართ. გაეროს წესდების VII თავის შესაბამისად, აიძულონ იგი შეასრულოს უშიშროების საბჭოს რეზოლუციები ნამიბიისათვის დამოუკიდებლობის მინიჭების შესახებ.

სსრ კავშირი გადაჭრით გამოხატავს სამხრეთ აფრიკის რასისტული რეჟიმის მოქმედებას ნამიბიის მიმართ და მიაჩნია, რომ ამ რეჟიმს და იმათ, ვინც კვლავ ზღვს უწყობს მის დანაშაულებრივ პოლიტიკას, ეკისრებათ მთელი პასუხისმგებლობა შედეგებისათვის, რომლებიც შეიძლება მოყვეს ნამიბიის პრობლემის სამართლიანი მოწესრიგების შემდგომ გაკვიანურებას.¹⁷

გამოდინდა რა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მე-40 სესიის საიუბილეო სხდომაზე, საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ე. ა. შევარდნაძემ განაცხადა: „სანამ ნამიბიის ხალხი დამოუკიდებლობას არ მოიპოვებს, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მწარე სინდისის ქენჯნად ექნება შეუსრულებელი მოვალეობის გრძნობა“.¹⁸

ნამიბიის ხალხის გმირული ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის გადამწყვეტ ფაზაში შედის. ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ავანგარდმა, ნამიბიის სახალხო ორგანიზაციამ (სვაპომ) საერთაშორისო ასპარეზზე ფართო აღიარება მოიპოვა, როგორც თავისი ხალხის ერთადერთმა და კანონიერმა წარმომადგენელმა.

1988 წლის 22 დეკემბერს ნიუ-იორკში ხელი მოაწერეს შეთანხმებას სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკას, ანგოლასა და კუბას შორის, რომლითაც უნდა განხორციელდეს გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუცია ნამიბიის დეკოლონიზაციის შესახებ. შემუშავებული გეგმის თანახმად 1989 წლის 1 აპრილს დაიწყო ნამიბიის დეკოლონიზაციის პროცესი, გარდამავალ პერიოდში ნამიბიელი ხალხის დახმარების მიზნით მის დედაქალაქ ვინდჰუკში ჩავიდა გაეროს სამხედრო პერსონალი, ხოლო პოლიტემიგრანტებს ნება დაერთოთ დაბრუნდნენ სამშობლოში.

1989 წლის 1 ნოემბრისათვის დანიშნულია საკანონმდებლო ასამბლეის არჩევნები, რომელმაც უნდა შეიმუშაოს ქვეყნის კონსტიტუცია და გამოაცხადოს ნამიბიის დამოუკიდებლობა, ამის შემდეგ ქვეყანას დატოვებს სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის უკანასკნელი სამხედრო წარმომადგენელი და პრაქტიკულად შეისხავს ფრთებს ნამიბიის ხალხის დიდი ხნის ოცნება.

¹⁶ კომუნისტ. 27 ივნისი, 1985 წ.

¹⁷ იქვე.

¹⁸ «Правда», 25 октября, 1985 г.

სოციალური უზრუნველყოფა — უკრძლევის ცენტრში

როგორც რესპუბლიკის მოსახლეობისათვის ცნობილია, 1989 წლის 1 ოქტომბრიდან ნაწილობრივ შევიდა ძალაში სსრ კავშირის 1989 წლის 1 აპრილს კანონი, რომლის შესაბამისადაც ერთგვარად გაუქმდა მთელი პენსიის მქონე პირთა სოციალური უზრუნველყოფა, გაფართოვდა შეღავათები სოციალურ მომსახურებაში და სხვა.

რეაქცია ხშირად იღვას შეკითხვებსა და წერილებს, რომელთა ავტორებსაც სურთ სრულყოფილად იცოდნენ რა სიძლიერის ითვალისწინებს ახალი კანონი. ამასთან დაკავშირებით უზრუნველ „საპროტესტო სამართლის“ მცენიერ-რეაქციური ანტი-არსენალში უზრუნველ რესპუბლიკის სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს საოკრუციაციო-მეთოდური მუშაობისა და პროპაგანდის განყოფილების უფროსს ირინე ლონტას და სთხოვა ეხსენებინა შეკითხვები.

შეკითხვებზე ამ საუბრის ჩანაწერს.

— ქალბატონო ირინე, ახალი კანონის ძალაში შესვლის შემდეგ გაიზარდა თუ არა სახელმწიფო და საკოლმეურნეო პენსიების ოდენობა, კონკრეტულად პენსიონერთა რომელ კატეგორიას შეეხება პენსიის მომატება და რა დროიდან?

— ომისა და შრომის ვეტერანთა დაღუპულ სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახების საპენსიო უზრუნველყოფის გაუმჯობესების, მუშების, მოსამსახურეებისა და კოლმეურნე-გლეხების საპენსიო უზრუნველყოფის ერთიანი პირობის შემოღების, აგრეთვე ამ კატეგორიის მოქალაქეთა სოციალური მომსახურების გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულების მიზნით, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს 1989 წლის 1 აგვისტოს დადგენილების შესაბამისად, მიმდინარე წლის 1 ოქტომბრიდან პენსიები მოემატათ მოხუცებულობით და ინვალიდობით პენსიონერებს, რომელთაც აქვთ სათანადო შრომის სტაჟი, მაგრამ იმის გამო, რომ გამომუშავება მცირე ჰქონდათ, პენსიას იღებენ მინიმალური ან თვეში 70 მანეთზე ნაკლები ოდენობით. აღსანიშნავია ისიც, რომ ამ წესით მოხუცებულობის პენსია გაუდიდა მცირე პენსიის მქონე ყველა პენსიონერს, ხოლო ინვალიდობით მხოლოდ მათ, ვისაც საექიმო შრომითი საექსპერტო კომისიის მიერ განსაზღვრული აქვს ინვალიდობის I ან II ჯგუფი. მესამე ჯგუფის ინვალიდებისათვის პენსიის გადიდება ამ ეტაპზე გავალისწინებული არ არის. მოხუცებულობით პენსიონერებს და მეორე ჯგუფის ინვალიდებს, როგორც სახელმწიფო, ისე საკოლმეურნეო პენსიის მინიმალური ოდენობა გაუზრდათ 70 მანეთი, ხოლო I ჯგუფის ინვალიდ პენსიონერებს — 85 მანეთი.

— მოსახლეობის დიდ ნაწილს აინტერესებს ისიც, შეეხება თუ არა ახალი კანონი მარჩენალის დაკარგვის გამო დანიშნულ პენსიებს და თუ შეეხება, რა შემთხვევაში?

— სამწუხაროდ, 1989 წლის 1 ოქტომბრიდან გადიდება მარჩენა-ლის დაკარგვის გამო დანიშნულ ყველა სახის პენსიას არ შეეხო. ჩვენთვის კარგად არის ცნობილი, თუ რაოდენ მცირეა აღნიშნული პენსიის მინიმალური ოდენობა (განსაკუთრებით, როდესაც იგი დანიშნულია ოჯახის ერთი შრომისუნარო წევრისათვის) და ამიტომ მიჭირს ამ შეკითხვაზე პასუხის გაცემა. მიჭირს არა როგორც სპეციალისტს, არამედ როგორც ადამიანს, მაგრამ ვალდებული ვარ სწორი ინფორმაცია მივცე ყურნალის მკითხველებს და განვუმარტო, რომ 1989 წლის 1 ოქტომბრიდან პენსიის მინიმალური ოდენობა 60 მანეთამდე გაუდიდდათ მხოლოდ სსრ კავშირის დაცვის ან სამხედრო სამსახურის სხვა მოვალეობათა შესრულების დროს მიღებული კრილობის, კონტუზიის ან დასახიჩრების შედეგად ან ფრონტზე ყოფნასთან დაკავშირებულ სხვა დაავადებათა შედეგად დაღუპულ სამხედრო მოსამსახურეთა მშობლებსა და მეუღლეებს. მოსალოდნელ გაუგებრობათა თავიდან აცილების მიზნით აქვე აღვნიშნავ, რომ ამავე მიზეზით დაღუპულ მეომართა შრომისუნარო შვილებისათვის პენსიის გადიდება ახალი კანონით გათვალისწინებული არ არის.

— ჩვენი რედაქციის მისამართით არაერთი შეკითხვა მოდის იმის თაობაზე, თუ როდის მოხდება სახელმწიფო პენსიის დასანიშნად საჭირო შრომის სტაჟში კოლმეურნეობაში ნამუშევარი წლების ჩათვლა, რას განუმარტავდით ასეთი შეკითხვის ავტორებს?

— 1989 წლის 1 ოქტომბრიდან კოლმეურნეობაში ნამუშევარი წლები ითვლება სახელმწიფო პენსიის დასანიშნად საჭირო შრომის სტაჟში და კოლმეურნეობის წევრებსა და მათ ოჯახებს ენიშნებათ და ეძლევათ პენსიები მუშების, მოსამსახურეებისა და მათი ოჯახებისათვის სახელმწიფო პენსიების შესახებ სსრ კავშირის კანონით დადგენილი წესებითა და პირობებით. მაგრამ ვინაიდან ამ შემთხვევაში შრომის სტაჟისა და პენსიის გამოანგარიშებაში ახალი კანონი ითვალისწინებს ცალკეულ თავისებურებებს, დაინტერესებულ პირებს ვურჩევთ აღნიშნულ საკითხზე უფრო დეტალური განმარტებისა და საბოლოო გადაწყვეტილებისათვის შრომის სტაჟის დამადასტურებელი საბუთებით მიმართონ სოციალური უზრუნველყოფის განყოფილებას საცნობრებელი ადგილის მიხედვით.

— ითვალისწინებს თუ არა კანონი რაიმე ცვლილებას სამამულო ომის ინვალიდებისათვის დანიშნულ პენსიის ოდენობაში?

— სამამულო ომის I, II და III ჯგუფის ინვალიდობით დანიშნულ პენსიებს ამჟერად მომატება არ შეეხებათ. 1989 წლის 1 ოქტომბრიდან პენსია გაუდიდდათ მხოლოდ ომის იმ ინვალიდებს, რომელთაც აქვთ სათანადო შრომის სტაჟი და იღებენ მოხუცებულობის პენსიას. ამ შემთხვევაში მათ პენსია თვეში 15 მანეთით უდიდდებათ მოხუცებულობის გამო პენსიების დადგენილი მაქსიმალური ოდენობის შეუზღუდავად, რაც არ იყო გათვალისწინებული ადრე მოქმედი კანონმდებლობით. თუმცა, მოხუცებულობის პენსია 15 მანეთით მათ ადრეც უდიდდებოდათ, მაგრამ მხოლოდ მოხუცებულობის პენსიის მაქსიმუმის (120 მანეთის) ფარგლებში.

— არის თუ არა ახალი კანონით გათვალისწინებული მუშაობის პერიოდში მოხუცებულობის პენსიის სრულად გაცემა მუშა-მოსამსახურეებისათვის. გთხოვთ აქვე ისიც განუმარტოთ ჩვენს მკითხველებს, რაიმე ცვლილება სომ არ არის მოსალოდნელი ინვალიდობის პენსიის გაცემის ამჟამად მოქმედ წესში?

— მოსამსახურეთა კატეგორიისათვის მოხუცებულობის პენსიის გადამაღწევი ახალი კანონითაც უცვლელი რჩება (პენსია და ხელფასი ერთად აღებული არ უნდა აღემატებოდეს 150 მანეთს), მაგრამ მუშებად და ოსტატებად მომუშავე პენსიონერებს მოხუცებულობის გამო პენსიები, აგრეთვე მომუშავე ინვალიდებს (სამუშაო ადგილის მიუხედავად) ინვალიდობით დანიშნული პენსიები მიეცემათ სრულად, ხელფასის (შემოსავლის) გაუთვალისწინებლად. პენსიის გაცემის აღნიშნული წესი გავრცელდება პერსონალურ პენსიონერებზე, მეცნიერ მუშაკებზე, აგრეთვე სასამართლოსა და პროკურატურის მუშაკებისათვის ინვალიდობით დანიშნულ პენსიებზე. აღსანიშნავია, რომ აღნიშნული სასრკეთო ცვლილება კანონში შევა 1990 წლის 1 იანვრიდან.

— როგორც ჩვენთვის ცნობილია, სოციალური უზრუნველყოფის ორგანოებიდან ყოველთვიურ სახელმწიფო დახმარებას იღებს ერთი მეტად მძიმე კონტიგენტი: ესენი არიან ინვალიდი ბავშვები და ბავშვობიდან ინვალიდები. ვფიქრობთ, მათ სასარგებლოდაც იქნება ცვლილება კანონში, ხომ არაფერს გვეტყვიან ადნიშნულთან დაკავშირებით?

— ჩემთვის ძალზე სასიამოვნოა, რომ ამ შემთხვევაში ახალი კანონი ნამდვილად გაახარებს ბავშვობიდან ინვალიდებს, მათ მშობლებსა და ახლობლებს.

1990 წლის 1 იანვრიდან 16 წლამდე ინვალიდ ბავშვებს, რომელთაც დანიშნული აქვთ დახმარება თვეში 30 მანეთის ოდენობით, გაეზრდებათ 40 მანეთით და ყოველთვიურად მიეცემათ 70 მანეთი. ასევე 70 მანეთამდე გაიზრდება 16 წლის ასაკს გადაცილებული ბავშვობიდან I ჯგუფის ინვალიდებისათვის დანიშნული ყოველთვიური სახელმწიფო დახმარების ოდენობა, ხოლო ბავშვობიდან II ჯგუფის ინვალიდებს ყოველთვიური დახმარება გაუზრდებათ 50 მანეთი.

— ხომ არაფერი ცვლილებაა კანონში სამამულო ომის ინვალიდთა, ფრონტზე დაღუპულ მემართა ოჯახებისა და დიდი სამამულო ომის პერიოდში ზურგში თავდადებული შრომისათვის დაჭილდოებული პირებისათვის შეღავათების გაფართოების მიზნით?

— გარკვეული ცვლილებები არის, სახელდობრ: 1989 წლის 1 ოქტომბრიდან დიდი სამამულო ომის მონაწილეებს ექიმის რეცეპტით წამლები ეძლევათ უფასოდ. სამამულო ომის მონაწილე სამხედრო მოსამსახურეთათვის დადგენილი შეღავათები გრცელდება აგრეთვე სსრ კავშირის დაცვის ან სამხედრო სამსახურის სხვა მოვალეობათა შესრულების დროს მიღებული ჭრილობის, კონტუზიის და დასახიჩრების ან ფრონტზე ყოფნასთან დაკავშირებული დაავადების შედეგად დაღუპულ სამხედრო მოსამსახურეთა მშობლებსა და მეუღლეებზეც.

დიდი სამამულო ომის წლებში ზურგში თავდადებული შრომისა და უმწიკლო სამხედრო სამსახურისათვის სსრ კავშირის ორდენებით და მედლებით დაჭილდოებულ პირებს მიეცემათ უფასოდ მგზავრობის უფლება ყველა სახეობის საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტით (გარდა ტაქსისა) და საერთო საზღვრობის საავტომობილო ტრანსპორტით (ტაქსის გარდა) სოფლად საცხოვრებელი ადგილის მიხედვით ადმინისტრაციული რაიონის ფარგლებში, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების მიერ განსაზღვრული წესით.

— მოხალდნელია თუ არა სხვა რამ ცვლილება კანონში უახლოეს მომავალში და კონკრეტულად როდის?

— 1990 წლის 1 იანვრიდან მოქმედ საპენსიო კანონმდებლობაში სხვა რამ

ცვლილება მოსალოდნელი არ არის.

როგორც ცნობილია, უკვე გამოქვეყნდა ახალი საპენსიო კანონის პროექტი და მიმდინარეობს მისი საყოველთაო განხილვა. ნავარაუდევია ახალი კანონი ძალაში შევიდეს 1991 წლის 1 იანვრიდან და მასში გათვალისწინებული იყოს მთელი რიგი სასიკეთო ცვლილებები მშრომელთა სოციალურ უზრუნველყოფაში. ასეთებია პენსიების მაქსიმალური ოდენობის გაზრდა; სტაჟის ხანგრძლივობის გათვალისწინებით პენსიის ძირითად ოდენობაზე გარკვეული დანამატის დარიცხვა; სათანადო სტაჟის არამქონე შრომისუუნარობისათვის სოციალური პენსიის დაწესება და მრავალი სხვა. მაგრამ მოდით წინ ნუ გავუსწრებთ მოვლენებს და უფრო დაწვრილებით ამ საკითხებზე ახალი საპენსიო კანონის ძალაში შესვლის შემდეგ მოვუთხროთ თქვენი ჟურნალის მკითხველებს. ამავე დროს, გპირდებით, რომ ახალი საპენსიო კანონის პროექტის მიღებისთანავე გაცნობებთ მოსალოდნელ სიახლეებს პრესის, ტელევიზიისა და რადიოს მეშვეობით.

ჩვენი პროფესიის ვეტირანები

ცხოვრების დიდ გზაზე



ეს იყო 1935 წელს, როცა ახალგაზრდა გამოძიებელი მიხეილ ცქიფურიშვილი მახარაპის რაიონში პირველ ნაბიჯებს დგამდა თავისი ცხოვრების დიდ გზაზე... მდინარე სუფსამ ადამიანის გვამი გამოიჩია. ხანდაშულობის გამო მისი ამოცნობა ვერაინ შეძლო. ახალბედა იურისტი ამ საქმეს მთელი გულისყურით მოეკიდა და ოპერატიულ მოკვლევას თვითონ ჩაუდგა სათავეში. სარწმუნო წყაროებით დაადგინა, რომ მოქალაქე შ. რ. უგზო-უკვალოდ იყო დაკარგული. მიხეილმა მოინახულა მისი ოჯახი, ახლობლები, მეზობლები და ნათესავები. დაკითხულთა შორის იყო დაღუპულის ძმაც ვ. რ., რომელიც კოლმეურნეობის თავმჯდომარედ მუშაობდა.

გამომძიებლის კითხვაზე თუ სად იყოფებოდა სიცოცხლის უკანასკნელ პერიოდში დაღუპული, ძმამ მიუგო, რომ ხანგრძლივი დროით გაგზავნა აბასთუმანში სამკურნალოდ.

მიხეილი უმალ გაემგზავრა აბასთუმანში, შეამოწმა ყველა სანატორიუმი და კერძო სექტორიც, აღმოჩნდა, რომ შ. რ. იქ არასოდეს არ ყოფილა. გამოძიებელთან ყოველი შეხვედრისას, ვ. რ. ნერვიულობდა და ბოლოს და ბო-

კვირის

ლოს აღიარა მძიმე დანაშაული, განაცხადა, რომ ტუბერკულოზით მძიმედ დაავადებული ძმის მოვლა მოებჯრა და მდინარეში გადაავდო. ასე ახლა ფარდა საშინელ დანაშაულს ახალგაზრდა გამოძიებულმა.

მიხეილ ცქიფურიშვილი მალე რაიონის პროკურორად დანიშნეს. პროკურორის მოვალეობათა წრე ფართო და მეტად პასუხსაგებია, მაგრამ საპროკურორო საქმიანობის არცერთი სხვა მხარე არ აყენებს პროკურორის წინაშე ისეთ მრავალმხრივ მოთხოვნებს, როგორც სასამართლო პროცესში სიტყვის წარმოთქმა.

როცა ქურდობის, სახელმწიფო ქონების დაცვების, ბანდიტობის თუ სისხლის სამართლის სხვა საქმეებზე გამოდიოდა, მიხეილი როგორც სახელმწიფო ბრალდებელი, ყოველთვის ითვალისწინებდა იმას, რომ თავისი საბრალდებო სიტყვა აეგო ფაქტობრივ მასალებზე, რომლებიც ყოველი გარემოების ყოველმხრივი და ობიექტური გამოკვლევის გზით იქნებოდა დადგენილი.

მშრომელთა წერილებზე და საჩივრებზე მუშაობა პროკურატურის ორგანოების უმნიშვნელოვანესი უბანია. მოქალაქეთა ინტერესების დაცვა ხომ თითოეული ჩვენთაგანის და პირველ რიგში, ადმინისტრაციული დარგის ყველა მუშაის განსაკუთრებულ ზრუნვას მოითხოვს. ეს ღრმად ჰქონდა შეგნებული მუშაობის პირველსავე წლებიდან მიხეილს და ამიტომ იყო, რომ რესპუბლიკის პროკურატურამ განაწოვდა მისი მუშაობა.

მ. ცქიფურიშვილი სხვადასხვა დროს მუშაობდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პროკურატურაში, ქ. ქუთაისის პროკურორად, ქუთაისის საოლქო პროკურატურაში საგამოძიებო სამმართველოს უფროსად, ქალაქის პროკურორის მოადგილედ და ყველგან პირნათლად იღვა მართლმსაჯულების სადარაჯოზე.

ბატონი მიხეილი ყოველთვის ცხოვრების შუაგულში ტრიალებდა. მისი პიროვნული ღირსებები და აქტიურობა ახლაც სამავალითაა ახალგაზრდობისათვის. წლების მანძილზე იგი იყო საზოგადოება „ცოდნის“ ლექტორი. მისი შინაარსიანი, შთამბეჭდავი, დასაბუთებული გამოსვლები ყოველთვის ხიზლავდა აუდიტორიას. იგი ყოველთვის ითვალისწინებდა, რომ პროკურორის სიტყვას უდიდესი ზემოქმედება აქვს არამარტო დამნაშავეებზე, არამედ მშრომელთა ფართო მასებზეც. კარგად იცოდა ისიც, რომ სასჯელს ყოველთვის როდი

შეაქვს ცვლილებები პიროვნების ზნეობრივ შეხედულებებში და მაშასადამე ჩნდება აუცილებლობა, რომ ვეძიოთ და სრულყოფითი შემოქმედების ისეთი ფორმები, რომლებიც დაგვეხმარება ზნეობრივი საწყისების ჩამოყალიბების პროცესის დაჩქარებაში.

მ. ცქიფურიშვილის პირად არქივში უამრავი სიგელი, მადლობა და ჭილდოებია დაცული, მაგრამ ყველაზე საყურადღებო მაინც საზოგადოება „ცოდნის“ ქუთაისის ორგანიზაციის სიგელია, რომელიც მან მიიღო ლექციურ მუშაობაში აქტიური მონაწილეობისათვის საბჭოთა პროკურატურის 50 წლისთავთან დაკავშირებით. სიგელს წამდვარებული აქვს ილია ქავჭავაძის უკვდავი სტრიქონები: „ცოდნა, თითონ, თავისთავადაც სიმდიდრეა. მეტე იმისთანა მადლიანი სიმდიდრეა, რომ რაც უნდა ბევრს დაურიგო, ბევრს გაუწილადო შენ არა დაგაკლდება, რა, თუ არ მოგემატება“.

სწორედ ცოდნის გადრმავებისაკენ დაუოკებელი სწრაფვით, უშრეტე ენერგიით და წრფელი თავდადებით განვლო ცხოვრების ხანგრძლივი გზა მებრძოლმა კომუნისტმა და კეთილშობილებით აღსავსე პიროვნებამ. სამართლიანმა და პრინციპულმა მუშაკმა, დამნაშავეობასთან შეურიგებელმა ადამიანმა ხალხის დიდი სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა. სწორედ ამიტომ შეფასდა მისი ღვაწლი ესოდენ გამორჩეულად არა მარტო ჩვენი რესპუბლიკის, არამედ საბჭოთა კავშირის პროკურატურის ორგანოებში. მას მკერდს უმშვენებს ლენინის, შრომის წითელი დროშის, საპატიონიშნის ორდენები და მრავალი მედალი, ატარებს რესპუბლიკის დამსახურებული იურისტის საპატიო წოდებას და მიღებული აქვს საქართველოს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სიგელი.

მან არაერთხელ მიიღო საბჭოთა კავშირის გენერალური პროკურორის, აგრეთვე რესპუბლიკის პროკურორის მადლობა და ფასიანი საჩუქრები.

ვუსურვოთ ბატონ მიხეილს კვლავ ხანგრძლივი და ჭანსალი სიცოცხლე, დე, მის მავალითაზე აღზრდილიყვნენ თაობები, რომელთაც იციან თუ როგორი შემართება, პრინციპულობა, გაბედულება და გულისხმიერება მოეთხოვება მართლმსაჯულების მრავალრიცხოვანი არმიის ყველა რანგის წარმომადგენელს.

გივი მეფისაშვილი



იურისტები ბირთვული იარაღის წინააღმდეგ

პარაგრაფის ნიშნით გაპოზილი ბირთვული რაკეტა — ასეთია ახალი ანტიბირთვული საერთაშორისო ორგანიზაციის ემბლემა. პააგაში გაიმართა ბირთვული იარაღის წინააღმდეგ იურისტთა საერთაშორისო ასოციაციის პირველი კონგრესი. 30-ზე მეტი ქვეყნის იურისტთა წარმომადგენლებმა თავიანთი ასოციაციის ფორმულად აირჩიეს „ბირთვული შეიარაღება და საერთაშორისო სამართალი, არსებობის უფლება, მშვიდობა და განვითარება“.

ასოციაციის შექმნის ინიციატორი იყო საორგანიზაციო კომიტეტი, რომლის შემადგენლობაში თანათავჯდომარეების სახით შედიოდნენ „იურისტები ბირთვული იარაღის წინააღმდეგ“ შვედური ორგანიზაციის პრეზიდენტი ს. გულსტაფსონი, სსრ კავშირის გენერალური პროკურორი, საბჭოთა იურისტების ასოციაციის პრეზიდენტი ა. ი. სუხარევი, საერთაშორისო სამართლის ცნობილი ამერიკელი სპეციალისტი, ბირთვული პოლიტიკის შესახებ იურისტთა კომიტეტის მეთაური რ. ვეისი.

— შეიქმნა პარადოქსულ სიტუაცია, — თქვა ინტერვიუში ს. გულსტაფსონმა, — საერთაშორისო სამართლის თანახმად კანონგარეშედ გამოცხადდა ფეთქებადი ტყვიები „დუმდუმი“ და მომწამვლელი გაზების გამოყენება. ხოლო ადამიანის გონების

უსაშინელესი ნაყოფი — ბირთვული იარაღი — დღემდე რჩება საერთაშორისო იურისდიქციის გარეშე. ბირთვული იარაღის გამოყენების აკრძალვის შესახებ საერთაშორისო კონვენციის არარსებობის გამო გრძელდება მისი განუსაზღვრელად გაუმჯობესებისა და რაოდენობრივად გაზრდის დაუსჯელობის პროცესი. ეს-ესაა შექმნილმა ჩვენმა ორგანიზაციამ უნდა იხელმძღვანელოს შემდეგი პრინციპებით:

— ბირთვული იარაღი მიგვიყვანს დედამიწაზე მთელი სიცოცხლის განადგურებამდე, რაც არღვევს ადამიანის უფლებას სიცოცხლეზე;

— ბირთვული იარაღის გამოყენება ან მუქარისათვის გამოყენება არღვევს საერთაშორისო სამართალს და იგი დანაშაულია კაცობრიობისა და სამყაროს წინაშე;

— თვით ბირთვული ომი არის სამართლის ნორმების უარყოფა.

აი, როგორ შეაფასა ეს ფორუმი ა. ი. სუხარევმა:

— ეს იყო პირველი საერთაშორისო კონგრესი იურისტებისა, რომლებმაც გადაწყვიტეს გააერთიანონ თავიანთი პროფესიული ძალისხმევა, რათა ბირთვული იარაღი საბოლოოდ კანონგარეშედ გამოაცხადონ. ახალ ასოციაციას ბევრის გაკეთება მოუწევს დამატებითი სამართლებრივი მექანიზმების

შემუშავებისათვის, რომლებიც ხელს უწყობენ ამ მიზნის განხორციელებას. ეს არის ორგანიზაციის საქმიანობის ძირითადი სამომავლო მიმართულება.

„იზმისტია“

რედაქციისაგან: პაბაზვი ჩატარებულ იურისტთა სამართაზოგისო ასოციაციის კონგრესს ჩვენი რესპუბლიკიდან ესწრებოდა საპარტ-ველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს სამართლის პროკაბანდის, მოსახლეობის სამართლებრივი აღზრდისა და სამართლებრივი სწავლების განყოფილების უფროსი **გიორგი მიქანაძე**, რომელიც ჩვენი შტაბის უახლოეს ნომერში გვითხვალს დაწვრილებით გააცნობს იურისტთა ამ დიდმნიშვნელოვან ფორუმზე მიღებულ შედეგებს.

საგამოძიებო აპარატის გაქლიერებისათვის

მალე 5 ათასი პროფესიონალით შეივსება საგამოძიებო ორგანოები — ამ ცნობით გაიხსნა 17 ოქტომბერს მორიგი ბრიფინგი სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროში. გამოძიებლების მუშაობაში გადატვირთულობა აშკარად შესამჩნევია. მიმდინარე წლის 8 თვეში 483 ათასი სისხლის სამართლის საქმე (საქმეთა საერთო რიცხვის 35 პროცენტი წარმოებაშია) შეჩერებულია დამნაშავეთა ვინაობის დაუდგენლობის გამო. 40 ათასი საქმე დამთავრდა გამოძიების ვადის გავრძელებით, 17 ათასი საქმე დაბრუნდა დამატებითი გამოძიებისათვის...

სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტრო ახორციელებს ღონისძიებებს, რათა უზრუნველყოს საგამოძიებო

ორგანოების ეფექტიანი მუშაობა უკანასკნელი თვეების განმავლობაში განსაკუთრებით „გახმაურებულ სისხლის სამართლის საქმეთა შორის ბრიფინგზე დასახელებს აზერბაიჯანის ქარხნებში 1,7 მილიონი მანეთის სპირტის დატაცება და საქართველოში კაჭრეთის სამკერვალო ფაბრიკაში 700 ათასი მანეთის ქსოვილების დატაცება. უკრაინელმა გამოძიებლებმა გამოაგლინეს ბინის ქურდების ჯგუფი, რომლებმაც ხუთ მოკავშირე რესპუბლიკაში გაქურდეს 250 ბინა. ბელორუსიაში სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიეცნენ ფულის მომჭრელები, რომლებიც ამერიკის შეერთებული შტატების დოლარებს ამზადებდნენ.

სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტრო და

„ცხელი“ წმინტობები

სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროში 24 ოქტომბერს გამართულ ბრიფინგზე ლაპარაკი იყო იმაზე, თუ რთული ოპერატიული ვითარების რეგიონებში როგორ ეწევიან სამსახურს შინაგანი ჯარები.

მუდმივი დისლოკაციის რაიონების საზღვრებს გარეთ ამჟამად იმყოფება შინაგანი ჯარების 16 700 სამხედრო მოსამსახურე: სომხეთში — 1800 ჯარისკაცი და ოფიცერი, აზერბაიჯანში — 3600, შიიან ყარაბაღში — 5500, უზბეკეთში 2300. ისინი იცავენ მნიშ-

ვნელოვან სახელმწიფო ობიექტებს, ახორციელებენ საზოგადოებრივი წესრიგის დამყარებისა და მოქალაქეთა უსაფრთხოების ამოცანებს. აღინიშნა, რომ მასობრივ უწყსრივობებს სამწუხაროდ კვლავ ეწირება ადამიანთა სიცოცხლე. ერთაშორის შეტაკებების შედეგად დაიღუპა სულ 300 კაცი და დაჭრილია 5260. სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებს დროს დაიღუპა 12 და დაიჭრა 890 მილიციის მუშაკი და სამხედრო მოსამსახურე.

ქართული იურიდიული ლიტერატურის სიახლენი


ამასწინათ, თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის მართლმსაჯულებისა და საპროკურორო ზედამხედველობის კათედრამ, საბაზო კათედრებთან ერთად მოაწყო წიგნების: „საბჭოთა სისხლის სამართლის პროცესის“ (ავტორთა კოლექტივი) და ა. ფალიაშვილისა და დ. ცინციძის „გამოძიებისა და საპროკურორო ზედამხედველობის პროცესუალური აქტები“ — საჯარო განხილვა.

იურიდიული ლიტერატურა ყველასათვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს, რადგან სამართლებრივი სახელმწიფოს შექმნა წარმოდგენილია იურიდიულად განათლებული საზოგადოების, კვალიფიციური სპეციალისტებისა და სათანადო ლიტერატურის გარეშე.

სამწუხაროდ, ქართველი საზოგადოებრიობა განებივრებული არ არის ეროვნული იურიდიული ლიტერატურის სიმრავლით. ამას თავისი სუბიექ-

ტური თუ ობიექტური მიზეზები აქვს. ამიტომ არის, რომ ყოველი ახალი იურიდიული შრომის გამოცემას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება და იგი უნდა იქცეს საჯარო განხილვის საგნად, მიეცეს ფართო რეზონანსი, შეფასება.

იურიდიული საზოგადოება დიდი ხნის განმავლობაში ელოდა „საბჭოთა სისხლის სამართლის პროცესის“ გამოსვლას, რომელიც შექმნილია ავტორთა კოლექტივის მიერ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტმა გია მეფარიშვილმა აღნიშნა, რომ ეს არის უპირველესად დამხმარე სახელმძღვანელო, რომელიც ერთდროულად საჭიროა როგორც სტუდენტებისათვის, ასევე პრაქტიკოსი მუშაკებისათვის. სასიხარულოა რომ, წიგნმა რომელიც თხუთმეტი წლის განმავლობაში წარმოებაში იმყოფებოდა, დღის სინათლე იხილა, მაგრამ არანაკლებ საინტერესოა მეორე — მისი ქმედუნარიანობის საკითხი. ამ მხრივ,



ვეფირობთ, მთელი რიგი ცვლილებები, რაც ჩვენს კანონმდებლობაში ხდება, სრულად უნდა ასახულიყო ნაშრომში.

წიგნი თავისი სტრუქტურით კარგად იკითხება, მაგრამ არის შენიშვნებიც, რასაც ალბათ შემდგომი გამოცემების დროს მხედველობაში მიიღებენ ავტორები. კერძოდ, კარგი იქნებოდა სამართლებრივი ნორმების, პროცესუალური საკითხების უფრო დეტალური აღწერა და ამასთან დაკავშირებით იმ მიღწევების წარმოჩენა, რომელიც თანამედროვე იურიდიულ მეცნიერებას მოეპოვება.

თითქმის არაფერია ნათქვამი საბჭოთა სისხლის სამართლის პროცესუალური მეცნიერების შესახებ, აგრეთვე, სისხლის სამართლის პროცესის დამოკიდებულებაზე სხვა დარგებთან, მაგალითად, სამოქალაქო სამართალთან. გვხვდება რიგი უზუსტობანი, ლიტერატურულად გაუმართავი, სრულიად გაუგებარი ფრაზები. გვხვდება აგრეთვე რუსული კალკებიც.

გამოითქვა აზრი, რომ წიგნში, რომელიც იწერება როგორც დამხმარე სახელმძღვანელო, დავა არ უნდა იყოს. სახელმძღვანელოც ძირითადად ამ ტენდენციის მატარებელია, მაგრამ რამდენიმე ადგილზე თითოეული ავტორი თავისი პოზიციის მართებულობას უსვამს ხაზს.

ასევე გამოითქვა სურვილი იმისა, რომ კარგი იქნებოდა სახელმძღვანელოსათვის წაემძღვარებინათ ქართული სამართალწარმოების ისტორია.

„გამოძიებისა და საპროკურორო

ხედამხედველობის პროცესუალური აქტების“ თაობაზე ილაპარაკა ქ. თბილისის პროკურორის უფროსმა თანაშემწემ **მიხეილ მამნიაშვილმა**. მან აღნიშნა, რომ ავტორთა მიერ შემოთავაზებული „აქტები“ საშუალებას მოგვცემს თავიდან ავიცილოთ შეცდომები, იგი ყოველნაირად შეუწყობს ხელს საგამოძიებო და საპროკურორო საქმიანობის გაუმჯობესებას. წიგნს გააჩნია ნაკლოვანი მხარეებიც, მაგრამ სასიხარულოა ის ფაქტი, რომ ასეთი სრულყოფილი დოკუმენტების ნიმუში ჩვენ დღემდე არ გაგვაჩნდა.

წიგნების განხილვაში მონაწილეობა მიიღეს სისხლის სამართლისა და კრიმინოლოგიის კათედრის გამგემ პროფესორმა **გიორგი ტყეშელიაძემ**, ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს თავჯდომარის მოადგილემ **ავთანდილ კობახიძემ**, ადვოკატმა **მურმან გიორგობიანმა**, მეხეტის რაიონის პროკურორმა **თენგიზ მარჯანიშვილმა**, იურიდიული ფაკულტეტის ფრიადოსანმა სტუდენტებმა **როინ მიგრიაულმა** და **დავით პატარაიამ**.

კამათში გამოსულებმა დიდი შეფასება მისცეს ნაშრომს და გამოთქვეს თავიანთი საქმიანი შენიშვნები, წინადადებები, მოსაზრებები.

სამწუხაროა, რომ ამ წიგნების ტირაჟი არათუ ვერ აკმაყოფილებს ფართო მოთხოვნას, არამედ ის პრაქტიკული მუშაკებისთვისაც კი ხელმიუწვდომია.

თეა ზაქარაძე.

ჟურნ. „საბჭოთა სამართლის“

სპეც. კორესპონდენტი.

სამართლებრივი ცოდნის ღე

შინაარსიანი და საქმიანი გამოდგა სამართლებრივი ცოდნის ღე, რომელიც საქართველოს სსრ იუსტიციის საშინისტროსა და საქართველოს კომპარტიის ახმეტის რაიკომის

ინიციატივით ჩატარდა ახმეტის რაიონში. საინტერესო შეხვედრებში, დისპუტებსა და კითხვა-პასუხის საღამოებში მონაწილეობდნენ რაიონის მშრომელთა ფართო წარმომადგენლები,

ინტელიგენციის, მრეწველობის და სოფლის მეურნეობის მუშაკები. იუსტიციის სამინისტროსა და რაიონის ადმინისტრაციული ორგანოების პასუხისმგებელი თანამშრომლები უშუალოდ კოლმეურნეობის ველ-მინდვრებში, ფერმებსა და ვენახებში შეხვდნენ შრომით კოლექტივებს, ზევრ საინტერესო საკითხებზე ესაუბრნენ მათ, პასუხები გასცეს იმ კითხვებზე, რაც ასე ერთნაირად აღელვებს და აწუხებს ყველას. საკითხები კი მართლაც უამრავი იყო: დღევანდელი დაძაბული სიტუაცია საქართველოს სხვადასხვა რეგიონში, გამწვავებული ერთაშორისი დამოკიდებულებანი, ეგრეთწოდებული ფორმალური თუ არაფორმალური გაერთიანებები და ამ მოძრაობათა გამოძახილი რაიონში, სამართლებრივი სახელმწიფოს შექმნის პრინციპები. შეხვედრის მონაწილეებმა აქვე მოიყვანეს ცხოვრებისეული კონკრეტული მაგალითები და მოითხოვეს მომხდარ დანაშაულობათა ანალიზი, დაინტერესდნენ სისხლისა და სამოქალაქო სამართლის განმარტებული შემთხვევებით, მოქალაქეებსა თუ წარმოებებს შორის წამოჭრილი დავებით, ოჯახური უსიამოვნების, განქორწინებისა და მიწების მიტაცების ფაქტებით. ერთი სიტყვით, ეს იყო გულახდილი, დაუფარავი, როგორც იტყვიან შეუღამაშებელი შეხვედრა-საუბრები, ქეშმარიტი შეფასება იმისა,

თუ როგორია დღეს მდგომარეობა რესპუბლიკაში, კერძოდ კი ახმეტის რაიონში, დამნაშავეობასთან ბრძოლის მიხედვით.

იმავე დღეს პარტიის ახმეტის რაიონში მოეწყო შემაჯამებელი შეხვედრა და მოქალაქეთა მიღება საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრ მ. შარაშენიძესთან. აქვე დაინტერესებულ პირებს მოუხსინეს, უპასუხეს და პრაქტიკული დახმარება აღმოუჩინეს საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს სამართლის პროპაგანდის, მოსახლეობის სამართლებრივი აღზრდისა და სამართლებრივი სწავლების განყოფილების უფროსმა ბ. მიქანაძემ, ამავე სამინისტროს უფროსმა კონსულტანტებმა ც. შებერმა, ზ. გომიძემ, თ. სამარბაშვილმა, ყურანდ „საბჭოთა სამართლის“ მეცნიერ-რედაქტორმა ბ. ბრენაშვილმა, ახმეტის რაიონის პროკურორმა ბ. ქორძღვენიშვილმა, სახალხო მოსამართლე ნ. თურმანაშვილმა, შინაგან საქმეთა რაიანყოფილებს უფროსმა ბ. ჯურაშვილმა.

შეხვედრაში მონაწილეობდნენ აგრეთვე პარტიის ახმეტის რაიონის პირველი მდივანი თ. მათიშვილი, რაიონული აღმასკომის თავმჯდომარე ბ. ბართიშვილი, პარტიის რაიონის მეორე და მესამე მდივნები დ. გომელაური და ბ. ოტიშვილი.

იური ალანია




ბოროტმოქმედის ხელით ტრაგიკულად დაიღუპა ქ. თბილისის გლდანის რაიონის სახალხო მოსამართლე, სკკპ წევრი იური შალვაძე ან ალანია.

ი. შ. ალანიამ 1966 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი და იმავე წელს მუშაობა დაიწყო სტაჟიორ-გამომძიებლად სენაკის რაიონის პროკურატურაში. 1970 წლიდან იგი საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის ჯერ ასპირანტი, ხოლო შემდეგ უმცროსი მეცნიერ-თანამშრომელია. 1976 წელს ი. შ. ალანია მუშაობას იწყებს საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროში კადრების სამმართველოს უფროსად, კოლეგიის წევრად. 1980 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე იგი ქ. თბილისის გლდანის რაიონის სახალხო მოსამართლე იყო. ყველას, ვისთანაც კი მუშაობდა თუ ურთიერთობა მოუხდა ი. შ. ალანიას, იგი დამაბნობრდებდა როგორც განათლებული იურისტი, უღალატო და პატიოსანი კაცი.

დიდხანს იქნება ი. შ. ალანიას სსოვნა მისი კოლეგებისა და ახლობლების გულეში.

საპარტველოს სსრ იუსტიციის სამინისტრო.
საპარტველოს სსრ იურისტთა კავშირი.



ლავით მატკავა



სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს ბორი-
მოქმედის ხელთ დაიღუპა ქართველ იურისტთა უფროსი
თაობის გამოცდილი პრაქტიკული მუშაკი, სკკპ წევრი 1954
წლიდან, ადვოკატი **ლავით ვლადიმერის ძე მატკავა**.

დ. ვ. მატკავა დაიბადა 1927 წ. აბაშის რაიონის სოფ. სუ-
ჯუნაში. 1949 წელს დაამთავრა სრულიად საქავშირო იური-
დიული დაუსწრებელი ინსტიტუტის თბილისის ფილიალი და
ამ დღიდან სიცოცხლის ბოლომდე ერთი წუთითაც არ
უღალატნია არჩეული გზისათვის. მუშაობდა იგი ქ. თბილისის
კიროვის რაიონის პროკურატურის სახალხო გამომძიებლად.
საქართველოს სსრ პროკურატურაში განსაკუთრებით მნიშე-
ნელოვან საქმეთა გამომძიებლად, საგამომძიებო განყოფილე-
ბის პროკურორად. 1975 წელს დ. ვ. მატკავა აირჩიეს
ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს წევრად, 1980 წლიდან
კი იგი ქ. თბილისის გლდანის რაიონის სახალხო სასამართ-
ლოს თავმჯდომარეა. დ. ვ. მატკავა მუშაობდა აგრეთვე სა-
ქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს სასამართლო ორ-

განოების სამმართველოს უფროს კონსულტანტად, ხოლო 1988 წლიდან საქართველოს სსრ ად-
ვოკატთა კოლეგიის წევრი, ქ. თბილისის ლენინის რაიონის იურიდიული კონსულტაციის ად-
ვოკატი.

ყველგან, სადაც კი განსვენებულს მოუხდა მუშაობა, იგი შეუბღალავი, პატიოსანი კაცის
ავტორიტეტით სარგებლობდა, მუდამ მხოლოდ სიყვარულსა და ერთგულებას თესდა. ამიტომ
კიდევ უფრო მძიმეა მისი მოულოდნელი სიკვდილი მეგობრების, ახლობლებისა და კოლეგები-
სათვის, რომელთა გულელებშიც დიდხანს დარჩება დ. ვ. მატკავას ხსოვნა.

- საპარტველოს სსრ იუსტიციის სამინისტრო
- საპარტველოს სსრ პროკურატურა
- საპარტველოს სსრ ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმი
- საპარტველოს სსრ იურისტთა კავშირი.

სხვადასხვა

სასჯელი კონტრაბანდისათვის

მოსკოვის აეროპორტ შერემეტეევო-2-დან
სკლიფოსოვსკის სახელობის ინსტიტუტში
მიიყვანეს შვეციის სამეფოს ქვეშევრდომი
ნორდინ მაუდ ელიზაბეტი. მას დაუსვეს კლიერი
ნარკოტიკული მოწამელის დიაგნოზი. ავადმყო-
ვი გადარჩა, მაგრამ კუჭიდან ამოუღეს... 94
ჰეროინის აშკარა.

როგორც ცნობილია, ის უცხოელები, რომლე-
ბიც დანაშაულს ჩაიდენენ ჩვენი ქვეყნის ტე-
რიტორიაზე, გასამართლებული იქნებიან საბჭო-
თა კანონებით. გასული წლის დეკემბერში მოს-
კოვის საქალაქო სასამართლოში განიხილეს აღ-
ნიშნული საქმე.

გამომძიებისას დადასტურდა, რომ ე. ნორდინ
მოელაპარაკა ერთ-ერთ სტოკჰოლმელ ნაცნობს
რათა ტაილანდიდან შვეციაში შეეტანათ ჰერო-
ინი. ამ დანაშაულის ორგანიზების ინიციატი-
ვასამართალში მიცემულს არ ეკუთვნოდა: მას უბ-
რალოდ თავისებური ცოცხალი კონტეინერი
ფუნქცია უნდა ეკისრა.

სასამართლომ ნორდინ მაუდ ელიზაბეტი და
ნაშავედ ცნო რსფსრ სისხლის სამართლის კო-
დექსის 78-ე მუხლით და მიუსაჯა სამი წლი-
თავისუფლების ადევნა საერთო რეჟიმის შრო-
მა-გამასწორებელ კოლონიაში მოხდით.

«САВЧОТА САМАРТАЛИ» («Советское право»), № 8, 1989 (на грузин-

Ежемесячный научно-практический журнал Союза юристов ГССР.

Адрес редакции: Тбилиси, пр. Давида Агмашенебели, 103, тел.: 95-88-49; 95-58-87.

ИЗДАТЕЛЬСТВО ЦК КП ГРУЗИИ.

Ордена Трудового Красного Знамени типография издательства ЦК КП Грузии,
Тбилиси, ул. Ленина, 14.

შანი 60353

ინდიანი 76185

78
989
0132-598